პროფკავშირი ბონდო შალიკიანს აუმხედრდა A2

საბედისწერო სოსო ალავიძე? A4

TV პროგრამა A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ხუთშაბათი, 4 სექტემბერი, 2003 წელი. №237 (449) ფასი 30 თეთრი

დიდი ინტრიგა - მაჟორიტარული არჩევნები

პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მიერ მაჟორიტარი კანდიდატების ოფიციალური წარდგენის ვადა სულ მალე ამოიწურება. რაც უფრო ცოტა დრო რჩება 15 სექტემბრამდე (სწორედ ეს თარიღი სახელდება საარჩევნო ადმინისტრაციებში კანდიდატთა განაცხადების მიღების ბოლო დღედ), მით უფრო საინტერესო სიურპრიზებს გვთავაზობენ ჩვენი პოლიტელიტის წარმომადგენლები – სიებში ჩნდებიან ახალი სახელები, მაჟორიტარ კანდიდატებად კი, ხშირ შემთხვევაში, სახელდებიან საკმაოდ სკანდალური და არც თუ უმწიკვლო რეპუტაციის მქონე ადამიანები. ან, სულაც, ისინი, ვინც ჩვენთვის აქამდე არასდროს ასოცირდებოდა პოლიტიკასთან.

ჩვენი ინფორმაციით, სულ მალე კვლავ გაიჟღერებს ასეთი მოულოდნელი გვარები. მაგალითად, როგორც სახელისუფლებო ბლოკის კულუარებში საუბრობენ, თბილისში, მთაწმინდის რაიონში ბლოკი "ახალი საქართველოსთვის" მაჟორიტარ კანდიდატად ესტრადის მომღერალ დავით გომართელს წარადგენს. კონსულტაციები იმართება, აგრეთვე, მოჭადრაკე ქალბატონთან ნინო გურიელთან. თუმცა, ჯერჯერობით ეს ინფორმაციები ოფიციალურად არ დასტურდება.

ამასთან, ბოლო დღეებში სახელისუფლებო ბლოკის ერთერთ მაჟორიტარ კანდიდატად სახელდება ცენტრალური საარჩევნო კომისიის აწ უკვე ყოფილი თავმჯდომარე გია ზესაშვილი. თუმცა, თავად ზესაშვილი ჩვენთან საუბარში ამ ინფორმაციას არ ადასტურებს, თუმცა იქვე ამბობს, რომ მას უკვე შესთავაზეს რამდენიმე თანამდებობა.

ასეთივე გაურკვეველი ვითარებაა ქვეყნის სხვა მსხვილ ქალაქებში. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო იქნება მაჟორიტარული არჩევნები ქუთაისში, რადგან სახელისუფლებო ბლოკის კანდიდატმა თავად პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს უნდა გაუწიოს კონკურენცია.

როგორც სახლმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ "24 საათს" განუცხადა, ბლოკს ჯერ არ ჰყავს შერჩეული ბურჯანაძის ღირსეული კონკურენტი. და იქვე დასძინა, რომ ამის მიუხედავად, მან ზუსტად იცის – ქუთაისში კენჭს არ იყრის მოქავშირის ერთ-ერთი სახე ვიტალი ხაზარაძე.

24 საათი

ვანო და ნიკო

ამ ორ ადამიანს ერლომ ახვლედიანის ცნობილი მოთხრობის ("ვანო და ნიკო") პერსონაჟებთან, გარდა სახელებისა, არაფერი აქვთ საერთო. პირველის გვარია ჩხარტიშვილი. იგი ოზურგეთის რაიონში იყრის კენჭს. მეორე გახლავთ ნიკო ლეკიშვილი, ამბროლაურის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი.

A2

ამინდი

თბილისი	24
ბათუმი	24
ქუთაისი	29
სოხუმი	27
გორი	27
ბოლნისი	24
ონი	24
ფასანაური	21
საგარეჯო	25
სამტრედია	30
ლაგოდეხი	30

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1125
ევრო	2.3058
გირვანქა სტერლ	3.3390
რუბლი	0.0693

დენთის სუნი სვანეთში

თამარ კაკიტაძე



სვანები პირველად გამოვიდნენ ქუჩაში; მესტიისკენ მიმავალი გზა ახლაც გადაკეტილია.

სვანეთი, კრიმინოგენული თვალსაზრისით, საქართველოში ყოველთვის ერთ-ერთ ურთულეს რეგიონად მოიაზრებოდა. რამდენიმე თვის წინათ კი ქვეყნის პრეზიდენტს, რატომღაც, სვანეთის პრობლემა გაახსენდა და იქ შინაგანი ჯარის შეყვანა და პოლიციის ძალების გაძლიერება მოითხოვა. მაგრამ მალევე, ისევ და ისევ სვანური ხასიათის გათვალისწინებით, სახელმწიფო სტრუქტურები შეიარაღებულმა ადგილობრივმა 200-მა კაცმა შეცვალა, რომელსაც, პირობითად, სვანეთის დაცვა დაევალა და მაშინ მესტიაში არსებულ მძიმე კრიმინოგენულ სიტუაციაზე საუბარი ამით დასრულდა.

რამდენიმე ხნის წინ კი მთავრობის სხდომაზე სვანეთის პრობლემა კვლავ წამოიჭრა. მესტიის რაიონში არსებული გაუსაძლისი კრიმინოგენული ვითარების გამო პრეზიდენტმა კვლავ გადამჭრელი ზომების მიღება მოითხოვა. საკუთარი გადაწყვეტილების სისწორე შევარდნაძემ შემდეგი სიტყვებით გაამყარა:

გაგრძელება A3 გვერდზე

რუსეთის ენერგოექსპანსია კავკასიაში

წინასაარჩევნო პერიოდს საქართველოში რუსეთი მოხერხებულად იყენებს. პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ცდილობს, საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მნიშვნელოვან დათმობებზე დაითანხმოს და სანაცვლოდ ბევრს არაფერს ჰპირდება. ცოტა ხნის წინ "რაო ეეს როსსიის" მიერ ელექტროგენერაციის ობიექტებისა და სადისტრიბუციო კომპანიის შესყიდვამ და "გაზპრომის" მიერ საქართველოში გაზგამანაწილებელი სისტემის დაუფლების მცდელობამ არამარტო საქართველოზე, არამედ მთელ რეგიონსა და იქ ამერიკის ინტერესებზე, შესაძლოა, მნიშვნელოვანი პოლიტიკური გავლენა იქონიოს. რისკის შემცირების მთავარი საშუალება დასავლური უსაფრთხოების გარანტიების გაზრდა და ნატო-ს სტრუქტურებში ინტეგრაციაა.

მამუკა წერეთელი
ამერიკა-საქართველოს ბიზნეს საბჭოს აღმასრულებელი დირექტორი
ჟურნალიდან Central Asia-Caucasus Analyst

2003 წლის 31 ივლისს აშშ-ის ენერგოკომპანიამ "ე-ი-ესმა" განაცხადა, რომ საქართველოში საკუთარი ბიზნესის "რუსეთის გაერთიანებული ენერგოსისტემებისათვის" მიყიდვას გეგმავდა. "ე-ი-ესმა" თბილისის სადისტრიბუციო კომპანიის 75 პროცენტი, გარდაბნის თბოელექტროსადგურის მე-9 ბლოკი, ჰიდროელექტროსადგურები ხრამი-1 და ხრამი-2 გაყიდა. ეს "რაო ეეს როსსის" მიერ კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია იმ გეგმის განსახორციელებლად, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის ენერგოსისტემაზე კონტროლის მოპოვებას ითვალისწინებს. "ქონება ვალის სანაცვლოდ" პროგრამის ფარგლებში სომხეთში ენერგოობიექტების ხელში ჩაგდების შემდეგ საქართველოში შემოსვლამ "რაო ეეს როსსიის" პოზიციები კავკასიაში მნიშვნელოვნად განამტკიცა.

შესაძლოა, ვინმეს გაუკვირდეს, რით არის ქართული ენერგოობიექტები "რაო ეეს როსსისათვის" ასე მიმზიდველი, რადგან ცნობილია, რომ "ე-ი-ესი" თბილისში მუშაობისას ფულს კარგავდა, ხოლო ელექტროსისტემა კორუმპირებული და არაკომპეტენტური მენეჯმენტის წყალობით ხშირად ფუჭდებოდა. ნათელია, რომ საქართველოში ბიზნესგარემოს ცოდნა და საქართველოს მთავრობასთან სავარაუდოდ მჭიდრო თანამშრომლობა "რაო ეეს როსსიის" "ე-ი-ესზე" უკეთესი შედეგების მიღწევის შესაძლებლობას მისცემს. თუმცა, ამ გარიგების კომერციული მიმზიდველობა მაინც საეჭვოა, რადგან უახლოეს მომავალში განხორციელებულ ინვესტიციაზე მაღალი ამონაგების მიღება ნაკლებ მოსალოდნელია. აღსანიშნავია, რომ ჩუბაისის გარდა, რომელიც "რაო ეეს როსსიის" შეფია, კომპანიის მმართველ საბჭოში კიდევ რამდენიმე ძალზე გავლენიანი პოლიტიკოსია, მათ შორის ალექსანდრ ვოლოშინი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რომელიც ამავდროულად მმართველი საბჭოს თავმჯდომარეცაა.

გაგრძელება A3 გვერდზე

ედუარდ შევარდნაძე: „ჩემი ნათესავებიც დასაჯეთ და... თქვენსასაც ნუ დაივიწყებთ"

თამარ ხორბალაძე

მაშინ, როცა თითქმის მთელ საქართველოში ელექტროენერგია გათიშულია, მაშინ, როცა ისევ დაიწყო საპენსიო და სახელფასო დავალიანებების დაგროვება, მაშინ, როცა არჩევნების "სახელით" პოლიტიკური მოწინააღმდეგეები ერთმანეთს "თექვსმეტნაკერიან ჭრილობებს" აყენებენ, საქართველოს პრეზიდენტი თავისი მთავრობის სხდომას, არც მეტი, არც ნაკლები, "გაორის" ქარხნის ღია და უცერემონიო ლობირებით იწყებს:

"უნდა ვიფიქროთ ბიუჯეტში შესაბამისი სახსრების გათვალისწინებაზე; ხელი უნდა შევუწყოთ ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის "გაორის" ამოქმედებას. პარალელურად კი, აუცილებელია, დამყარდეს წესრიგი ამ სფეროში. არსებობს ათობით მცირე გადამამუშავებელი ქარხნები, რომლებსაც უხარისხო ნავთობი შემოაქვთ. უნდა შეჩერდეს მათი მუშაობა... საქართველოში მოსალოდნელია დიდი გაზი, დიდი ნავთობი..." – ამ სიტყვებით გახსნა ედუარდ შევარდნაძემ მთავრობის გუშინდელი სხდომა და თავად იგრძნო რა საკუთარი განცხადების ერთგვარი უხერხულობა, გაიმარტა: **"ვინც ამბობს, რომ რა დროს "გაორიაო", როცა არჩევნები მოდის, უნდა გაიგოს, რომ მთავარია, სახელმწიფომ აჩვენოს, რომ მუშაობს, მოქმედებს... ამ ქარხანას უკავშირებენ ახვლედიანების გვარს, თავად პრეზიდენტის ინტერესს... არავითარი ამის მსგავსი არ არის."**

ასეთი დასაწყისის შემდეგ დაგეგმილი "ხიბლი" აშკარად დაკარგა მთავრობის სხდომამ, რომელზეც შეპირებული და ორჯერ გადადებული საკითხი - "კონტრაბანდასთან" ბრძოლაში მიღწეული წარმატებები განიხილეს და, როგორც მოსალოდნელი იყო, თავად მთავრობის წევრები ერთმანეთს ღიად და უკვე ტრადიციულად დაუპირისპირდნენ:

უშიშროების და შს მინისტრებმა დაახვავეს ციფრები, რომლებიც ადასტურებენ, რომ საქართველოში რეგისტრირებული ნავთობპროდუქტები და სიგარეტი რეალურად მოხმარებულზე ათჯერ თუ მეტჯერ ნაკლებია, თქვეს, რომ კონტრაბანდა ყველა გზით შემოდის, მათ შორის - რკინიგზითაც, თუმცა, ტრადიციისამებრ, არც ერთი გვარი არ დაუსახელებიათ.

ფინანსთა მინისტრმა და საბაჟოს ხელმძღვანელმა ისაუბრეს იმაზე, რომ ზოგიერთები რეალური მოხმარების ციფრებს ხელოვნურად ზრდიან, რომ მათდამი მოთხოვნა გაზარდონ და შეუსრულებადი გეგმები წარუდგინონ.

გაგრძელება A3 გვერდზე

ვლადიმირ პუტინმა საარჩევნო მარათონის დაწყება გამოაცხადა

ლევან ღირსიაშვილი

იტალიიდან დაბრუნებულმა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა უკვე მოაწერა ხელი კანონს სახელმწიფო დუმის არჩევნების დანიშვნის შესახებ. ახალ საკანონმდებლო ორგანოს რუსეთის მოქალაქეები ა.წ. 7 დეკემბერს აირჩევენ. **"მე ხელი მოვაწერე კანონს. შეგიძლიათ საქმეს შეუდგეთ,"** - განუცხადა ვლადიმირ პუტინმა რუსეთის ფედერაციის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ალექსანდრ ვეშნიაკოვს. **"აუცილებელია, რომ საარჩევნო კამპანიების დროს მოქალაქეებმა აზრების, პოლიტიკური შეხედულებების და პროგრამების, და არა კომპრომატების ბრძოლა გამართონ,"** - დასძინა პრეზიდენტმა.

ამდენად, საარჩევნო კამპანიამ რუსეთის ფედერაციაში სტარტი აიღო.

სახელმწიფო დუმაში არსებული 450 ადგილისათვის ერთმანეთს, დაახლოებით, ხუთი მთავარი პარტია ან ბლოკი შეეჯიდება. საარჩევნო ბატალიები კი მოსახლეობის ცხოვრების დაბალი დონის, კრემლისა და მსხვილი ბიზნესმენების დაპირისპირების და ჩეჩნეთში მიმდინარე სამხედრო კამპანიის ფონზე გაიმართება.

გაგრძელება A5 გვერდზე

პრეზიდენტი პუტინი: "შეგიძლიათ საქმეს შეუდგეთ".

ბოლო შეკვეთა და ბოლო მარცხი

გუშინ საოლქო სასამართლო წინ აღუდგა საქართველოში პრესის თავისუფლების შეზღუდვას, რისი მცდელობაც ათიოდე დღის წინ ცენტრალური საარჩევნო კომისიის აწ უკვე ყოფილი შემადგენლობის მხრიდან დაფიქსირდა. სასამართლო კოლეგიამ, დავით თოდრაძის თავმჯდომარეობით, ბათილად გამოაცხადა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 25 აგვისტოს მიღებული დადგენილება "საარჩევნო პროცესში მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო და არასახელმწიფო საშუალებათა მონაწილეობის, მათი გამოყენების წესისა და კონტროლის შესახებ."

სოფიკო ჩხაიძე

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული დადგენილება არჩევნებამდე 50 დღის მანძილზე მთელ რიგ შეზღუდვებს აწესებდა როგორც წინასაარჩევნო პროცესის გაშუქების, ასევე პარტიების მხრიდან წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების თვალსაზრისით. შედეგად კი, ამომრჩეველს ინფორმაციის თავისუფლად მიღების საშუალება ესპობოდა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილების ბათილად ცნობის მოთხოვნით სასამართლოს ჯერ საინფორმაციო საშუალებების ნდობით აღჭურვილმა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ მიმართა. იმავე დადგენილების გამო თითქმის პარალელურად შეიტანა სარჩელი "ნაციონალურმა მოძრაობამაც". ისინი, სიტყვის თავისუფლების გარდა, საკუთარ პარტიულ ინტერესებსაც იცავდნენ: გარდა მასმედიისთვის აკრძალვების გზით უფლებების

გაგრძელება A3 გვერდზე

გუბერნატორების ენერგოდემარში

გუშინ გუბერნატორები სახელმწიფო მინისტრთან ჩაბნელებული რეგიონების შესახებ ბჭობდნენ. "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" (გსეკ) მიმართ უკმაყოფილება კანცელარიაში არჩევნების მოახლოებასთან ერთად სულ უფრო და უფრო მატულობს. გამგებელ-გუბერნატორები "გსეკ"-ის წინააღმდეგ მკვეთრ გამოსვლებს განაგრძობენ და რეგიონების ენერგოშეზღუდვებს აპროტესტებენ.

მაია ურუშაძე

ქვემო ქართლის გუბერნატორი ლევან მამალაძე "გსეკ"-ის მიერ ურჩი გადამხდელი რაიონებისთვის ელექტროკვების შეწყვეტას საბოტაჟად აფასებს; მარნეულის გამგებელი გოჩა ლორია დესტაბილიზაციით იმუქრება; ქუთაისის გუბერნატორი თემურ შაშიაშვილი კი ენერგოშეზღუდვების პრინციპის შეცვლას ითხოვს. ენერგოკომპანიის წინააღმდეგ ბრძოლაში სამხარეო ადმინისტრაციების ხელმძღვანელებს უკვე სახელისუფლებო ბლოკმაც დაუჭირა მხარი.

გუშინ ბლოკის სპიკერმა ირინა სარიშვილმა "გსეკ"-ის მიერ წარმოებული პოლიტიკა **"გარკვეული ძალების მიერ მიზანმიმართულ საბოტაჟად"** შეაფასა. მისი განცხადებით, **"რეგიონებს ჩაბნელება იმ ძალებს აწყობთ, ვინც ქვეყნის მასშტაბით დესტაბილიზაციის გამოწვევას და ხალხის ქუჩაში გამოყვანას ცდილობენ."** სარიშვილმა იქვე დააკონკრეტა, რომ ამ ძალებს მიღმა ჟვანია-სააკაშვილს გულისხმობს. მისი შეფასებით, ზურაბ ნოღაიდელი, რომელიც

გაგრძელება A2 გვერდზე

ახალი თამაშები ძველი გმირებით

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უკვე დაასრულა იმ პარტიათა განაცხადების მიღება, რომლებმაც საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს. როგორც წინა საპარლამენტო არჩევნების დროს, დღესაც ამბიციურ პოლიტიკურ ორგანიზაციათა რიცხვი, საქართველოს მასშტაბებიდან გამომდინარე, საკმაოდ შთამბეჭდავია. თავად განსაჯეთ – ცესკო-ში განაცხადი 49 პარტიამ და პოლიტიკურმა გაერთიანებამ შეიტანა.

თამარ მჭედლიშვილი

საარჩევნო ბლოკების ოფიციალური გაფორმება მას მერე დაიწყება, რაც ცენტრალური საარჩევნო კომისია რეგისტრაციაში გაატარებს არჩევნებში მონაწილეობის მსურველებს (ბუნებრივია, მანამდე ამ პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა ცესკო-ს ფილტრი უნდა გაიარონ). თუმცა, უკვე დღეს არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ საარჩევნო ბიულეტენებში, წონიან პოლიტიკურ ორგანიაციებთან ერთად, აუცილებლად შევლენ ისეთი პარტიები, რომლებმაც ამომრჩეველს საკუთარი სახელები მხოლოდ ერთი გზით – საარჩევნო ბიულეტენებში მოხვედრით დაამახსოვრებინეს. ასე რომ, 2 ნოემბერს საარჩევნო ურნებთან მისულებს ბიულეტენებში კვლავაც დაგვხვდება კარგა ხნის მივიწყებული სრულიად საქართველოს ლიგები, კავშირები თე გაერთიანებები.

მოკლედ, ამ არჩევნების დროსაც ქართულ პოლიტიკურ სივრცეში არაფერი იცვლება – წონიან პარტიებთან ერთად კვლავაც თავს გვახსენებენ ყოვლად უსახური, უპოვარი და უვიცი პოლიტიკოსები.

გაგრძელება A2 გვერდზე

"აფხაზეთი თქვენი სამშობლოა!"

რატომ მოკლეს ლევან არძინბა?

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

ასე მიმართა ლევან არძინბამ ქართველებს 2001 წლის 26 ოქტომბერს, რესტორან "პიოტრ ველიკიში" ქართველი და აფხაზი ბიზნესმენების არაფორმალურ შეხვედრაზე. დახურული შეხვედრის ბოლოს გაშლილ სუფრაზე მაშინ ქართველი ჟურნალისტებიც მიგვიწვიეს. შეხვედრაზე მოსულმა აფხაზმა ბიზნესმენებმა - გივი ემხვარმა, ვიტალი ლეიბამ, ლევან არძინბამ და სხვებმა ქართველ ბიზნესმენებს სადღეგრძელოში უთხრეს, რომ "ქართველები მტრებად არ მიაჩნიათ და სუვერენულ საქართველოს ომს არ უცხადებენ". მაშინ ყველას მიამიტურად ეგონა, რომ იმ დღეს გადაიდგა პირველი რეალური ნაბიჯი პოლიტიკურად დაპირისპირებული მხარეების შერიგებისთვის.

მოსკოვის რესტორანში ქართველი და აფხაზი ბიზნესმენების მაშინდელი შეხვედრა უპრეცედენტო იყო იმითაც, რომ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრის მომხრე აფხაზი ბიზნესმენები მზადყოფნას აცხადებდნენ, კონტაქტი დაემყარებინათ საომარი მოქმედებების დროს აფხაზეთიდან გამოძევებულ ქართველ ბიზნესმენებთან, რომლებიც დღესაც მოსკოვში აგრძელებენ მოღვაწეობას. "მოგვცით საშუალება, ერთმანეთს ვაპატიოთ ყველაფერი, მცირე კაპიტალი მოვიზიდოთ, ინვესტიციებიც შევიტანოთ, დანგრეული აფხაზეთი ავაშენოთ, ერთი პატარა

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ამბები A3 ამბები A4 ამბები A5 უცხოეთი A6 სპორტი A7 რევიუ A8 სხვადასხვა

გუბერნატორების ენერგოდემარში

პირველი გვერდიდან

"ამ გუნდის წევრია" და ამჟამად "გსეკ"-ის მრჩევლის ამპლუაში მოღვაწეობს, ენერგოკომპანიის ხელმძღვანელებს თავისი პოლიტიკური გუნდისათვის ხელსაყრელ რჩევებს აძლევს.

"მე პოლიტიკურ ბრალდებებზე პასუხების გაცემას არ ვაპირებ. პოლიტიკაში დაბრუნებას არ ვაპირებ: მე ჩემი საკონსულტაციო ბიზნესი მაქვს და კლიენტებს მხოლოდ მათი ინტერესებისათვის სასარგებლო რჩევებით ვემსახურები," - განაცხადა ზურაბ ნოღაიდელმა ხელისუფალთა ბრალდებების პასუხად.

როგორც ჩანს, მთავრობა წინასაარჩევნოდ ეკონომიკურ პრინციპებს გადაუხვევს და სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას კომპრომისებზე წასვლას მოსთხოვს. როგორც სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა მამუკა ნიკოლაიშვილმა გუშინ, სახელმწიფო მინისტრთან გამართული თათბირის შემდეგ განაცხადა, **"გსეკ"-თან უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რათა რაიონების გამორთვა საბითუმო დონეზე ანუ მთლიანად არ ხდებოდეს."**

როგორც "24 საათს" "გსეკ"-ში აცნობეს, საქართველოს 23 რაიონის საბითუმო დონეზე შეზღუდვის აუცილებლობა მხოლოდ იმით გახლავთ განპირობებული, რომ ამ რაიონებმა კომპანიას დღემდე ვერ მიაწოდეს ინფორმაცია, თუ რომელ ფიდერზე რამდენია დენის საფასურის გადახდის მაჩვენებელი. **"ჩვენ თუ ეს ინფორმაცია გვექნება, მაშინ ამ რაიონების შეზღუდვას არა საბითუმო, არამედ ფიდერების დონეზე უფრო სამართლიანად მოვახერხებთ,"** – აცხადებენ "გსეკ"-ში.

ინფორმაცია კი, რომელმაც რაიონები სრული წყვდიადისგან უნდა დაიცვას, ენერგოკომპანიის ფილიალებმა რაიონების ხელმძღვანელობებთან ერთობლივად უნდა შეაგროვონ. ეს შეთანხმება სამხარეო ადმინისტრაციებსა და "გსეკ"-ს შორის ჯერ კიდევ გაზაფხულზე შედგა.

ახალი თამაშები ძველი გმირებით

პირველი გვერდიდან

ჩვენი კანონმდებლობა კი არაფერს ამბობს იმაზე, თუ, ბოლოს და ბოლოს, როგორ და როდის უნდა დაიწმინდოს ქართული პოლიტიკური სივრცე.

დღეს უკომენტაროდ გთავაზობთ არჩევნებში მონაწილეობის მსურველ პარტიათა ჩამონათვალს. იმედია, დასკვნებს თავად ამომრჩეველი გამოიტანს.

საქართველოს ლიბერალური პარტია; "საქართველოს ეროვნულ ძალთა გაერთიანება – კონსერვატორები"; "ერთობა"; "ქალთა დაცვის კავშირი"; ლეიბორისტული პარტია; "მამულიშვილთა ორდენი "სამშობლო"; პოლიტიკური მოძრაობა "კავკასიელი"; "ტრანსპორტელთა დარბაზი"; "ერთიანი საქართველო (საქართველოს დემოკრატიული კავშირი)"; "გურამ შარაძის მხარდამჭერთა პოლიტიკური გაერთიანება "ენა, მამული, სარწმუნოება"; "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს"; მწვანეთა პარტია; ქრისტიანულ-სოციალური კავშირი; ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირი; პოლიტიკური გაერთიანება "მძლეველი"; პროგრესისტული პარტია; ერთიანი კომუნისტური პარტია; "დედა-სამშობლო"; "უმუშევართა ერთობა"; სახალხო ფრონტი; ერთიანი ნაციონალური მოძრაობა; მონარქისტული პოლიტიკური გაერთიანება "სამეფო გვირგვინი"; "საქართველოს ადვოკატები"; კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის პარტია; სახალხო პარტია; რესპუბლიკური პარტია; დავით აღმაშენებლის პარტია; საქართველოს კონსერვატიული (მონარქისტული) პარტია; საქართველოს მშრომელთა საბჭო; სოციალისტური პარტია; ინტელექტუალთა ლიგა; "სპორტული საქართველო"; "ძლიერი რეგიონები - ძლიერი საქართველო"; საქართველოს მოქალაქეთა კავშირი; ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; მრეწველობისა და ეკონომიკური აღმავლობის პარტია (მრეწველთა პარტია); ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი (სქდკ); ქრისტიან-კონსერვატორები; აფხაზეთის განთავისუფლების პარტია; "ახალი მემარჯვენეები"; ლიბერალური პარტია - "ლიბერალები"; ეროვნული იდეოლოგიის პარტია; "დემოკრატიული აღორძინების კავშირი"; კონსერვატიული პარტია; "გაერთიანებული დემოკრატები"; ტრადიციონალისტთა კავშირი; ეროვნული სახალხო ფრონტი, სოციალ-დემოკრატიული პარტია, სრულიად საქართველოს სახალხო ალიანსი.

კულუარები

საბაჟოს ყოფილი უფროსიც პარლამენტისკენ მიიწევს

ლენა მიქაძე

შესაძლოა, მომავალი პარლამენტის დიდი ნაწილი უკვე კარგად ცნობილი სახეებით დაკომპლექტდეს - იმ ხალხით, ვინც გარკვეული პერიოდის განმავლობაში აღმასრულებელი ხელისუფლების საკმაოდ აქტიური წარმომადგენელი იყო. ცნობილ გვარებს უახლოეს მომავალში კიდევ ერთი, ლევან ქისტაური დაემატება. შეგახსენებთ, იგი ეროვნულ ბანკში ერთ-ერთი სამმართველოს ყოფილი უფროსი, შემდეგ საბაჟოს ყოფილი ხელმძღვანელი იყო. ექს-მთავარი მებაჟე, ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, ძალების მოსინჯვას თიანეთში აპირებს. მისი კონკურენტების სია ჯერ კიდევ ზუსტდება. თუმცა უკვე ცნობილია, რომ იგი მეტოქეობას გაუწევს ლეიბორისტების მაჟორიტარ დეპუტატ თამაზ მეჭიაურს, რომელიც ახლა ფრაქცია "ახალი აფხაზეთის" წევრია. აღსანიშნავია ისიც, რომ წინა საპარლამენტო არჩევნების დროს კენჭს თიანეთიდან მამამისი, პროფესორი მევლუდ ქისტაური იყრიდა, რომელმაც ხმათა საკმაოდ სერიოზული რაოდენობა დააგროვა.

განცხადება

ქ. მცხეთა 03.09..2003 წ.

ს.ს "მცხეთის ავტოსატრანსპორტო საწარმოს" დირექტორი თ. მახარაშვილი იწვევს საზოგადოების რიგგარეშე საერთო კრებას 2003 წლის 21 სექტემბერს 14 სთ-ზე საწარმოს ადმინისტრაციულ შენობაში ქ. მცხეთა სამხედროს 9.

დღის წესრიგის საკითხებია:
1. საწარმოს წესდებაში ცვლილებების შეტანის საკითხი
2. საწარმოს საქმიანობის საგნის შეცვლის საკითხი
3. საწარმოს რეორგანიზაციის საკითხი.
4. საწარმოს სახელის შეცვლის საკითხი
საწარმოს დაყოფის საკითხი

აქციონერებს თავიანთი ხმის უფლება შეუძლიათ შეამოწმონ საწარმოს ადმინისტრაციაში.
ხმის უფლება აქვთ იმ აქციონერებს, რომლებიც რეგისტრირებული არიან საზოგადოების აქციათა რეესტრში 2003 წლის 3 სექტემბრის მდგომარეობით.

დირექტორი თ. მახარაშვილი

„სავარდო და სამაისოში" სანოემბროდ ემზადებიან

გიორგი ასანიშვილი

ნინო ბურჯანაძე დარწმუნებულია, რომ, თუ არჩევნები პატიოსნად ჩატარდება, მშობლიურ ქალაქში დამაჯერებლად გაიმარჯვებს.

"ყველა ქალაქი და რეგიონი სიყვარულის და პატივისცემის ღირსია, მაგრამ ქუთაისი, ვფიქრობ, ნამდვილად იმსახურებს განსაკუთრებულ ადგილს ქართულ სინამდვილეში და, ამდენად, ამ ქალაქის მაჟორიტარი დეპუტატობა ჩემთვის ძალიან დიდი პატივი იქნება", - ამ განცხადებით დაიწყო მშობლიურ ქუთაისში სტუმროზა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, საარჩევნო ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ.

"სავარდო და სამაისო" ქალაქში მაჟორიტარად ოფიციალურ "კორონაციამდე" ჯერ საკმაო დროა. არჩევნებამდე თითქმის ორი თვეა დარჩენილი, მაგრამ თავად ბურჯანაძეს წარმატებაში ეჭვი არ ეპარება. "ქუთაისში მრავლად არიან ადამიანები, ვისაც ვუყვარვარ და ვიცი, მათი სახით მხურვალე მხარდამჭერები მეყოლება. თუ 2 ნოემბრის არჩევნები ნორმალურად ჩატარდება, დარწმუნებული ვარ, დამაჯერებლად გავიმარჯვებ", - მომავალ ტრიუმფში მტკიცედ არის დარწმუნებული ოპოზიციონერი სპიკერი.

ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში ბურჯანაძესთან შეხვედრაზე იმერეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის თემურ შაშიაშვილის გამოჩენა მაინც მოულოდნელი იყო – დღემდე ჩატარებულ წინასაარჩევნო შეხვედრებში ნინო ბურჯანაძის გვერდით ყოფნა ხელისუფლების ვერც ერთმა წარმომადგენელმა ვერ გაბედა.

ოფიციალური ღონისძიების დასრულების შემდეგ თემურ შაშიაშვილი დაახლოებით ოცი წუთის განმავლობაში დახურულ კარს მიღმა ესაუბრა პარლამენტის თავმჯდომარეს. მართალია, გუბერნატორმაც და მისმა "სტუმარმაც" საუბრის შინაარსის კომენტირებისგან თავი შეიკავეს, მაგრამ ვარაუდის დონეზე იმის თქმა შეიძლება, რომ "დისპუტი" ქუთაისში თავად თემურ შაშიაშვილის პერსონის მაჟორიტარ კანდიდატად წამოყენების მიზანშეწონილობას ეხებოდა.

პოლიტიკური "ინტრიგის" თვალსაზრისით, საინტერესო უნდა იყოს ქუთაისში გამართულ შეხვედრაზე "ტრადიციონალისტ" გუბაზ სანიკიძის გამოჩენა და სიტყვით გამოსვლა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ორიოდე დღის წინ ნინო ბურჯანაძე თავისი ბლოკის გაფართოების პერსპექტივაზე თავად საუბრობდა, შეიძლება, დიდი ალბათობით ვივარაუდოთ, რომ თუ ასეთი რამ მოხდება, იგი სწორედ "ტრადიციონალისტების" "ხარჯზე" იქნება შესაძლებელი.

წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას, ნინო ბურჯანაძის "პრეზენტირებას", როგორც წესი, "გაერთიანებული დემოკრატების" წარმომადგენლები, გიგი წერეთელი ან ედუარდ სურმანიძე ახდენდნენ. თავად "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერის ზურაბ ჟვანიას "გაუჩინარების" (პარლამენტის თავმჯდომარეს ის მხოლოდ ზუგდიდში ახლდა) ფაქტს ნინო ბურჯანაძე ბლოკის შიგნით ფუნქციების გადანაწილებით ხსნის და აღნიშნავს, რომ ცდილობს ბლოკის სხვა ლიდერებთან ერთად "მაქსიმალურად მოიცვას საქართველოს სხვა რეგიონები."

მოყვარეს პირში უძრახეო - ამ განწყობით შეხვდნენ ნინო ბურჯანაძეს ქუთაითურები. ვინაიდან ტრამპლინიდან უფსკრულამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია, პარლამენტის თავმჯდომარის კეთილმოსურნენი მხოლოდ კეთილი სურვილების გამოთქმითა და სიმპათიების გამოხატვით არ კმაყოფილდებოდნენ. მაგალითად, მწერალი რეზო ჭეიშვილი პირდაპირ მიუთითებდა იმაზე, რაზეც ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერმა უნდა იმუშაოს. **"მონოტონურობის დაძლევა და პაუზის დაჭერის უნარის გამომუშავება",** - ამაზე მეცადინეობას ურჩევს ცნობილი მწერალი პარლამენტის თავმჯდომარეს.

"მე ჩემი არჩევანი უკვე გავაკეთე, რაც არ იყო ადვილი, მით უმეტეს, უკან დასახევი გზა არ არსებობდა. ვიცი, რა ძნელია დღეს საქართველოს მოსახლეობისთვის კონკრეტული დაპირებების მიცემა და ამას არც გავაკეთებდი, ამ პირობის შესრულების შესაძლებლობისა რომ არ მჯეროდეს", - თანამოქალაქეების წინაშე პოლიტვალდებულებას იღებს ნინო ბურჯანაძე.

იგი გუშინვე ქუთაისიდან წყალტუბოში გაემგზავრა. ადგილობრივ მოსახლეობას ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ზაზა სოფრომაძე წარუდგინა.

დღეს ბურჯანაძე თერჯოლას ეწვევა და ამ რაიონის ამომრჩევლებს მაჟორიტარი დეპუტატის დავით ძიძიგურის კანდიდატურას შესთავაზებს.

ვანო და ნიკო

ახალი (წინასაარჩევნო) რედაქციით

ვერიკო თევზაძე

ამ ორ ადამიანს ერლომ ახვლედიანის ცნობილი მოთხრობის ("ვანო და ნიკო") პერსონაჟებთან გარდა სახელებისა არაფერი აქვთ საერთო. პირველის გვარია ჩხარტიშვილი. იგი ოზურგეთის რაიონში იყრის კენჭს. მეორე გახლავთ ნიკო ლეკიშვილი, ამბროლაურის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი.

ნიკო ლეკიშვილმა დეპუტატობის ოთხწლიანი ანგარიში წარმოადგინა.

გუშინ გადამხდელთა კავშირში პარლამენტარმა ნიკო ლეკიშვილმა თავისი სადეპუტატო საქმიანობის ოთხი წელი შეაფასა და ოფიციალურად განაცხადა, რომ ამბროლაურში კენჭისყრას კვლავ აპირებს.

ღონისძიების ორგანიზატორებმა განგვიმარტეს, რომ დარბაზში შეკრებილები წარმოადგენდნენ **"ვიწრო, საოჯახო და სამეგობრო წრეს, ყოველგვარი ისტებლიშმენტის გარეშე."** თავის გამოსვლაში ნიკო ლეკიშვილმა ბრძანა, რომ რაჭაში იგი აფინანსებს მრავალ საინტერესო და საჭირო პროგრამას, რომ რაჭველთა ცხოვრების ძირეული შეცვლა მას არ შეუძლია, ვინაიდან ამგვარი ცვლილება ქვეყნის მასშტაბით მოითხოვს გარდაქმნებს. ლეკიშვილმა გუშინ თავისი პოლიტიკური შეხედულებებიც გამოთქვა: **"რაც დღეს ხდება, ჩემი სახელმწიფო მინისტრობის დროს რომ მომხდარიყო, არათუ გადავდგებოდი, თავსაც მოვიკლავდი. ჩემ დროს პენსიები და ხელფასები რიგდებოდა, არც ასეთი დაპირისპირება იყო... ამ პარლამენტმა თავისი ამოცანა ვერ შეასრულა. ვშიშობ, რომ მომავალი პარლამენტი იქნება კიდევ უფრო არეულ-დარეული, სადაც პროცესების მართვა გართულდება. ყველა სპორტულ თამაშს თავისი წესები აქვს, ჩვენს ქვეყანაში, ამდენი ხანია, ვერა და ვერ შემოვიღეთ მართვის თამაშის წესები... გადავწყვიტე, ყოველგვარი პარტიული კუთვნილების გარეშე ვიყარო კენჭი ამბროლაურის რაიონში."**

რაჭა-ლეჩხუმი-ზემო სვანეთის გუბერნატორის დავით დარახველიძის განცხადებით, დეპუტატი ნიკო ლეკიშვილი რაჭაში იმაზე მეტს აკეთებდა, ვიდრე ევალებოდა. **"მისი მოღვაწეობა ბევრად სცილდება კანონით დაკისრებულ მოვალეობებს. არ მინდა, ვთქვა... თუმცა, რა პრობლემაა, ვიტყვი: მისი საქმიანობა სენატორის საქმიანობას მაგონებს. და თუ საქართველოში სენატი შემოვიღეთ, მე ძალიან ბედნიერი ვიქნები, ბატონ ნიკოს სენატორად რომ ვიხილავ. ამ არჩევნებში ბატონი ნიკო რომ გაიმარჯვებს, ეჭვი არ მეპარება,"** - ბატონ გუბერნატორს არ დაუკონკრეტებია გულთმისნობის ნიჭით არის დაჯილდოებული, თუ სოციოლოგიური გამოკვლევები ჩაატარა და ამის შემდეგ გააკეთა ამგვარი ოპტიმისტური პროგნოზი.

ნიკო ლეკიშვილის "პრეზენტაციას" ოზურგეთის დეპუტატობის კანდიდატი ვანო ჩხარტიშვილიც შეუერთდა: **"სამწუხაროდ, ჩვენი პოლიტიკოსებიდან ძალინ ბევრს აქვს ტვინი, მაგრამ გული არ აქვს. ასეთები კი სამშობლოს ხვალინდელ დღეს ვერ ხედავენ. ნიკო ლეკიშვილი ის ადამიანია, ვისაც არც გული აკლია და არც ტვინი. რაც დრო გადის, ბატონ ნიკოსნაირ ადამიანებზე მოთხოვნილება უფრო და უფრო იზრდება... მე ოზურგეთში ვიყრი კენჭს. პარლამენტში რომ შევალ, ბატონი ნიკოს გუნდის წევრი ვიქნები. ჩვენ ერთობლივად ვიზრუნებთ ოზურგეთის და ამბროლაურის კეთილდღეობაზე."** საეჭვოა, ამ ციტატის წაკითხვის შემდეგ ყოფილ ექსმინისტრს და დეპუტატობის კანდიდატს მკითხველთა დიდი ნაწილი დაეთანხმოს იმაში, რომ ჩვენი პოლიტიკოსებიდან ძალიან ბევრს აქვს ტვინი...

ვანო ჩხარტიშვილმა გუშინ ამგვარი განცხადებაც გააკეთა: **"პროცესები, რომლებიც დღეს ხდება, აუცილებლად უნდა დასრულდეს და ახალი ათვლის წერტილი დაიწყოს."** უფრო კონკრეტულად რას გულისხმობს ვანო ჩხარტიშვილი? "24 საათთან" საუბრისას მან განაცხადა: **"იმას, რომ პოლიტიკური სპექტრი, რომელიც არის დღეს ჩვენს პოლიტიკურ ბაზარზე, არის გასაახლებელი. ქვეყანას სჭირდება განვითარება. ახალი პოლიტიკური სპექტრი მოახდენს განახლებას. იქნება აბსოლუტურად სულ სხვა პოლიტიკური რეალიები. ჩემი აზრით, იქნება მაჟორიტართა ახალი კორპუსი, რომელიც იზრუნებს რაიონზეც და პოლიტიკაზეც."**

ბატონი ვანოს გამოსვლის შემდეგ ბატონმა ნიკომ გვაუწყა, რომ ღონისძიებას თან ახლდა ე.წ მეორე განყოფილება, რომელზეც მხოლოდ "ხვანჭკარა" (და ისიც მხოლოდ და მხოლოდ ნატურალური) იქნებოდა წარმოდგენილი.... იმედია, რაჭულ "ხვანჭკარას" გურული სიმღერები მოჰყვებოდა.

პროფკავშირი ბონდო შალიკიანს აუმხედრდა

სახელისუფლო ბლოკის მიერ ტყიბულის მაჟორიტარ დეპუტატად ბონდო შალიკიანის დასახელებამ საქართველოს პროფკავშირის გაერთიანება ძალზე გააღიზიანა. "ხელისუფლებას ის ურჩევნია, გაარკვიოს შალიკიანმა საირმეს სანატორიუმში პენსიონერთა დასასვენებელი ფული საიდან იშოვა და სანატორიუმი ხელში რა გზით ჩაიგდო," – აცხადებს პროფკავშირის ხელმძღვანელობა. შალიკიანი კი აცხადებს, რომ მის საწინააღმდეგო კამპანიაში შაშიაშვილის ხელი ურევია.

ნანა ქადაგიშვილი

საქართველოს პროფკავშირის გაერთიანებასა და შალიკიანს შორის დაპირისპირება რამდენიმე წლის წინათ დაიწყო - როცა შალიკიანმა საირმეს სანატორიუმის ნაწილი შეისყიდა. **"შალიკიანი ფლობს სანატორიუმის ქონების 70 პროცენტს, რაშიც პროფკავშირის კუთვნილი ნაწილიც მოჰყვა. მან ყველაფერი უკანონოდ, სანატორიუმის მფლობელთა გვერდის ავლით ჩაიგდო ხელში, რაშიც მას რუსთავის სასამართლო დაეხმარა. ამიტომაა, რომ სასამართლოში ჩვენ მიერ ორი წლის წინათ აღძრული საქმე დღემდე ჭიანურდება. მოსამართლე ჯორბენაძე მთავარ სხდომას განგებ არ ნიშნავს. შალიკიანს სასამართლო პროცესის არჩევნებამდე გაჭიანურება ხელს აძლევს. პარლამეტში მოსვლის შემდეგ კი მას იმუნიტეტი დაიცავს,"** – აცხადებს პროფკავშირის გაერთიანების უფროსის მოადგილე ლონდა სიხარულიძე.

პროფკავშირი ტყიბულის მოსახლეობასაც საყვედურობს, - მართალია, ტყიბულელებს უჭირთ, მაგრამ ყველასგან მაინც არ უნდა მიიღონ დახმარებაო. **"შალიკაშვილმა საარჩევნო კამპანია ნაადრევად დაიწყო - ტყიბულელი ბავშვები ურეკში დაასვენა, პენსიონერები – საირმეს სანატორიუმში, მაგრამ ეს ყველაფერი ფარსია. თუკი მოსახლეობაზე ნამდვილად შესტკივა გული, ტყიბულელ პენსიონერებს თვეობით დაგვიანებული პენსიების აღებაში რატომ არ ეხმარება. ხელისუფლებამ კი იმის მაგივრად, რომ შალიკიანის ბიზნესის გაურკვეველი წარმომავლობა გამოიკვლიოს, დეპუტატად ასახელებს მას,"** – აცხადებს პროფკავშირი.

"საირმეს სანატორიუმის ნაწილი დედაჩემმა იყიდა და არა მე. თანაც, პროფკავშირის წილთან არავითარი კავშირი არ გვაქვს. პროფკავშირის გაერთიანება სანატორიუმის 50 პროცენტს დღემდე ფლობს. დედაჩემმა რუსთავის მეტალურგიული კომბინატის წილი, სანატორიუმის ქონების 50 პროცენტი კანონიერად, აუქციონის წესით შეიძინა. აუქციონის შესახებ ინფორმაცია ბაღდათის ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნდა. ლონდა სიხარულიძე შაშიაშვილის დავალებით ლაპარაკობს. სანატორიუმის ყიდვა მას უნდოდა, მაგრამ არ გამოუვიდა და ძველი ბოღმა ახლა, წინასაარჩევნოდ გაიხსენა. თანაც, მას ტყიბულის დეპუტატის საკუთარი კანდიდატურა, დემურ გიორხელიძე ჰყავს," – განმარტავს შალიკიანი.

ორი სიტყვით

თბილისი. სახელისუფლებო ბლოკის ვიცე-სპიკერი ირინა სარიშვილ-ჭანტურია აცხადებს, რომ ბლოკის საარჩევნო სიაში პირველ ნომრად სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის შეყვანა ჯერ გადაწყვეტილი არ არის. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სახელისუფლებო ბლოკის ერთ-ერთი ლიდერის ვახტანგ რჩეულიშვილის განცხადებით, სახელისუფლებო ბლოკს «ახალი საქართველოსათვის" ნაყოფიერი წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარების პირობებში, ახალ პარლამენტში პარტიული სიით 30-35 დეპუტატის მოხვედრის შანსი აქვს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. სახალხო პარტია და მისი ლიდერი მამუკა გიორგაძე დიდ სიმპათიებს გამოთქვამს საარჩევნო ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატებისა" და, პირადად, პარლამენტის თავმჯდომარის მისამართით. მისი თქმით, ბურჯანაძე მისთვის პოლიტიკური ნიშნითაც მისაღებია და მასთან გაერთიანების თაობაზე კონსულტაციებიც მიმდინარეობს, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება კვირის ბოლოს გახდება ცნობილი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას ბიძაშვილის, ლევან არძინბას მკვლელობას პოლიტიკურ მოტივებს უკავშირებს. როგორც ნადარეიშვილი აცხადებს, ლევან არძინბას მკვლელობას შესაძლებელია, ეკონომიკური და ფინანსური მიზეზიც ჰქონოდა, რადგან იგი საკმაოდ დიდ ქონებას ფლობდა, ჩართული იყო სერიოზულ ბიზნესში, მაგრამ უფრო სარწმუნოდ შეიძლება პოლიტიკური მოტივი ჩაითვალოს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "სახალხო ფრონტი" 2 ნოემბერს დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს, რადგან პარტია 50 ათას მხარდამჭერთა სიის შეგროვებას დადგენილ ვადამდე - 7 სექტემბრამდე ვერ ასრულებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. პოლიტიკური გაერთიანება "ერთობის" თანათავმჯდომარე ალექსანდრე ჭაჭია მიიჩნევს, რომ 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების დასრულებამდე რეალურმა ოპოზიციამ 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნების კანდიდატების დასახელებაზე მორატორიუმი უნდა გამოაცხადოს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "ახალი მემარჯვენეები" რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან გაერთიანებას კატეგორიულად გამორიცხავენ. პარტიის ერთ-ერთი ლიდერის ფიქრია ჩიხრაძის განცხადებით, ყველა კონსულტაცია, რომელიც ოპოზიციურ პარტიებთან მიმდინარეობს, არა საარჩევნო ბლოკის შექმნას, არამედ კონსტრუქციულ თანამშრომლობას ეხება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. პარლამენტარმა ვახტანგ ხმალაძემ, რომელიც ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის ერთ-ერთი კანდიდატი იყო, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებზე თბილისის მთაწმინდის რაიონში კენჭისყრა გადაწყვიტა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. პარლამენტარ ვახტანგ ხმალაძის განცხადებით, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას, ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაუფინანსებლობის გამო, შესაძლოა, საფრთხე შეექმნას. მისი თქმით, სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული 2 მილიონი ლარით ცესკო საპარლამენტო არჩევნებს სრულყოფილად ვერ ჩაატარებს, თუმცა, "არც აღნიშნული თანხა ჩანს სადმე". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. შიმშილობის მეცამეტე დღეს აფხაზეთის ომის ვეტერანებმა აფხაზეთის უმაღლესის საბჭოს შენობის წინ მიმდინარე საპროტესტო აქცია შეწყვიტეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს კობა ბექაურს შინაგან საქმეთა სამინისტროში იბარებენ. თავად ბექაურის თქმით, მას დაუკავშირდა შსს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს უფროსი ჯაბა ჯანხოთელი, რომელმაც შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოცხადება მოსთხოვა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

რუსთავი. 5 სექტემბერს რუსთავის პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ეწვევა. ამ ვიზიტის მიზანი ბლოკის "ბურჯანაძე-დემოკრატების" წინასაარჩევნო ღონისძიების ჩატარებაა. რუსთავის მერის მერაბ ტყეშელაშვილის განცხადებით, ის, როგორც ქალაქის მერი, ყოფილ კოლეგას აუცილებლად უმასპინძლებს, მაგრამ ბურჯანაძის პარტიულ ღონისძიებაში მონაწილეობას არ მიიღებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე თურქეთის მოქალაქე ბახრი ხუშიდი და ბულგარეთის მოქალაქე მილენ ალექსიევი ქართველმა მესაზღვრეებმა გუშინ, გამთენიისას თბილისის აეროპორტში დააკავეს. აღნიშნული პირები ყალბი პასპორტების გამოყენებით საქართველოს ტერიტორიიდან გამგზავრებას აპირებდნენ. ისინი თბილისი-ამსტერდამის რეისით გაფრენას გეგმავდნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. მამინაცვლის მკვლელობის ფაქტზე სამართალდამცველებმა 23 წლის ახალგაზრდა დააკავეს. თელავის რაიონის სოფელ აკურაში მცხოვრებმა 23 წლის არსენ სულთანოვმა საკუთარ სახლში ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე თავში ნაჯახის ჩარტყმით მოკლა მამინაცვალი ხვთისო ბლუიშვილი. დამნაშავემ კვალის დაფარვის მიზნით მოკლულისავე ავტომანქანით გვამი გურჯაანის რაიონის სოფელ შრომის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე ალაზნის ჭალებში გადაიტანა, სადაც მას ბენზინი გადაასხა და დაწვა.. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებებში: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ორი სიტყვით

ქუთაისი. ქუთაისის პროკურატურამ 12 წლის ზესტაფონელის - გიორგი სარდანაძის ერთ-ერთი გამტაცებლის ვინაობა დაასახელა. სამართალდამცველთა მტკიცებით, გელა ბარაბაძე ხელმძღვანელობდა იმ ბანდას, რომელმაც სარდანაძე ფულის გამოძალვის მიზნით მეორედ გაიტაცა. ქუთაისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მიხეილ ჩოგოვაძის განცხადებით, გამტაცებელთა ბანდიდან, ბარაბაძის გარდა, კიდევ შვიდი ბოროტმოქმედია დასაკავებელი, რომელთა ვინაობაც ცნობილია და მათზე იმერეთის სამხარეო პოლიციას ძებნა უკვე გამოცხადებული აქვს. როგორც პროკურატურაში აცხადებენ, გიორგი სარდანაძე გატაცების დროს ქუთაისიდან არ გაუყვანიათ და იგი, სავარაუდოდ, ჭომას უბანში ჰყავთ გადამალული. ამ უბანში სამართალდამცველებმა ის ავტომანქანა იპოვეს, რომლითაც ბავშვის გატაცება მოხდა. ავტომანქანა მთლიანად გაძარცვულია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის პროკურატურამ განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხების მითვისებისთვის სს "თბილგაზის" საქსელო სამმართველოს უფროსს ზურა გალდავასა და ამავე უწყების ორ ბუღალტერს - როლანდ მამისეიშვილსა და ნანა ლომაიას წაუყენა ბრალი. გალდავას ბრალი ედება მილიონ ორასი ათასი ლარის მაქინაციებში, რომელიც, ბრალდებულის განმარტებით, სარემონტო სამუშაოებისათვის გამოიყენა.

გამოძიება აღნიშნულ ფაქტს საეჭვოდ მიიჩნევს, რადგან სარემონტო სამუშაოების შესრულებისა და ფულთან დაკავშირებული მაქინაციების თარიღები ერთმანეთს არ ემთხვევა. ამასთან, ეს თანხა ორი ბუღალტრის პირად ანგარიშებზე აღმოაჩინეს.

პროკურატურის ინფორმაციით, აღნიშნულ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე ჯერ კიდევ მიმდინარე წლის 7 მაისს აღიძრა კონტროლის პალატის შემოწმების მასალებზე დაყრდნობით. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

რუსთავი. რუსთავის მერი მერაბ ტყეშელაშვილი ქვემო ქართლის სამხარეო და საქალაქო საგზაო პოლიციების საქმიანობის გამიჯვნას ითხოვს. ამ მოთხოვნას ის კონკრეტული ფაქტი დაედო საფუძვლად, რომ ე.წ. „კუზიანი ხიდის“ ბოლოს, გზის გასაყართან, ერთ მხარეს საქალაქო პოლიციის, მეორე მხარეს კი სამხარეო საგზაო პოლიციის თანამშრომლები აჩერებენ ავტოტრანსპორტს. „რუსთავი მათ მეწველი ძროხა ჰგონიათ“, – აცხადებს მერი. სამხარეო „საის“ მუშაობის გამო მერის გაცხარება, როგორც გაირკვა, იმან გამოიწვია, რომ საქალაქო სამსახურის პოლიციელები გზაჯვარედინის იმ მხარეს დგანან, საითაც „აზოტიდან“ წამოღებული გვარჯილითა და სხვა პროდუქტებით დატვირთული „ტრაილერები“ დადიან. ქალაქის მერი მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსწორებას ითხოვს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ხუთი ადამიანი დაიღუპა და დაახლოებით 20 დაშავდა გუშინ კისლოვოდსკი-მინერალური წყლების ელექტრომატარებელში მომხდარი აფეთქების შედეგად. აფეთქება თბილისის დროით 8.50 საათზე მოხდა, როცა მატარებელი კისლოვოდსკში შედიოდა. წინასწარი მონაცემებით, ელექტრომატარებლის მესამე ვაგონში ორი ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა.პიატიგორსკის შინაგან საქმეთა სამმართველოს ინფორმაციით, დაღუპულები 20-23 წლის ახალგაზრდები არიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი.. „სრულიად საქართველოს პატრიოტთა კავშირის“ (ყოფილი `მხედრიონი``) საკასაციო სარჩელს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ უზენაესი სასამართლო 12 სექტემბერს განიხილავს. ცოტა ხნის წინ საოლქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა „სრულიად საქართველოს პატრიოტთა კავშირის“ მოთხოვნა და ძალაში დატოვა იუსტიციის სამინისტროს მიერ 2002 წლის 13 დეკემბერს გამოცემული ადმინისტრაციული აქტი „პატრიოტთა კავშირის“ რეგისტრაციაში გატარებაზე უარის თქმის შესახებ. მოსარჩელემ გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. იუსტიციის სამინისტრომ პარტიას რეგისტრაციაზე უარი უთხრა წესდებაში არსებული ხარვეზების გამო. საოლქო სასამართლო დაეთანხმა იმ მოსაზრებას, რომ პარტიის წესდება უკანონოდ ითვალისწინებს პრინციპს, რომლის თანახმადაც, პარტიის თავისუფალი წევრი შეიძლება ნებისმიერი პირი გახდეს (პარტიის წევრობის უფლება, კანონით, ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლებს არ აქვთ). **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის პოლიციის ძებნის სამმართველოს თანამშრომლებმა ავტოავარიის დროს ადამიანის მკვლელობისათვის ძებნილი, 26 წლის თბილისელი თამაზ ღოღონაძე დააკავეს გურჯაანის რაიონის სოფელ შაშიანში. ღოღონაძე 30 აგვისტოს, კახეთის გზატკეცილზე, მეტრო "სამგორის" მიმდებარე ტერიტორიაზე, "ვაზ - 2106" მარკის ავტომანქანით დაეჯახა 61 წლის ლუბა ფედიანინას, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. თამაზ ღოღონაძემ გარდაცვლილის გვამი საკუთარი ავტომანქანითვე წაიღო შემთხვევის ადგილიდან და "დამპალოს სასაფლაოზე" დატოვა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის მე-5 საპყრობილის ყოფილი რვა თანამშრომელი, რომლებიც პატიმართა გაქცევების გამო არიან დაკავებულნი, 29 აგვისტოდან შიმშილობს. ისინი აცხადებენ, რომ უდანაშაულოები არიან და მოითხოვენ მათი საქმე გენერალურმა პროკურატურამ შეისწავლოს მათივე ადვოკატების მონაწილეობით. „ჩვენ არავინ მოგვიკლავს და არ არის აუცილებელი, რომ წინასწარი საგამოძიებო პერიოდი პატიმრობაში გავატაროთ. გაუგებარია, რისთვის დასჭირდა პროკურატურას პატიმრობის ვადის გაგრძელება, რადგან დაკავებიდან დღემდე არსებული დრო მათ გამოძიებისათვის არ გამოუყენებიათ“, — აცხადებენ მოშიმშილე პატიმრები. ისინი ითხოვენ სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებთან შეხვედრას, თუმცა მათთან ჯერ არავინ მისულა. **მედია-ნიუსი**

დენთის სუნი სვანეთში

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

"ამის დასტურია მიმდინარე წლის 25 ივლისს ზემო სვანეთის მოსახლეობის ყრილობის დადგენილება დამნაშავეობის წინააღმდეგ კომპლექსური ღონისძიებების განხორციელების შესახებ, რომლის ერთ-ერთი პუნქტით ყრილობამ თხოვნით მიმართა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს."

მეორე დღესვე უშიშროების საბჭოს სხდომაზე ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებმა შეავარდნაძეს სვანეთში შექმნილი ვითარების ამსახველი საგანგაშო სტატისტიკა წარუდგინეს და მდგომარეობის გამოსწორების გეგმაც გააცნეს. პრეზიდენტმა მინისტრების მიერ წარდგენილი ფართომასშტაბიანი ანტიკრიმინალური გეგმა მოიწონა და მის განხორციელებაზე ვიზაც გასცა.

სვანეთთან დაკავშირებით დაწყებული სამთავრობო ფაციფუციდან ორი კვირა გავიდა, მაგრამ მესტიის რაიონში არც ფართომასშტაბიანი ანტიკრიმინალური ოპერაცია დაწყებულა და არც დესანტი გადაუსვამთ, როგორც ეს პრეზიდენტმა ბრძანა. მეტიც, გუშინ მთავრობის სხდომის წინ შინაგან საქმეთა მინისტრმა სვანეთთან დაკავშირებით პოზიციები აშკარად შეარბილა. **"სვანეთში კრიმინოგენული ვითარება საგანგაშო არ არის და იქ რაიმე ფართომასშტაბიანი სპეცღონისძიებების ჩატარება არ იგეგმება. რეგიონში საგანგაშო არაფერი ხდება და სვანეთის თემის ხელოვნურად გამუქება მიუღებელია,"** – ამბობს შინაგან საქმეთა მინისტრი.

მიუხედავად მთავარი სამართალდამცველის სიმშვიდისა, მესტიის რაიონში ბოლო პერიოდში მართლაც უჩვეულო სიტუაცია შეიქმნა. ამას წინათ სვანების მიერ ქუჩის აქციის გამართვის პირველი შემთხვევა დაფიქსირდა - კრიმინოგენული სიტუაციის მოწესრიგების მოთხოვნით, მოსახლეობამ მესტიის შესასვლელი გადაკეტა.

ჭაფარიძეების და გირგვლიანების გადამტერების ისტორია

გირგვლიანებმა და მათმა ახლობლებმა, ლატალის მკვიდრის ბექა გირგვლიანის მკვლელის დაპატიმრების და რაიონში კრიმინოგენული სიტუაციის დარეგულირების მოითხოვნით, მესტიისკენ მიმავალი გზა გადაკეტეს. მოკლულის დის, ირინა გირგვლიანის მტკიცებით, მისი ძმის მკვლელი მესტიის მკვიდრი, ე.წ. კანონიერი ქურდი სპარტაკ ჯაფარიძეა, რომელიც დღემდე თავისუფლად დადის.

უკრაინაში შაქრის ქარხნის მეპატრონე ბექა გირგვლიანი სამი წლის წინ კიევში მოკლეს. ამ

აფეთქებული ჭაფარიძეების "ნივა".

მკვლელობის გამო სპარტაკ ჯაფარიძე კიევში დააპატიმრეს, მაგრამ, როგორც ჯაფარიძეები ირწმუნებიან, მას დანაშაული არ დაუმტკიცდა და გაათავისუფლეს. მიუხედავად ამისა, გირგვლიანის დები მკვლელობის ორგანიზატორად მაინც სპარტაკ ჯაფარიძეს ასახელებენ და ქართველი სამართალდამცველებისგან მის დაპატიმრებას ითხოვენ. არადა, ქართული კანონმდებლობის თანახმად, აღნიშნული მკვლელობის გამოძიება საქართველოში შეუძლებელია. ამის გამო წლების მანძილზე ჯაფარიძეებსა და გირგვლიანებს შორის ურთიერთობა დაძაბულია. სხვათა შორის, ქართველმა სამართალდამცველებმა ბექა გირგვლიანის მკვლელობის საქმე რამდენიმე თვის წინ 10 წლის ირაკლი ჭეხანის დაჭრისას გაიხსენეს და ბავშვის დაჭრაში ეჭვმიტანილად არაოფიციალურად სწორედ გირგვლიანები ცნეს. მართალია, ირინა გირგვლიანი აღიარებს, რომ მისი ძმის მკვლელობაში ირაკლი ჭეხანის მამაც მონაწილეობდა, მაგრამ ბავშვის დაჭრასთან მისი ოჯახის კავშირს კატეგორიულად გამორიცხავს.

ბოლო პერიოდში ჯაფარიძეებსა და გირგვლიანებს შორის ურთიერთობა მას შემდეგ დაიძაბა, რაც ამ ორ ოჯახში ერთმანეთის მიყოლებით აფეთქებები მოხდა. დაახლოებით ერთი თვის წინ, დაუდგენელმა პირებმა სპარტაკ ჯაფარიძეს ავტომობილში ასაფეთქებელი მოწყობილობა დაუმონტაჟეს. მოწყობილობა სწორედ იმ დროს აფეთქდა, როდესაც სპარტაკ ჯაფარიძემ მანქანა დაქოქა, მაგრამ იგი გადარჩა. ჯაფარიძეებმა აფეთქებაში გირგვლიანები დაადანაშაულეს და "ბრალის" გასაბათილებლად ხატზე დაფიცება მოსთხოვეს, რაზეც უარი მიიღეს.

მოგვიანებით კი ასევე დაუდგენელმა პირებმა გირგვლიანების სახლს ყუმბარმტყორცნი ესროლეს. ირინა გირგვლიანის მტკიცებით ყუმბარმტყორცნი სპარტაკ ჯაფარიძის ძმამ ტაი ჯაფარიძემ ისროლა, რომელიც კანონიერი ქურდობისთვის ემზადება. ჯაფარიძეები გირგვლიანების ბრალდებას კატეგორიულად უარყოფენ და სვანური წესით ხატზე დაფიცებას სთავაზობენ. მაგრამ გირგვლიანები პასუხს გამოძიებისგან ელიან და ძმების დაპატიმრებას მოითხოვენ.

ვის აძლევს ხელს სვანეთის არევა

ჯაფარიძეების და გირგვლიანების დაპირისპირება თითქმის მთელი სვანეთის პრობლემად იქცა და მას, როგორც მხოლოდ ორი გვარის პრობლემას, აღარავინ აღიქვამს. მესტიის რაიონში შექმნილ სიტუაციაზე საუბარს დღეს ყველა თავს არიდებს და მინიშნებებს მთავალ არჩევნებზე აკეთებენ. მართალია, ჯაფარიძეებიც და გირგვლიანებიც არჩევნებთან კავშირს კატეგორიულად უარყოფენ და მხოლოდ საკუთარ ოჯახურ პრობლემებზე საუბრობენ, მაგრამ "ამღვრეული წყლით" სარგებლობის მსურველნი, როგორც ჩანს, სვანეთშიც მოიძებნებიან.

"არჩევნების წინ მესტიის რაიონში მოსალოდნელია დესტაბილიზაცია, რითაც შეიძლება სხვადასხვა ძალებმა ისარგებლონ. შეიძლება, ვიღაცა პროვოკაციასაც გეგმავს, მაგრამ დამერწმუნეთ, სვანეთის არევა არც პრეზიდენტს და არც სხვა ვინმეს ხელს არ უნდა აძლევდეს", – ზემო სვანეთში შექმნილ დღევანდელ სიტუაციაზე ასეთი კომენტარი გააკეთა მესტიის გამგებელმა ერეკლე ჯაფარიძემ.

ორ გვარს შორის დაპირისპირების აქტიურად განახლებას სვანეთში ბევრი სწორედ არჩევნებს უკავშირებს. მესტიის რაიონის დეპუტატობის კანდიდატის ვიტია ჯაფარიძის თქმით, **"მესტიაში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, მართლაც მძიმე კრიმინოგენული მდომარეობაა, მაგრამ რაც აქ ბოლო პერიოდში ხდება, ნამვილად არჩევნებს უკავშირდება. ვინ მართავს ამ ყველაფერს, კონკრეტულად ვერ დავასახელებ, მაგრამ ჩემი მოწინააღმდეგე სამთავრობო ბლოკის წარმომადგენელია და მას, რეალურად, გამარჯვების არანაირი შანსი არ აქვს. ვინ რას ფიქრობს, არ ვიცი, მაგრამ სვანეთში ძალიან ცუდ ტენდენციებს ნერგავენ. აქამდე ჩვენთან აფეთქება არ მომხდარა. ახლა კი ორი აფეთქება მოხდა. ხელისუფლებას თუ სვანეთში წესრიგის დამყარება უნდა, ამას ერთ კვირაშიც მოახერხებს, მაგრამ არ აკეთებენ. მე არავის დამცველად არ გამოვდივარ და ვერავის ქმედებაზე ვაგებ პასუხს, მაგრამ, ფაქტია, ჯაფარიძეების გვარის წამოწევით ვიღაცას ჩემი დისკრედიტაცია აქვს ჩაფიქრებული."**

სვანეთში არსებული სიტუაციის კომენტირებისას, დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატისგან განსხვავებით, საკმაოდ სიტყვაძუნწი აღმოჩნდა სამთავრობო ბლოკის კანდიდატი ივერი ჭელიძე. მართალია, მან აღიარა, რომ საარჩევნო კამპანია მესტიაში უკვე დაიწყო, მაგრამ იქაურ სიტუაციაზე საუბარს თავი აარიდა. **" უკაცრავად, მაგრამ სვანეთის დღევანდელ მდგომარეობაზე საუბარი არ მსურს"**, - გვითხრა ივერი ჭელიძემ.

რატომ არ ჩატარდება სვანეთში ოპერაცია

"მე არ ვიცი, იცის თუ არა ნარჩემაშვილმა, რომ მისი თანამშრომლები კრიმინალებთან არიან შეკრულები. ყოველ შემთხვევაში, თუ სპეცოპერაციის დასრულების შემდეგ ნარჩემაშვილი განაცხადებს, რომ სვანეთში კრიმინალები აღარ იმყოფებიან, ეს თამაში იქნება. ანუ, თუ ოპერაცია წარუმატებელი გამოდგება, ისინი ისევე დაკარგავენ სვანეთს, როგორც კოდორის ხეობა დაკარგეს. ამის შემდეგ მე ძალიან მწვავედ დავუპირისპირდები ნარჩემაშვილს", – ეს სიტყვები ემზარ კვიციანმა იმ დროს თქვა, როდესაც ფართომასშტაბიანი ოპერაცია სვანეთში გარდუვალად ითვლებოდა.

ზემო სვანეთში რომ ფართომასშტაბიანი ანტიკრიმინალური ოპერაცია არ ჩატარდება, შინაგან საქმეთა მინისტრმა უკვე აღიარა. მაგრამ რატომ აგორდა მესტიის გარშემო სკანდალი ან რატომ დაკარგა მან ხელისუფლებისთვის რამდენიმე დღეშივე აქტუალობა, ეს კითხვა ჯერჯერობით პასუხგაუცემელია.

რუსეთის ენერგოექსპანსია კავკასიაში

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ამ პროცესის პარალელურად მაისის ბოლოს ალექსეი მილერი, "გაზპრომის" აღმასრულებელი დირექტორი თბილისს ეწვია და პრეზიდენტ შევარდნაძეს ორმხრივი ენერგეტიკული თანამშრომლობის საკითხების განსახილველად შეხვდა. ორი მხარე შეთანხმდა, რომ "გაზპრომი" ვლადიკავკაზიდან თბილისის გავლით ერევანთან დამაკავშირებელ გაზსადენს აღადგენს. ამას გარდა, არსებობს ცნობები, რომ მხარეები "გრუზროსგაზპრომის" - რუსულ-ქართული ერთობლივი საწარმოს შექმნაზეც შეთანხმდნენ, რომელიც საქართველოს გაზგამანაწილებელ ქსელს გააკონტროლებს. "გრუზროსგაზპრომის" შექმნის შესახებ პირველი განცხადება 2001 წლის ოქტომბერში გაკეთდა, მაგრამ პროექტი რეალურად არ განხორციელებულა. ამჟამინდელი შეთანხმების დეტალები უცნობია, მაგრამ, სავარაუდოდ, "გაზპრომი" ახალი კომპანიის ყველაზე დიდი აქციონერი იქნება და, შესაბამისად, საქართველოს სტრატეგიულ გაზგამანაწილებელ ქსელს გააკონტროლებს. მცირე კომპენსაციის სახით, "გაზპრომმა" საქართველოს ბუნებრივი აირის ოდნავ შეღავათიანი ფასით მიყიდვა შესთავაზა. გარიგების ეს ნაწილი მილერის კიდევ ერთ სტრატეგიულ მიზანს ემსახურება: ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში გაზის მიმწოდებელი კიდევ ერთი რუსული კომპანიის "იტერას" ჩანაცვლება და პოლიტიკურად მგრძნობიარე ბაზრებზე "გაზპრომის" პოზიციების განმტკიცება.

შესაძლო შედეგები: აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სტრატეგიულ ენერგობიექტებზე კონტროლის დამყარებამ რუსეთს მნიშვნელოვანი გეოეკონომიკური უპირატესობა უკვე მოუტანა. თუმცა, აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირა სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, სადაც დასავლეთის (ნატო) სტრატეგიული ყოფნა გარანტირებულია, საქართველოს უსაფრთხოებას უშუალო საფრთხე ემუქრება. როგორც წარსული გამოცდილება ცხადყოფს, რუსეთი საქართველოს სტრატეგიულ ენერგეტიკულ ობიექტებზე კონტროლს პოლიტიკური მიზნებისათვის გამოიყენებს. სამწუხაროდ, საქართველოს სუსტი და კორუმპირებული ელიტები, ხელისუფლებაცა და ოპოზიციაც ერთმანეთთან ბრძოლით არიან დაკავებულები. მოსალოდნელია, რომ ეს პროცესი გაციცხებით დიდი მასშტაბით იქონიებს გავლენას. თუ საქართველო "გაზპრომთან" ხელშეკრულებას გააფორმებს, ეს ხელს შეუწყობს რუსეთის მიერ ევრაზიული გაზის მონოპოლიის შექმნას. თურქმენეთისა და ყაზახეთის გარდა რუსეთი აქტიურ ლობირებას ეწევა, რათა აზერბაიჯანმა თავისი გაზი "გაზპრომის" მილსადენების ქსელისა და "ცისფერი ნაკადის" მეშვეობით გაყიდოს თურქეთში. ეს კი სამხრეთ კავკასიის გაზსადენს უქნის საფრთხეს, რომელიც შაჰ დენიზის საბადოდან გაზს თურქეთს საქართველოს გავლით 2006 წლისათვის მიაწვდის. "სტატოილის" ხელმძღვანელობით მომუშავე ჯგუფმა, რომელშიც "ბრიტიშ პეტროლიუმიც" შედის, ახლახანს გაანაცხადა, რომ აზერბაიჯანული საბადოს თურქეთის სიახლოვეს არსებობა მას კონკურენტუნარიანობას მატებს იმის მიუხედავად, რომ თურქეთში რეცესიაა და გაზის მოხმარებაც შემცირებულია. ცხადია, რომ რუსეთი ცდილობს, თურქეთის გაზის ბაზარზე ახალი მოთამაშეები არ დაუშვას და იქ წამყვანი პოზიციები შეინარჩუნოს.

ამას გარდა, რუსეთი თურქეთის ევროპასთან დამაკავშირებელი გაზის კორიდორის გახსნისათვის ხელის შეშლას ცდილობს. საბერძნეთმა და თურქეთმა ამის თაობაზე უკვე მიაღწიეს შეთანხმებას და სწორედ იმ დროს, როდესაც მილერი თბილისში იმყოფებოდა, საბერძნეთის სახელმწიფო გაზის კომპანია "დეპა" აზერბაიჯანული გაზის საქართველოსა და თურქეთის გავლით დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ექსპორტირების თაობაზე მოლაპარაკებებს აწარმოებდა. თუ ეს კორიდორი შეიქმნება და ახალი მილსადენები აშენდება, ისინი არა მხოლოდ აზერბაიჯანული, არამედ ერაყული და ირანული გაზითაც შეიძლება შეივსოს, რაც "გაზპრომს" ევროპული ბაზრებისათვის ბრძოლას გაუძნელებს და ევროპაში გაზის მოწოდების წყაროების დივერსიფიცირებას შეუწყობს ხელს.

დასკვნა: პანკისის ხეობაში საქართველოს მთავრობის წარმატებული ოპერაციისა და ამერიკული "წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის" მიუხედავად, რუსეთი საქართველოზე პოლიტიკური გავლენის მოსახდენად მნიშვნელოვან მექანიზმებს ინარჩუნებს. აფხაზეთი რუსული პოლიტიკის საკვანძო ელემენტია, რომელიც საქართველოს დასუსტებასა და არასტაბილურობას ისახავს მიზნად, მაგრამ მხოლოდ აფხაზეთი საქართველოს პოლიტიკურ პროცესზე უშუალო გავლენის მოხდენის შესაძლებლობას მოსკოვს არ აძლევს. რუსეთის სახელმწიფო ენერგო მონოპოლიების მეშვეობით საქართველოზე კონტროლის დამყარება გაცილებით იოლი იქნება. კავკასიის ენერგოსექტორში რუსეთის აქტიურობამ, შესაძლოა, სამხრეთ კავკასიის ენერგოკორიდორი და აზერბაიჯანი სერიოზული ეკონომიკური და პოლიტიკური რისკის წინაშე დააყენოს. მოვლენების ამგვარი სცენარით განვითარება დივერსიფიცირებული ენერგო მონოდების წყაროების შექმნის ამერიკულ პოლიტიკას ემუქრება. ამ რისკების შემცირების მთავარ საშუალებას საქართველოსა და სამხრეთ კავკასიური ქვეყნების ტრანსატლანტიკურ სივრცესა და ნატოში ინტეგრაციის დაჩქარება წარმოადგენს. მხოლოდ დასავლეთის უსაფრთხოების გარანტიებს შეუძლიათ საქართველოში და საერთოდ კავკასიაში რუსეთის მანიპულაცია აღკვეთონ. საჭიროა გაზისა და მილსადენების პროექტების დიდი მხარდაჭერა, ისევე როგორც დემოკრატიული პოლიტიკური პროცესისა და თავისუფალი მეწარმეობის წახალისება საქართველოში.

ედუარდ შევარდნაძე: „ჩემი ნათესავებიც დასაჭეთ და... თქვენსასაც ნუ დაივიწყებთ"

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ამ განსჯაში ისევ აჭარის და ცენტრის საბიუჯეტო ურთიერთობების საკითხი წამოიჭრა. შევარდნაძემ ამ საკითხის საბოლოოდ გარკვევა ითხოვა და ამ ფონზე ერთმანეთს "შეეჯახნენ" მირიან გოგიაშვილი და აჭარის წარმომადგენელი ჯემი ყიფიანი, რომლებიც მდუმარე პრეზიდენტის წინაშე დიდხანს "არჩევდნენ", ვის არ "აწყობს" ამ საკითხების გარკვევის დაწყება, შესაბამისი კომისიის ამოქმედება და ერთმანეთს მატყუარებს ეძახდნენ.

შემდეგ, ასევე ტრადიციულად, ომახიანი განცხადებებით გამოვიდა სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ანზორ ბალუაშვილი, რომელმაც პირდაპირ დაადო ხელი ქვეყნის მთავარ ფინანსისტს და გაკვირვება გამოთქვა, რა შუაში არიან ბიუჯეტის შესრულებასა და კონტრაბანდასთან ბრძოლასთან უშიშროება, შსს, საზღვრის დაცვის დეპარტამენტი და სხვებიო? ბალუაშვილმა პრეზიდენტს მოახსენა, რომ არსებობს ხიფათი, კონტრაბანდასთან ბრძოლის მცდელობა შოუდ გადაიქცეს (თითქოს სამუშაო სხდომები თავად არ გახსნეს პრესისთვის).

ტრადიციულად მშვიდი გახლდათ ავთანდილ ჯორბენაძე - მან თვის ბოლოსთვის იმის გარკვევის პირობა დადო, ვინ ვერ ასრულებს თავის მოვალეობებს სათანადოდ და ვინ უნდა შეიცვალოს.

მათ შემდეგ გამოსულმა საგადასახადოს შეფმა იასე ზაუტაშვილმა საგადასახადო დავალიანებებზე ისაუბრა.

პრეზიდენტმა კი, ისეთივე გრანდიოზული გამოსვლით დაასრულა, როგორითაც დაიწყო:

"თუ ჩემს ნათესავებს აქვთ ბრალი, დასაჯეთ (საუბარი იყო საგადასახადო დავალიანებებზე)... **ისე, არც საკუთარი ნათესავები დაგავიწყდეთ..."**

მორიგი წერილი რუსებს

თბილისში გრძელდება ქართველი და რუსი ექსპერტების ორდღიანი სამუშაო შეხვედრა სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის საკითხებზე. თუმცა, ქართული მხარე მოლაპარაკებათა თემებს არ აკონკრეტებს.

ცნობილია, რომ მხარეებმა უნდა განიხილონ შემდეგი საკითხები: საქართველოსთვის რუსეთის ჯარების დაჯგუფების სამხედრო ობიექტების გადაცემა, რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოში ყოფნის ვადები, რუსეთის მხარის ვალდებულების შესრულების მიმდინარეობა საგარეჯოს 430-ე საჭურვლის საწყობის ლიკვიდაციის შესახებ.

პრეზიდენტ შევარდნაძის თქმით, თბილისი „მოლაპარაკების მსვლელობისას დასვამს საკითხს რუსული მხარის მიერ ქართული მიწის, გზებისა და ა.შ. გამოყენებისთვის ფულადი ანაზღაურების შესახებ". მისი თქმით, მთლიანად თანხა, რაც რუსეთმა ამისთვის უნდა გადაუხადოს საქართველოს, საქართველოს საერთო ვალს რუსეთისადმი ორ-სამჯერ აღემატება". ამ თემაზე წერილი, როგორც იტყობინებიან, რუსეთის პრეზიდენტს პუტინს უკვე გაუგზავნეს.

მედია-ნიუსი

ნანა დევდარიანი ობიექტური იქნება

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნანა დევდარიანი პარტიული ნიშნით საოლქო კომისიის თავმჯდომარეების დანიშვნას კატეგორიულად გამორიცხავს. მისი თქმით, საოლქო კომისიის თავმჯდომარეების კანდიდატურების წარდგენის უფლება მიმდინარე წლის 7 სექტემბრამდე რეგიონების გამგებლებს, საკრებულოებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, პოლიტიკურ პარტიებს და თავად ცსკ-ოს წევრებს აქვს, თუმცა უპირატესობა, სავარაუდოდ, საკრებულოებისა და არასამთავრობოების მიერ წარდგენილ კანდიდატურებს მიენიჭებათ. "მეტი ყურადღება მიექცევა საკრებულოების კანდიდატურებს, რადგან ეს ორგანო მრავალპარტიული ნიშნით არის დაკომპლექტებული, რაც კანდიდატის შერჩევისას კონსენსუსის არსებობის საფუძველს იძლევა", - თქვა მან. მისივე განცხადებით, საოლქო კომისიების თავმჯდომარეების შერჩევის კრიტერიუმები იქნება კარგი რეპუტაცია, ობიექტურობა და ობიექტური გადაწყვეტილების მიღების უნარი.

პრაიმ-ნიუსი

ბოლო შეკვეთა და ბოლო მარცხი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

შეზღუდვისა, იმავე დადგენილებაში ჩაიწერა, რომ ცესკო-ს უფლება აქვს, მიმართოს პრეზიდენტს, ხოლო ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, მოითხოვოს საკონსტიტუციო სასამართლოსგან ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის აკრძალვა. შესაბამისად, ახალგაზრდა იურისტთა სარჩელში კონსტიტუციის იმ მითითებულ მუხლებს, რომლებსაც ცესკო-ს დადგენილება საინფორმაციო საშუალებების შეზღუდვით არღვევდა, "ნაციონალური მოძრაობის" სარჩელმა კიდევ ერთი - ცესკო-ს მიერ უგულებელყოფილი მუხლი შემატა – 26-ე, რომელიც მოქალაქეს პოლიტიკური მოღვაწეობის თავისუფლებას ანიჭებს.

მოსამართლემ ორი საათის ინტერვალით დანიშნული პროცესების გაერთიანების მოთხოვნა არ დააკმაყოფილა; სანაცვლოდ, "ნაციონალური მოძრაობა" ცესკო-სა და მასმედიის დავაში მესამე მხარედ ჩართო. ხოლო მას შემდეგ, რაც სასამართლომ დადგენილების გაუქმების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება, ცხადია, "ნაციონალური მოძრაობა" საკუთარ სარჩელზე უარს ამბობს.

ძირითადი მოტივი, რომლითაც მოსამართლემ გადაწყვეტილების გამოტანისას იხელმძღვანელა, გახლდათ ის, რომ დადგენილების საფუძვლად ცესკო-მ მიუთითა საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლი. საარჩევნო კოდექსის ძველი ვერსიის 73-ე მუხლში წინასაარჩევნო პერიოდში მასმედიის მუშაობის შესახებ არაფერია თქმული; სამაგიეროდ, სწორედ ამ სფეროს არეგულირებს საარჩევნო კოდექსის ახალი ვერსიის 73-ე მუხლი. მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ 25 აგვისტოს საარჩევნო კოდექსის ახალი ვერსია ჯერ კიდევ არ იყო ძალაში შესული და, შესაბამისად, ცესკო-ს მისი გამოყენების უფლებაც არ ჰქონდა.

სხვათა შორის, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ სარჩელის შედგენისას ისიც გაითვალისწინა, რომ დადგენილების ზემოთ ნახსენები მოტივით გაუქმების შემთხვევაში ცესკო-ს (აწ უკვე ძალაში შესული საარჩევნო კოდექსის საფუძველზე) ანალოგიური დადგენილების ხელახლა მიღების საშუალება მიეცემოდა და ამიტომაც მათ ისიც დაასაბუთეს, რომ დადგენილება ახალი ვერსიის 73-ე მუხლის დარღვევითაცაა მიღებული. მეტიც, იგი კონსტიტუციის მოთხოვნებსაც უგულებელყოფს. აქედან გამომდინარე, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, აუცილებლობის შემთხვევაში, არც საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანას მოერიდება, თუმცა ორგანიზაციის წარმომადგენელს გიორგი ჩხეიძეს ცესკო-ს ახალი თავმჯდომარის ნანა დევდარიანის პოზიცია აიმედებს. როგორც ცნობილია, დევდარიანმა ახალ თანამდებობაზე დანიშვნის დღესვე გამოთქვა სადავო დადგენილების გამო უკმაყოფილება. სავარაუდოდ, დღეს დევდარიანი უკვე ცესკო-ს ახალი შემადგენლობის სხდომას მოიწვევს. გადაწყდება თუ არა ამ სხდომაზე სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება, ჯერჯერობით, უცნობია; თუმცა, სწორედ ამით იმუქრებოდა გუშინ სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილო დენის დავითაშვილი.

"ცესკო-ს ძველმა შემადგენლობამ ამ დადგენილების მიღებით ხელისუფლების უკანასკნელი შეკვეთა შეასრულა, - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ზურაბ ადეიშვილმა, რომელიც გუშინდელ სასამართლო პროცესზე "ნაციონალურ მოძრაობას" წარმოადგენდა, - **ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახალი შემადგენლობისგანაც არ ველი განსაკუთრებულად პრინციპულ და დემოკრატიულ გადაწყვეტილებებს – იქ ძირშივეა ჩადებული ორი სახელისუფლებო ძალის უმრავლესობა, მაგრამ მე მაინც იმედი მაქვს, რომ პირველ ეტაპზე ისინი მსგავსი დადგენილებით გამოწვეულ კონფლიქტს თავს აარიდებენ და ასეთი სამარცხვინო ფურცლით არ დაიწყებენ მოღვაწეობას".**

პროფესიონალ გულალტერთა ინსტიტუტი
და პროფესიონალ გულალტერთა და
აუდიტორთა ფედერაცია
აცხადებს
პროფესიული სერტიფიცირების მსურველთა
მიღებას ACCA-ს პროგრამით.
ინტენსიური მომზადება და გამოცდები 14 წიგნში (პრაქტიკის
მქონესპეციალისტებისათ

პოლიტიკური ტერორის ფაქტი ოზურგეთში

თამაზ ხარაიშვილი
ოზურგეთიდან

ორი დღის წინ ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა საქართველოს ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის ოფისი გატეხეს. მოპარულია მხარდამჭერთა სიები, აგრეთვე, საკანცელარიო ნივთები. პარტიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე გელა სარიშვილი მომხდარს პოლიტიკური ტერორის გამოვლინებად მიიჩნევს. იმის მიუხედავად, რომ ორგანიზაციის წევრებმა მომხდარის თაობაზე დაუყოვნებლივ შეატყობინეს პოლიციას, შემთხვევის ადგილზე მთელი დღის განმავლობაში არავინ მისულა. გუშინ დაზარალებულ პარტიას თავისებური სოლიდარობა გამოუცხადა "ახალი მემარჯვენეების" ოზურგეთის რაიონულმა ორგანიზაციამ. "ახლებისი" ხუთკაციანმა ჯგუფმა, პარტიული დროშების ფრიალით, გადაკვეთა ქალაქი და პოლიტიკური ტერორის მსხვერპლთ სამძიმარი გამოუცხადა.

დივერსია "იმერეთზე"

მაია ურუშაძე

გუშინ 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი "იმერეთი", რომლის საშუალებითაც აღმოსავლეთ საქართველოს ელექტრომომარაგება ხორციელდება, წალენჯიხის რაიონის ტერიტორიაზე, სოფელ ეწერთან დააზიანეს. უცნობმა პირებმა ავტომატით დაცხრილეს ელექტროსადენები. აფეთქებულია ხაზის 49-ე ანძა. სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო მოხდარს დივერსიად აფასებს. მინისტრის, მამუკა ნიკოლაიშვილის თქმით, ამ განცხადების საფუძველს ის იძლევა, რომ **"დაზიანება სწორედ მაშინ მოხდა, როცა რუსეთიდან ელექტროენერგიის შეტანა უნდა დაწყებულიყო."** მისი ინფორმაციით, 500-კილოვოლტიანი "კავკასიონი" უკვე აღდგენილია და, აღნიშნული ფაქტი რომ არ მომხდარიყო, ელექტროენერგიის რუსეთიდან იმპორტი დაიწყებოდა.

"ეს ნიშნავს, რომ კიდევ რამდენიმე დღე საქართველოს ენერგომომარაგებაში პრობლემები შეიქმნება," - განაცხადა გუშინ სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა და დენის არა მარტო რუსეთიდან, არამედ სომხეთიდან იმპორტის შესაძლებლობაც ეჭვქვეშ დააყენა. თუმცა, ენერგოკრიზისიდან თავის მალე დაღწევის იმედს ნიკოლაიშვილი არ კარგავს, რადგან, მისი თქმით, ენგურჰესის დაზიანებული აგრეგატები მალე მწყობრში ჩადგება.

ჭარისკაცს სამხედრო ნაწილის სასადილოში გაასამართლებენ

ხათუნა ჭანგირაშვილი

გუშინ, მთელი დღის განმავლობაში დიდი მზადება იყო ვაზიანის სამხედრო ბრიგადის ტერიტორიაზე. სამხედრო ნაწილის სასადილოში საგანგებო გალია დადგეს. დღეს იქ ელიტური სამხედრო ნაწილიდან - "კომანდოს" ბატალიონიდან გაქცეულ კაპრალს მამუკა ხუროშვილს შეიყვანენ და საჩვენებელ სასამართლო პროცესს მოუწყობენ. დეზერტირობისთვის ძებნილ ჯარისკაცს, რომელსაც ცოტა ხნის წინ სამთვიანი პატიმრობა შეუფარდეს, სამხედრო ნაწილის სასადილოში საგანგებოდ მოწყობილ სასამართლო დარბაზში საჯაროდ გაასამართლებენ მეგობარი ჯარისკაცების თანდასწრებით.

თუკი კარგა ხნის განმავლობაში გასაიდუმლოებული იყო "კომანდოს" ბატალიონიდან ჯარისკაცთა გაქცევის ფაქტები (ამასობაში კი მათი რიცხვი საკმაოდ გაიზარდა), დღეს ვაზიანის სამხედრო პროკურატურა ღია საჩვენებელ პროცესს იწყებს და სამხედრო ნაწილის სასადილოში მოწყობილ სასამართლო დარბაზში ყველა დაინტერესებულ პირს ეპატიჟება. რაც შეეხაბა "კომანდოს" ბატალიონის ჯარისკაცებს, ჩვენი ინფორმაციით, მათ საჩვენებელ-დასაშინებელ სასამართლო პროცესზე ორგანიზებული წესით მიიყვანენ.

"ეს იქნება საუკუნის პროცესი, რომელსაც ნაწილის მთელი პირადი შემადგენლობა დაესწრება. ყველა ჯარისკაცი საკუთარი თვალით ნახავს, როგორ უნდა დაისაჯოს "წვრთნისა და აღჭურვის" ქართულ-ამერიკული პროგრამის ფარგლებში მომზადებული ჯარისკაცი ნაწილის თვითნებურად მიტოვებისთვის," - იმუქრება ვაზიანის სამხედრო პროკურორი მამუკა ცაავა და დღევანდელი დღისთვის განსაკუთრებულად ემზადება. რატომ გარბიან უკან მოუხედავად ჯარისკაცები სამხედრო ნაწილებიდან (მით უმეტეს ისეთიდან, როგორი პრესტიჟული და ელიტურიც "კომანდოს" ბატალიონი გახლავთ), ამის შესახებ ვაზიანის სამხედრო პროკურატურა კვლავ დუმს.

პროკურატურის პოზიციას, რომ სამხედრო ნაწილიდან გაქცეული ჯარისკაცი სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს, არ იზიარებენ თავდაცვის სამინისტროში და გასამართლების ამგვარ ფორმას არ იწონებენ.

დავით ხუროშვილი პირველია, ვინც "წვრთნისა და აღჭურვის" ქართულ-ამერიკული პროგრამის ფარგლებში მომზადებული ქართული ანტიტერორისტული ბატალიონიდან გაიქცა. მას ცოტა ხანში კიდევ ექვსი ჯარისკაცი მიჰყვა. მათგან ორი - გეგენავა და ბერულავა - უკვე გაასამართლეს. რაც შეეხება დავით ხუროშვილს, მას დეზერტირობისთვის დიდი ხნის განმავლობაში ეძებდნენ. ბოლოს სამართალდამცველებმა მას საკუთარ სახლში მიაგნეს. პროკურატურა დავით ხუროშვილისთვის შვიდ წლამდე პატიმრობას მოითხოვს.

მოკლედ

ავღანეთი ჰუმანიტარულ დახმარებას საქართველოს გავლით მიიღებს

დღეს გერმანიიდან დაიძრება 200 ტონაზე მეტი პროდუქციით დატვირთული, "მერსედეს-ბენცის" 10 სატვირთო ავტომანქანა, რომლებიც "ახალი აბრეშუმის გზით" (ტრასეკა), საქართველოს გავლით, ავღანეთისაკენ ჰუმანიტარულ დახმარებას გადაზიდავენ. ტვირთი, რომელიც ავღანეთისათვის გერმანიის სახელმწიფო ორგანიზაციებმა "AGEF gGmbH"-მ და "THW"-მ გაიღეს, ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. კოლონა, რომელიც ავღანეთისაკენ "დაიმლერ-კრაისლერის" ინიციატივითა და ევროკავშირის პატრონაჟით მიემართება, ფოთში 15 სექტემბერს შემოვა და საქართველოს ტერიტორიაზე ორ დღეს დაჰყოფს. "ახალი აბრეშუმის გზის" სავაჭრო ტრასაზე ჰუმანიტარულ ტვირთს მსოფლიოს წამყვანი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების 67 წარმომადგენელი გამოაცილებს. საქართველოში კი სტუმრებს "მერსედეს-ბენცისა" და "დაიმლერ-კრაისლერის" გენერალური წარმომადგენელი მაკა ასათიანი უმასპინძლებს. 16 სექტემბერს კოლონას და მის საპატიო გამცილებლებს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე შეხვდება, რის შემდეგაც ისტორიული მსვლელობის მონაწილენი სასტუმრო "მარიოტში" ქართველი ჟურნალისტებისათვის პრესკონფერენციას გამართავენ.

24 საათი

შევარდნაძის მხარდამჭერები ბათუმშიც გამარჯვებას აპირებენ

სახელისუფლებო ბლოკ "ახალი საქართველოსთვის" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ბათუმში მოქკავშირის ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ზურაბ მიქელაძე იქნება, ხოლო ქობულეთში - ამავე რაიონის "მოქალაქეთა კავშირის" ლიდერი გულნარა ბასილაძე. აჭარის მოქალაქეთა კავშირის რეგიონული ორგანიზაციის ლიდერის აზიზ ახვლედიანის თქმით, მან იცის ხალხის განწყობა და ავტონომიური რესპუბლიკაში 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების შემთხვევაში, სახელისუფლებო ბლოკის კანდიდატებს ჩავარდნის არავითარი საშიშროება არ ემუქრება. ამასთან, ახვლედიანმა აღნიშნა, რომ ბოლო წლებში აჭარაში დემოკრატიული არჩევნები არ ჩატარებულა, ხოლო ავტონომიის მეთაურმა ასლან აბაშიძემ რამდენიმე კვირის წინ განაცხადა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მოწვეულ დამკვირვებლებს არ ცნობს.

პრაიმ-ნიუსი

გეგმა, რომელიც კანონად იქცევა

მერიის ხელმძღვანელობამ თბილისის სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მომუშავე ჯგუფები შექმნა. მერიის ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის ვარაუდით, გეგმა 9-10 თვეში მზად უნდა იყოს.

"თბილისის სტრატეგიული განვითარების გეგმა ძალზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი იქნება ქალაქის ხელისუფლებისთვის, ბიზნესმენებისთვის, უცხოელი ინვესტორებისა და ყოველი მოქალაქისთვის," – აცხადებს მერიის ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი მურად ნარსია. როგორც მერიის ხელმძღვანელობა ვარაუდობს, ეს გეგმა უცხოელი ინვესტიციების მოზიდვასაც შეუწყობს ხელს, რადგან ინვესტორებს ექნებათ ინფორმაცია 10-15 წლის განმავლობაში ქალაქში მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ.

თბილისის სტრატეგიული განვითარების გეგმას მსოფლიო ბანკი დააფინანსებს. იგი თბილისის მერიას 250 ათასი დოლარის გადმორიცხვას შეჰპირდა. 50 ათას დოლარს ქალაქის ბიუჯეტიდანაც ვარაუდობენ.

24 საათი

„ეი-ი-ეს თელასი" სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ემორჩილება

ეთერ მამულაშვილი

ლეიბორისტულმა პარტიამ "ეი-ი-ეს თელასს" კიდევ ერთი სასამართლო პროცესი მოუგო. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ომის ინვალიდებს, ომის მონაწილეებსა და მათთან გათანაბრებულ პირებს ელექტროენერგიაზე მაისში შეჩერებული შეღავათები კვლავ დაუწესდათ. თუმცა, ელექტროგამანაწილებელ კომპანიაში ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას მაინც ეჭვით უყურებენ.

ვახო ბაქაძის ფოტო

გადაწყვეტილების მოლოდინში.

მოსამართლე ჯემალ გვაგვალიას საბოლოო სიტყვას "ლეიბორისტებთან" ერთად სასამართლოს შენობაში და მის გარეთ შეკრებილი ორმოცდაათამდე ომის ვეტერანი ტაშის გრიალით და სამადლობელი შეძახილებით შეხვდა.

ვეტერანთა სიხარული, შესაძლოა, ნაადრევი აღმოჩნდეს, რადგან "ეი-ი-ეს თელასი" შეღავათების აღდგენას მხოლოდ ფინანსთა სამინისტროს მიერ დაგროვილი ვალების გასტუმრების შემთხვევაში აპირებს. სახელმწიფოს ელექტროგამანაწილებელი კომპანიის ოთხ მილიონზე მეტი ლარი მართებს.

ზემოთ ხსენებული კატეგორიის პირებს პარლამენტმა ჯერ კიდევ 1995 წელს, "ეი-ი-ესის" საქართველოში შემოსვლამდე დაუწესა ელექტროენერგიაზე შეღავათები. მაგრამ, ქრონიკული უსახსრობის გამო, ისინი ამ შეღავათებით იშვიათად სარგებლობდნენ. შარშანდელი აპრილიდან, თითქმის, მთელი რვა თვე ვეტერანებს ელექტროენერგიაზე არსებული შეღავათები ოფიციალურად შეუჩერდათ. წლის ბოლოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ხსენებული შეღავათი კვლავ აღდგა. ასევე, სასამართლომ პარლამენტს დაავალა, ზუსტად განესაზღვრა შეღავათის მიმღებთა კატეგორიები.

პარლამენტმა ნოემბრის ბოლოს დადგენილება გამოსცა და 1995 წელს მიღებულ კანონში მცირეოდენი ცვლილებები შეიტანა. ვეტერანებს უფასოდ მოხმარებულ ელექტროენერგიაზე გარკვეულ ლიმიტი დაუწესდათ. ზამთრის სეზონზე ომის ინვალიდებს სახელმწიფო 250 კვტ.საათ ელექტროენერგიას ჩუქნიდა, ზაფხულში – 150-ს. ამავე დადგენილებით ომის მონაწილეებს უფლება ეძლეოდათ, ნოემბერ-მარტში 125 კვტ.საათი ელექტროენერგია უფასოდ მოეხმარათ, აპრილი-ოქტომბრის თვეებში კი - 75 კვტ.სთ.

აღმასრულებელი ხელისუფლება გაჭირვებით ახერხებდა ვეტერანთა ამ პროგრამის დაფინანსებას. ფინანსთა სამინისტრო "ეი-ი-ეს თელასის" ანგარიშზე თანხის გადარიცხვას მუდმივად აგვიანებდა. გადარიცხული ფული თითქმის ყოველთვის არასრული იყო. პირველი აპრილისთვის სახელმწიფოს დავალიანება ამერიკული კომპანიის მიმართ 4.657.014 ლარი იყო. სწორედ ამ მიზეზით "ეი-ი-ეს თელასის" ყოფილმა ფინანსურმა დირექტორმა გალიმ ალნიაზოვმა 30 აპრილს სპეციალური ბრძანება გამოსცა, რომლის თანახმადაც ვეტერანებს 1 მაისიდან შეღავათები დროებით კვლავ შეუჩერდათ. მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის არგადახდის შემთხვევაში ვეტერანებსაც სხვების მსგავსად ოპერატიულად უწყდებოდათ ელექტროენერგიის მიწოდება.

გუშინდელ სასამართლო პროცესზე ელექტროგამანაწილებელი კომპანიის ადვოკატი დავით კაკაბაძე დაჟინებით მოითხოვდა ფინანსთა სამინისტროს მესამე მხარედ ჩართვას, რაც მოსამართლემ არ დააკმაყოფილა. კაკაბაძის განცხადებით, სამინისტროს პოზიციის გარეშე სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება არასრულფასოვანი იქნებოდა. **"ელექტროენერგია არის საქონელი, რომელიც იყიდება. "ეი-ი-ეს თელასი" არ არის საქველმოქმედო ორგანიზაცია, ის კომერციული კომპანიაა, რომელიც ყიდის ამ საქონელს. სახელმწიფომ, რაკი საკუთარ თავზე აიღო შეღავათების გატარება, თავადვე უნდა აგოს პასუხი ამ ვალდებულების შესრულებასა და შეუსრულებლობაზეც. ბუნებრივია, თუკი სახელმწიფო კომპანიის ძველ დავალიანებას გაისტუმრებს და მიმდინარესაც დროულად დაფარავს, ჩვენი მხრიდან პრობლემა არ იქნება, ყველა სახის შეღავათს სრულად აღვადგენთ"**, - განმარტა მოპასუხე მხარის ადვოკატმა.

მოსამართლე გვაგვალიამ მიიჩნია, რომ "ეი-ი-ეს თელასის" ფინანსურმა დირექტორმა 30 აპრილის ბრძანებით დაარღვია პარლამენტის მიერ მიღებული კანონი, რითაც უგულებელყო საქართველოს სახელმწიფოებრიობა. მოსამართლემ გალიმ ალნიაზოვის ბრძანება ბათილად ცნო და ვეტერანებს შეღავათები უპირობოდ აღუდგინა.

"ეი-ი-ეს თელასს" დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების საოლქო სასამართლოში გასაჩივრების უფლება ერთი თვის ვადაში აქვს. გამოიყენებს თუ არა ელექტროგამანაწილებელი კომპანია ამ უფლებას ჯერჯერობით უცნობია.

სოხუმის ციხიდან გაქცეული ჯოლოგუა კინდღში მოკლეს

გუშინწინ ოჩამჩირის რაიონის სოფელ კინდღში აფხაზური მილიციის შენაერთების მიერ სპეცოპერაციის ჩატარების დროს დაიღუპა 5 თვის წინ სოხუმის ციხიდან რვა პატიმართან ერთად გაქცეული სიკვდილმისჯილი, ეროვნებით ქართველი გერვასი ჯოლოგუა. ჯოლოგუას გვარი ბოლო ხანებში არაერთ სკანდალურ ისტორიაში ფიგურირებდა, რომელთაგან უმთავრესი ჩეჩენი საველე მეთაურის რუსლან გილაევის რაზმის აფხაზეთის ტერიტორიაზე გადასვლა და იქ საბრძოლო მოქმედებების წარმოება გახლდათ. ეს ლაშქრობა იმთავითვე ზოგიერთი ქართველი მაღალჩინოსნის ხელშეწყობით რუსეთის სპეცსამსახურების მიერ პროვოცირებულად მოინათლა. სხვადასხვა წყაროთა ცნობით, ჯოლოგუა ჩეჩენთა რაზმს მეგზურობას უწევდა და ამისათვის მიუსაჯა კიდეც აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სასამართლომ მას სიკვდილით დასჯა.

სეპარატისტთა სამხედრო სასამართლომ მას განაჩენი ოთხი მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის – ტერაქტის, დივერსიის, ადამიანების გატაცებისა და იარაღის უკანონოდ ტარება-გადატანისთვის გამოუტანა.

თუმცა, წელს, გაზაფხულზე, ჯოლოგუამ რამდენიმე ჩეჩენ და აფხაზ სიკვდილმისჯილთან ერთად მოახერხა სოხუმის ციხიდან გაქცევა, უფრო ზუსტად, სიკვდილმისჯილთა გაქცევას გარკვეულმა ძალებმა შეუწყვეს ხელი. რას ისახავდნენ გაქცევის ორგანიზატორები მიზნად - დღემდე უცნობია. მეტიც, უცნობია, ვინ შეუწყო ხელი გაქცევაში სიკვდილმისჯილებს – მხარეები გაქცევის ორგანიზებას ერთმანეთს აბრალებდნენ. ამასთან, აფხაზები ავრცელებდნენ ინფორმაციას, რომ ჯოლოგუამ ზუგდიდის რაიონს, ან კოდორს შეაფარა თავი. ამ ვერსიის საწინააღმდეგოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ ჯოლოგუა სოფელ კინდღში მოკლეს.

თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის უშიშროების მინისტრის გივი აგრბას განმარტებით, გერვასი ჯოლოგუას ჯგუფმა, რომელიც იზოლატორიდან გაქცევის შემდეგ ოჩამჩირის რაიონის ტერიტორიაზე გადაადგილდებოდა, სპეცოპერაციის დროს წინააღმდეგობა გაუწია სოხუმის ხელისუფლების მილიციისა და უშიშროების სამსახურის წარმომადგენლებს, რის გამოც მოხდა მისი ლიკვიდაცია.

აფხაზეთის უშიშროების მინისტრის ლევან კიკნაძის შეფასებით, სოხუმის იზოლატორიდან მიმდინარე წლის 7 აპრილს 9 პატიმრის გაქცევა, ჩეჩენი ბოევიკების გაუჩინარება და გერვასი ჯოლოგუას მკვლელობა სოხუმის ხელისუფლების სპეცსამსახურების მოწყობილია.

მისივე ინფორმაციით, სოხუმის ციხიდან გაქცეული 9 პატიმრიდან ჩეჩნებთან ერთად უხმაუროდ მხოლოდ ერთი აფხაზი მსჯავრდებული - ენვერ ტანაია გაუჩინარებული, ხოლო რაც შეეხება ჯოლოგუას, კიკნაძის ინფორმაციით, იგი ამ ხნის მანძილზე აფხაზი კრიმინალების მძევალი იყო. ისინი მას ოჩამჩირის რაიონში ამყოფებდნენ და მის გასათავისუფლებლად ჯოლოგუას მეუღლისგან - ეთერ ჯოლოგუასგან სოლიდურ თანხას ითხოვდნენ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამჟამად გერვასი ჯოლოგუას ცხედარი სოხუმის შინაგან საქმეთა სამინისტროს მორგშია მოთავსებული და მომხდარის გამოძიებას სებპარატისტების გენერალური პროკურატურა აწარმოებს.

"აფხაზეთი თქვენი სამშობლოა!"

პირველი გვერდიდან

ჯიხური ჩავდგათ სოხუმში და მესამე ძალის ჩაურევლად ბიზნესი ვაწარმოოთ," - ამბობდნენ ქართველი ბიზნესმენები. მაშინ აფხაზებმა ეს განცხადება სიხარულით მოისმინეს და აფხაზეთის ომით დაბრუნების დაგმობად მიიღეს. "ხელისუფლებამ გასაქანი უნდა მისცეს ჩვენს თაოსნობას," - თქვა ლევან არძინბამ. სხვათაშორის მან ისიც განაცხადა, რომ ლტოლვილების დაბრუნების მოთხოვნა პოლიტიკური დიალოგის ამოსავალი უნდა იყოს. ლევან არძინბამ იმ შეხვედრაზე წამოაყენა წინადადება, შექმნილიყო ბიზნესმენთა სამუშაო ჯგუფი, რომელიც ხელს შეუწყობდა კონფლიქტის პოლიტიკურ მოგვარებას, თბილისისა და სოხუმის დაინტერესებულ სტრუქტურებს შორის სუფთა ბიზნესის წარმოებისთვის დიალოგს. "ჩვენ ხალხს მეტი არც უნდა, - ამბობდა ლევან არძინბა, - საქმეს არ ეშველება, სანამ ამ პროცესში ჩვენ, ბიზნესმენები არ ჩავერთვებით".

კიდევ ერთი დეტალი იმ შეხვედრიდან: ლევან არძინბამ ქართველ კოლეგებს სადღეგრძელოში უთხრა: "აფხაზეთი თქვენი სამშობლოა".

იმ შეხვედრაზე საინტერესო იყო მეორე აფხაზის, მოსკოვის სამოდელო ბიზნესის ერთ-ერთი წარმომადგენლის, სააგენტო "რედსტარის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის ვიტალი ლეიბას განცხადებაც, რომელიც მაშინ ქართულ პრესაში გამოქვეყნდა კიდეც. ვიტალი ლეიბა იმ შეხვედრაზე ლევან არძინბასა და მოსკოველი ქართველების მოსაზრებებს კატეგორიულად არ ეთანხმებოდა და მცირე დისონანსიც შეიტანა შეხვედრაში, რაც მხოლოდ ქართულ-აფხაზური სუფრის ტრადიციების უნაკლოდ დაცვამ გაანეიტრალა. ვიტალი ლეიბა: "მოვა დრო და ძალიან მალე, აფხაზეთში წესრიგი და კანონი გაიმარჯვებს. მე ვიცი ძალიან ბევრი აფხაზი, ვისაც არ მოსწონს ის, რაც საქართველოში ხდება. ამიტომაც არ იზიარებენ ქართული მხარის მანიპულაციებს, პირიქით, ეს აფხაზების კონტრრეაქციას იწვევს. მე არ ვამტყუნებ არც ერთ აფხაზს, რომელსაც არ სურს და არც არასოდეს იცხოვრებს ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში. აფხაზებმა ცალკე უნდა იცხოვრონ."

სუფრაზე ქართულ "ხვანჭკარასთან" ერთად აფხაზური "ფსოუც" ისმებოდა...

მოსკოვში ქართველებისა და აფხაზების ორი წლის წინანდელი არაფორმალური შეხვედრა სასტიკად დაგმო სოხუმის ხელისუფლებამ, სოხუმში გამომავალმა "ნუჟნაია გაზეთამ", რუსულმა პრესამ და რუსეთის პარლამენტის წარმომადგენლებმა. ისინი დღესაც ყველაფერს აკეთებენ საქართველოდან აფხაზეთის საბოლოოდ მოსაწყვეტად.

განაჩენი

"1" სექტემბერი ქ. თბილისი

გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ნ. მისურაძემ, გლდანი-ნაძალადევის სოლიდ საგადასახადო ინსპექციის წარმომადგენლის მ. ჩაჩანიძის და მოვალე და მოვა შპს "Georgian Software Systems Lts"-ს დირექტორის გ. ბაციაძის მონაწილეობით განიხილა მოვალე შპს "Georgian Software Systems Lts"-ს განცხადება შპს შპს "Georgian Software Systems Lts"-ს ქონებაზე გაცოტრების საქმის წარმოების გახსნის თაობაზე

■■■■■■■

ხელმძღვანელე რა "გაცოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მუ-2, მუ-4, მუ-6, მუ-6(1), მუ-7, მუ-13, მუ-15 მუხლებით, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285 და 414-417-ე მუხლებით

დავადგინე:

1. გაეხსნას შპს "Georgian Software Systems Lts"-ს მიმართ გაცოტრების საქმის წარმოება და გამოცხადდეს გაცოტრებულად 2003 წლის 1 სექტემბრის 12 საათიდან.
2. გაცოტრების მმართველად დაინიშნოს ზვიად გადელია, მცხ. ქ. თბილისში, დიღმის მასივი VI კვ. მუ-18 კორპ. ე. 68. ტელ: 899 969097. ოპერატი.
3. გაცოტრების საქმის წარმოების გახსნასთან დაკავშირებით აუცილებლა ვალაუვალ მოვალეს - შპს "Georgian Software Systems Lts"-ს თავისი ქონების მართვა და განკარგვა და ეს უფლებამოსილება გადაეცეს გაცოტრების მმართველს.
4. ვალაუვალი მოვალის კრედიტორები ვალდებულნი არიან გაცოტრების სასამართლოს (გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლო) წარმოუდგინონ თავიანთი მოთხოვნები ვალაუვალი მოვალის მიმართ მოთხოვნის ოდენობის და ვალის საფუძვლის ჩვენებით 2003 წლის 9 სექტემბრამდე. მიუთითონ ვალაუვალი მოვალის კრედიტორებს, რომ მოთხოვნათა წაყენების ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი მოთხოვნები განიხილება როგორც დაგვიანებით განცხადებული მოთხოვნები და მათი გათვალისწინება არ მოხდება მასის განაწილებისას.
5. ყველა ის პირი, რომელსაც საკუთარების ან გირავნობის მოთხოვნის უფლება აქვს ვალაუვალი მოვალის ქონებაზე, ვალდებულია თავისი მოთხოვნები განაცხადოს გაცოტრების მმართველთან მოთხოვნების წაყენების ვადაში, ანუ 2003 წლის 9 სექტემბრამდე.
6. ყველა იმ პირს, რომელიც ფლობს ვალაუვალი მოვალის ქონებას მაუკუთვნებულ რაიმე ნივთს ან ვალდებულია მის მიმართ რაიმე ვალდებულების შესრულებაზე, ეკრძალება ამ ნივთის დაბრუნება ან ვალდებულების შესრულება ვალაუვალი მოვალის მიმართ და ყველა შესასრულის მოლის გაცოტრების მმართველისადმი.
7. მოწვეულ იქნეს კრედიტორთა პირველი კრება 2003 წლის 9 სექტემბერს 15 საათზე გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს შენობაში.
8. კრედიტორთა მოთხოვნების შესახებ ცნობები კრება გაიმართოს 2003 წლის 9 სექტემბერს 16 საათზე გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს შენობაში.
9. შპს "Georgian Software Systems Lts"-ს მიმართ ცალკეული კრედიტორების მიერ დაწყებული და დაუმთავრებელი იძულებითი აღსრულების ღონისძიებები გამოცხადდეს ძალადაკარგულად 2003 წლის 1 სექტემბრიდან და გადმოეცეს გაცოტრების სასამართლოს.
10. განჩინების შესახებ და სარეზოლუციო ნაწილები გამოქვეყნდეს გაზეთებში "24 საათი" და "თბილისი".
11. განჩინების ასლი გაეგზავნოს
ა) კავშირგაბმულობის შესახებ განკუთვნილებას და მიეთითოს, რომ ვალაუვალი მოვალის - შპს "Georgian Software Systems Lts"-ს ყველა ცნობილი და კორესპონდენცია გაეგზავნოს გაცოტრების მმართველს.
ბ) ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს სამწარმოე რეესტრს, რათა შეტანილ იქნეს შესაბამისი მონაცემები სამწარმოო რეესტრში გაცოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ.
12. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა გამოქვეყნებიდან 12 დღის ვადაში.

მოსამართლე: ნ. მისურაძე

საბედისწერო სოსო ალავიძე?

მაია მოსიაშვილი

შინაგან საქმეთა სამინისტროში საკადრო ცვლილებები, მით უფრო - არჩევნების წინა პერიოდში, გასაკვირ ამბავთა რიცხვს არ მიეკუთვნება. გუშინ რუსთავში გავრცელებულ ხმებს თუ დავუჯერებთ, შსს მინისტრმა რუსთავის პოლიციის უფროსის ნიკო ჯაფარიძის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება გადაწყვიტა. თუმცა კი, ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსი ალეკო ბუკია და თავად ჯაფარიძე დღის პირველ ნახევარში აცხადებდნენ, რომ ამის თაობაზე არაფერი იცოდნენ. გავრცელებული ხმების თანახმად, ჯაფარიძეს სოსო ალავიძესთან მეგობრობის გამო დაატოვებინეს თანამდებობა. ეს ეჭვი კიდევ უფრო გააძლიერა თავად ალავიძემ: თბილისის პოლიციის ყოფილმა უფროსმა და ამჟამად პოლიციელთა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის პრეზიდენტმა ჯაფარიძის გათავისუფლების შესახებ მერიის თაობირის მიმდინარეობისას შეიტყო. **"როგორც ჩანს, ის ზოგიერთებთან მეგობრობას გადააყოლეს,"** - თქვა მან.

"24 საათთან" საუბრისას კი ალავიძემ განაცხადა, რომ არ იცის, ნამდვილად გაათავისუფლეს ჯაფარიძე თუ არა: **"ის ხელისუფლების მხარდამჭერია და თუ გაათავისუფლეს, რატომ უნდა გაეკეთებინათ ეს, არ ვიცი."**

გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჯაფარიძის ადგილის დაკავების ყველაზე რეალური პრეტენდენტი "რუსთავგაზის" გენერალური დირექტორი დავით მჭედლიშვილია. მან პოლიციის რიგებიდან ბიზნესში რამდენიმე თვის წინ გადაინაცვლა, მანამდე კი ჯაფარიძის პირველი მოადგილე იყო და გამოცდილ და ხელისუფლებისათვის სანდო კადრად ითვლება. "24 საათი" დავით მჭედლიშვილს დაუკავშირდა, რომელმაც არსებული ინფორმაცია არც უარყო და არც დაადასტურა.

საარჩევნო კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად, საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციის ვადის გასვლიდან კენჭისყრის დამთავრებამდე პოლიციის ხელმძღვანელ პირთა საკადრო გადაადგილება იკრძალება. ახლა ზუსტად ის პერიოდია, როცა ხელისუფლების მიერ საარჩევნოდ საჭირო ან არასაჭირო ადამიანების გადარჩევა ხდება. რუსთავის პოლიციის უფროსის შეცვლაც, სავარაუდოდ, არჩევნებს უკავშირდება. როგორც უკვე ითქვა, ჯაფარიძე სოსო ალავიძის ძველი მეგობარია, ალავიძე კი რუსთავის მაჟორიტარობისათვის ბრძოლას აპირებს.

თვით შინაგან საქმეთა სამინისტროში ნიკო ჯაფარიძის გათავისუფლების თაობაზე კომენტარს საერთოდ არ აკეთებენ. თუმცა, როგორც კონფიდენციალური წყაროდან შევიტყვეთ, გუშინ საღამოს მისი გათავისუფლების ბრძანება ჯერ კიდევ არ იყო დაწერილი.

დაპირისპირება მაჟორიტარების გამო

"გაერთიანებული დემოკრატების" წარმომადგენლის მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით, იგი "ნაციონალურ მოძრაობას" საქართველოს ხელისუფლებასთან ალიანსში დაადანაშაულებს, თუ "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი კორექტული არ იქნება და "ბურჯანაძე-დემოკრატების" ბლოკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს რაიონში კონკურენტებს "ჩაუსვამს". ამ განცხადებას "ნაციონალების" ერთ-ერთი ლიდერი კოტე კემულარია არასამართლებრივს და არაზნეობრივს უწოდებს.

"მე არ მსურს ვიფიქრო, რომ "გაერთიანებული დემოკრატების" მხრიდან ადგილი აქვს ჩვენი დაშანტაჟების მცდელობას. რაიონებში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წარდგენას ვერავინ აგვიკრძალავს", - აცხადებს კემულარია და აღნიშნავს, რომ მსგავსი შინაარსის მოთხოვნები "ნაციონალურ მოძრაობას" "დემოკრატების" მისამართით არასდროს ჰქონია და არც მომავალში ექნება.

ინტერ-პრესი

ორი სიტყვით

თბილისი. საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის 27-კილომეტრიან მონაკვეთზე მილები უკვე ჩადებულია. 10 კილომეტრის სიგრძეზე დასრულებულია მილების შედუღების სამუშაოები. მილსადენის მშენებლობა, ჯერჯერობით, წალკის რაიონის ტერიტორიაზე მიმდინარეობს. "ბი-პი"-ში აცხადებენ, რომ სამშენებლო სამუშაოები გრაფიკის მიხედვით ტარდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ბაქო. ირანის საელჩომ აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს სთხოვა, განიხილოს ირანის ისლამური რესპუბლიკის განზრახვა - შეუერთდეს სატრანსპორტო დერეფნის განვითარების ძირითად შეთანხმებას ("ტრასეკა-ს პროექტს"). ამის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული იქნება ტრასეკა-ს წევრი ქვეყნების სამიტზე 2004 წლის პირველ ნახევარში. შეთანხმებას უკვე შეუერთდა 12 ქვეყანა: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, რუმინეთი, თურქეთი, მოლდოვა, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, უკრაინა, ყაზახეთი, ყირგიზეთი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "თელასის" ინფორმაციით, სანამ "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" კომპანიას ელექტროენერგი

არაფატს სამშობლოდან გაძევება ემუქრება

გუშინ ისრაელის თავდაცვის მინისტრმა შაულ მოფაზმა განაცხადა, რომ პალესტინის ადმინისტრაციის ლიდერი იასირ არაფატი სამშვიდობო პროცესს აფერხებს და ამიტომ ის პალესტინის ტერიტორიიდან გაძევებული უნდა იქნას. მისი თქმით, ამ საკითხის გადაწყვეტა ამ წელიწადშივეა მოსალოდნელი. **"მიმაჩნია, რომ ისრაელმა ისტორიული შეცდომა დაუშვა, როდესაც არაფატი ორი წლის წინ არ გააძევა. ვფიქრობ, ჩვენ ეს პრობლემა დროის მცირე მონაკვეთში უნდა მოვაგვაროთ. სავსებით შესაძლებელია, რომ ეს ამ წელიწადშივე მოხდეს,"** - განაცხადა შაულ მოფაზმა.

ამასთან, მან დასძინა, რომ აუცილებელია ფრთხილად იქნას მოფიქრებული გაძევების ვადები, რათა ზიანი არ მიადგეს პალესტინელი პრემიერ-მინისტრის მაჰმუდ აბასის სამშვიდობო ძალისხმევას, რომლის სერიოზულ განწყობაში ისრაელი სავსებით დარწმუნებულია.

უნდა ითქვას, რომ არაფატის გაძევების იდეა ისრაელში ახალი არ არის. ამას ჯერ კიდევ თავისი საარჩევნო კამპანიის დროს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ უჭერდა მხარს. ამ ინიციატივამ უკვე სახელისუფლებო წრეებშიც ჰპოვა გამოხმაურება. ეს კი მას შემდეგ მოხდა, რაც იასირ არაფატმა ისრაელის მოთხოვნა, მაჰმუდ აბასისათვის პალესტინის უმაღლესი მთავარსარდლის ფუნქციების გადაცემის თაობაზე, კატეგორიულად უარყო.

მანამდე კი, აშშ-ს ლიდერმა ჯორჯ ბუშმა არაორაზროვნად განაცხადა, რომ თუკი არაფატი შეიარაღებული ძალების სარდლობას მაჰმუდ აბასს არ დაუთმობდა, თეთრი სახლი ისრაელის პრემიერ-მინისტრს არიელ შარონს ადრე ნაკისრი ვალდებულებისაგან ათავისუფლებდა, რომელიც არაფატის ხელშეუხებლობას შეეხებოდა.

პარალელურად, პალესტინის პრემიერ-მინისტრი მაჰმუდ აბასი გუშინ გადადგომით დაიმუქრა, თუკი პალესტინის პარლამენტის წევრები მის ძალისხმევას, სამშვიდობო გეგმის რეალიზაციის მიზნით, მხარს არ დაუჭერენ. აბასი პარლამენტს მისი ნდობის საკითხზე კენჭისყრის ჩატარებისკენ მოუწოდებს. უკვე ცხადია, რომ თუკი ის პარლამენტის წევრთა უმრავლესობის ნდობას ვერ მიიღებს, მაჰმუდ აბასი პოსტს დატოვებს. ნდობის გამოცხადების შემთხვევაში კი, ის დეპუტატებისგან უშიშროების საკითხების მთლიანად მისთვის გადაცემას მოითხოვს. ამით მაჰმუდ აბასი ცდილობს, პალესტინაში დამკვიდრებული ორხელისუფლებიანობა გააუქმოს და რეალური ძალაუფლება აიღოს ხელში. მან კარგად იცის, რომ სამშვიდობო გეგმას - "საგზაო რუკას" - განხორციელება იქამდე არ უწერია, ვიდრე უშიშროების ძალებს მთლიანად იასირ არაფატი აკონტროლებს, ხოლო არაფატთან მოლაპარაკების წარმართვის სურვილი ისრაელს და აშშ-ს, დიდი ხანია, დაკარგული აქვთ.

REUTERS

იასირ არაფატს, შესაძლოა, წელს პალესტინა დაატოვებინონ.

რუსეთში მატარებელი აფეთქეს

რუსი გამომძიებლები ვაგონებს ათვალიერებენ.

გუშინ, გამთენიისას სამხრეთ რუსეთში მატარებელი აფეთქდა, რის შედეგად 6 ადამიანი გარდაიცვალა, ხოლო 38 დაიჭრა, - იუწყება რუსეთის საგანგებო საქმეთა სამინისტრო.

ორი ბომბი რკინიგზის ხაზზე იყო დამონტაჟებული, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში კისლოვოდსკს მინერალურ წყლებთან აკავშირებს. რუსეთის რკინიგზის სამინისტროს წარმომადგენლის ცნობით, ექვსვაგონიანი მატარებლის მესამე ვაგონში, რომელიც აფეთქებამ ყველაზე მეტად დააზიანა, დაახლოებით, 50 კაცი იმყოფებოდა.

თითოეული ბომბი 150 გრამ ასაფეთქებელ ნივთიერებას შეიცავდა. აფეთქებაზე პასუხისმგებლობა, ჯერჯერობით, არც ერთ დაჯგუფებას არ აუღია.

პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის წარმომადგენელმა სამხრეთ კავკასიაში ვიქტორ კაზანცევმა სახელმწიფო ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, რომ პოლიციამ ბომბების აფთქებაში ეჭვმიტანილი ერთი პიროვნება უკვე დააკავა.

ვლადიმირ პუტინმა საარჩევნო მარათონის დაწყება გამოაცხადა

ᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

აქვე უნდა ითქვას, რომ 1991 წელს საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, რუსული საარჩევნო კამპანიები ყოველთვის სკანდალური მოვლენებით, პოლიტიკური ძალადობით, ღია შეუარცხყოფებით და ტელევიზიაში მოჭარბებული პოლიტიკური პროპაგანდებით იყო დატვირთული. **"გასულ ოქტომბერს მოსკოვში დუბროვკის თეატრში ჩეჩენი მებრძოლების მიერ მძევლების მასობრივი აყვანა, რომელიც დიდი მსხვერპლით დასრულდა და ივლისში მუსიკალურ როკ-ფესტივალზე კამიკაძე-ტერორისტების მოქმედებები, რასაც 15 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, გვაფიქრებინებს, რომ ამჟამინდელი საარჩევნო კამპანია კიდევ უფრი სასტიკი იქნება,"** - აღნიშნავს "ნიუ-იორკ ტაიმსის" გუშინდელი გამოშვება.

ამჟამად რუსეთის სახელმწიფო დუმაში პრეზიდენტ პუტინის მომხრე უმრავლესობა დომინირებს. **"მიუხედავად იმისა, რომ პუტინი საკუთარ ძალებში დარწმუნებულია, მოსალოდნელია, რომ ის საარჩევნო პერიოდში ხმამაღალი გამოსვლებისაგან თავს შეიკავებს. ის ძალზე ყურადღებით დააკვირდება საზოგადოებრივ აზრში ნებისმიერ ცვლილებას, რამაც მის ხელახლა გაპრეზიდენტებას 2004 წლის მარტში, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას,"** - აღნიშნავს "ნიუ-იორკ ტაიმსი."

ეჭვგარეშეა, რომ პუტინის გუნდის საარჩევნო პროპაგანდა სიღარიბესთან ბრძოლასა და რუსეთის თანამედროვე სახელმწიფოდ გარდაქმნაზე იქნება აგებული. ასევე ეჭვგარეშეა, რომ პუტინის პრინციპულ მოწინააღმდეგედ კვლავ რჩება ძლიერი კომუნისტური პარტია ასევე ძლიერი თავმჯდომარით – გენადი ზიუგანოვით, რომელმაც უკვე ორჯერ წააგო საპრეზიდენტო არჩევნები. ზიუგანოვის თქმით, წლევანდელი საარჩევნო კამპანიები ყველა მანამდე ჩატარებულ არჩევნებს შორის "უბინძურესი" იქნება.

გენადი ზიუგანოვის საარჩევნო კამპანია მთლიანად პრეზიდენტ პუტინის პოლიტიკის კრიტიკას დაეფუძნება. ის არ ეთანხმება კრემლის პოლიტიკოსების განცხადებებს მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესების თაობაზე და მიიჩნევს, რომ რუსეთის 144-მილიონიანი მოსახლეობის ერთი მესამედი კვლავ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს.

"თუმცა, მცირერიცხოვანმა მემარცხენე პარტიებმა, რომელთა გამოჩენაც ზოგიერთი დამკვირვებლის აზრით პრო-კრემლური ძალების ინიციატივით მოხდა, შესაძლოა, კომუნისტებს ტრადიციული მხარდაჭერის რაღაც ნაწილი წაართვას," - ვარაუდობს "ნიუ-იორკ ტაიმსი."

რაც შეეხება "მემარჯვენე ძალთა გაერთიანებას" და პარტია "იაბლოკოს," ისინი კვლავ რეალურ ძალებად მოიაზრებიან. თუმცა, როგორც ანალიტიკოსები აღნიშნავენ, ძირითადი ბრძოლა მაინც კომუნისტებსა და პუტინის მხარდამჭერ ძალებს შორის გაიმართება. მიუხედავად იმისა, რომ შედეგების პროგნოზირებას ზოგიერთი დამკვირვებელი ამ ეტაპზევე თამამად ცდილობს და უსიტყვო ფავორიტად პუტინის მხარდამჭერ ძალებს მიიჩნევს, ფინიშამდე მაინც ბევრი სიურპრიზია მოსალოდნელი.

ქურთებმა სამშვიდობო ზავი გააუქმეს

ქურთების მუშათა პარტიამ, რომელიც მრავალი წლის მანძილზე ქურთისტანის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესაქმნელად იბრძოდა, განაცხადა, რომ თურქეთის მთავრობასთან ოთხი წლის წინ ცალმხრივად დადებულ ზავს აუქმებს.

მუშათა პარტიის წარმომადგენელმა მიზგინ სენმა თურქეთის ხელისუფლება ქურთების ჩაგვრაში დაადანაშაულა. მისი თქმით, ანკარამ ქურთების ფართო პოლიტიკური და კულტურული უფლებები არ მიანიჭა.

ქურთების მუშათა პარტიის წარმომადგენელმა იქვე დასძინა, რომ ფართო შეიარაღებული კონფლიქტის გაჩაღებას არ მოელის.

აღნიშნული განცხადება ქურთებით მჭიდროდ დასახლებული თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონის ქალაქ დიარბაქირში გამართულ შეკრებაზე გაკეთდა. ათასობით ქურთმა უფლებების გაზრდა და ქურთი პატიმრების გათავისუფლება მოითხოვა.

გასულ თვეს თურქეთის ხელისუფლებამ ქურთების მუშათა პარტიის დაპატიმრებული წევრებისათვის ამნისტია გამოსცა, მაგრამ ქურთ ლიდერებზე ეს არ გავრცელებულა.

15-წლიანი კონფლიქტის განმავლობაში 30 000-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა. ქურთები თურქეთის ყველაზე დიდი ეთნიკური უმცირესობაა და ქვეყნის 70-მილიონიანი მოსახლეობის, თითქმის, ერთ მეხუთედს წარმოადგენენ.

შარშან ქურთების მუშათა პარტიამ სახელი შეიცვალა და "კადეკად" (ქურთისტანში თავისუფლებისა და დემოკრატიის კონგრესი) გადაკეთდა. "კადეკის" წევრები დიარბაქირში გამართულ შეკრებაზე აცხადებდნენ, რომ 1999 წლის თებერვალში ქურთების ლიდერის აბდულა ოჯალანის დაკავების შემდეგ, ანკარასთან დადებული არაფორმალური ზავის შენარჩუნება შეუძლებელია.

"ცეცხლის ცალმხრივი შეწყვეტა დასრულდა. ახლა ცეცხლის შეწყვეტა მხოლოდ ორმხრივი შეთანხმებით მოხდება," - ნათქვამია ამ ჯგუფის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

"მე დაბალი ინტენსივობის ბრძოლების დაწყებას არ გამოვრიცხავ," - აღნიშნა მიზგინ სენმა, "კადეკის" წარმომადგენელმა.

სენის მტკიცებით, თურქეთის მთავრობამ ქურთებს კულტურული უფლებები სრულად არ აღუდგინა.

თურქეთის პარლამენტმა რამდენიმე თვის წინ უკვე მიიღო შესაბამისი კანონები, რომლებიც ქურთებს თავიანთ ენაზე ტელე და რადიომაუწყებლობის ნებას რთავს.

"გადაწყვეტილების მიღება ერთია და მისი აღსრულება - მეორე... ქურთებთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ მრავალი სერიოზული საკითხი არსებობს," - აღნიშნა მიზგინ სენმა ტელეკომპანია "ბი-ბი-სისთან" ინტერვიუში.

"კადეკის" წარმომადგენლის ცნობით, ანკარამ ცოტა ხნის წინ ქურთი პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლა განაახლა. სენის მტკიცებით, ეს სრულიად არ იყო საჭირო, რადგან ქურთები სამხედრო ოპერაციებს, უკვე კარგა ხანია, აღარ აწარმოებენ.

ქურთების განცხადებებმა ანკარას აღშფოთება გამოიწვია, მაგრამ ჯერჯერობით თურქეთის მთავრობას ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია.

ირანში ბრიტანეთის საელჩო დაიხურა

გუშინ ირანის დედაქალაქ თეირანში დიდი ბრიტანეთის საელჩო დაცხრილეს, მაგრამ არავინ დაშავებულა. სროლის შედეგად მხოლოდ საელჩოს შუშები დაიმსხვრა.

აღსანიშნავია, რომ ამ ინციდენტამდე რამდენიმე საათით ადრე ირანმა თავისი ელჩი ბრიტანეთში დროებით გამოიწვია, რადგან ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები ბოლო დროს დაიძაბა.

უკანასკნელი დღეების განმავლობაში ირანის ელჩი დიდ ბრიტანეთში ამაოდ ცდილობდა, რომ ბრიტანეთში დაკავებული ირანელი დიპლომატი ჰადე სოლეიმანპური გაეთავისუფლებინა. ლონდონმა სოლეიმანპური არგენტინის მთავრობის მოთხოვნით დააკავა. სოლეიმანპური ადრე ირანის ელჩი იყო არგენტინაში. არგენტინის ხელისუფლება 1994 წელს ბუენოს აირესში ებრაული ცენტრის აფეთქების ერთ-ერთ თანამონაწილედ სწორედ ირანის მაშინდელ ელჩს – ჰადე სოლეიმანპურს მიიჩნევს.

რამდენიმე დღის წინ ირანის პრეზიდენტმა მოჰამად ხათამიმ დიდი ბრიტანეთისაგან ოფიციალური ბოდიშის მოხდაც მოითხოვა. დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების მტკიცებით, მათ არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ, რადგან ექსტრადიციის საკითხებს საერთაშორისო შეთანხმებები არეგულირებს და მათ უფლება არ ჰქონდათ, არგენტინის მოთხოვნა არ გაეთვალისწინებინათ.

ბრიტანული მედიის ცნობით, არ არის გამორიცხული, რომ თეირანმა ბრიტანეთის ელჩი ქვეყნიდან გამოაძევოს.

ავღანეთის არმიაში რეფორმები განხორციელდება

გუშინ ავღანეთის მთავრობამ თავდაცვის სამინისტროს რეფორმირების გეგმა დაამტკიცა, რომლის მიზანს შეიარაღებულ ძალებში ეთნიკური ბალანსის დაცვა წარმოადგენს. ამას გარდა, მთელი ქვეყნის მასშტაბით განიარაღების პროგრამის დაწყებაა გათვალისწინებული.

პრეზიდენტ ჰამიდ ყარზაის წარმომადგენლის განცხადებით, თავდაცვის სამინისტროში საკვანძო თანამდებობებზე ახალ კადრებს მომავალი ორი კვირის განმავლობაში დაამტკიცებენ.

მისივე ინფორმაციით, სულ 22 ახალი პიროვნება დაინიშნება. რაც შეეხება თავდაცვის მინისტრის პოსტს, მას ამჟამინდელი მინისტრი მარშალ ფაჰიმი შეინარჩუნებს.

ავღანეთის მთავრობა იმედოვნებს, რომ მისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს - განიარაღების პროგრამას ძალიან მალე დაიწყებს. თუმცა, ბევრი საველე მეთაური თავდაცვის სამინისტროსათვის იარაღის ჩაბარებას, სავარაუდოდ, არ მოისურვებს, რადგან თავდაცვის უწყებას, ძირითადად, ერთი ეთნიკური ჯგუფი აკონტროლებს.

თალიბების რეჟიმის დამხობის შემდეგ, საკვანძო სამინისტროებში წამყვან როლს ტაჯიკები ასრულებენ. არადა, ავღანეთში ეთნიკურ უმრავლესობას პუშტუნები წარმოადგენენ.

პუშტუნები ჩივიან, რომ ისინი ხელისუფლებაში სათანადოდ არ არიან წარმოდგენილები. პუშტუნების უკმაყოფილება კი ქვეყანაში დესტაბილიზაციას უწყობს ხელს.

თავის მხრივ, არც ავღანეთის მთავრობა ენდობა პუშტუნებს, რადგან მათი მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ თალიბებს უჭერს მხარს, რომლებიც უკანასკნელ ხანებში გააქტიურდნენ და კოალიციის ძალებზე რამდენიმე თავდასხმა მოაწყვეს.

bp btc AIOC

აზერი-ჩირაგ-ბიუენშლის ოფშორული საბადოების ათვისების I ფაზის პროექტი და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საექსპორტო მილსადენის პროექტი

პროექტის დოკუმენტაციის საერთაშორისო საჯარო განხილვის პროცესი

აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის ოფშორული საბადოების ათვისების I ფაზის პროექტი გულისხმობს კასპიის ზღვის საბადოების ათვისებას, აზერბაიჯანის სანაპირო ზოლში. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტი მიზნად ისახავს 1760 კმ სიგრძის მილსადენის მშენებლობას, რომლითაც მოხდება ყოველდღიურად ერთ მილიონ ბარელამდე ნედლი ნავთობის ტრანსპორტირება აზერბაიჯანიდან,საქართველოს გავლით, თურქეთის მიმართულებით,საიდანაც ნავთობი შემდეგ მიეწოდება მსოფლიო ბაზრებს,და რომლის ამოქმედება 2005 წლიდან არის დაგეგმილი. ამ პროექტებში განხორციელებული ინვესტიციები ჯამში 10 მილიარდამდე აშშ დოლარს მიაღწევს,რაც მათ შორის მოიცავს 3,2 მილიარდ აშშ დოლარს აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის I ფაზის განვითარებისათვის და 2,95 მილიარდ აშშ დოლარს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საექსპორტო მილსადენისათვის. ორივე პროექტს წარმართავს კომპანია "BP",თითოეული ამ პროექტის საერთაშორისო ინვესტორთა ჯგუფების სახელით.

ერთობლივი მანდატის ფარგლებში, "საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია" (IFC) მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი, რომელიც ახორციელებს ინვესტიციებს კერძო სექტორში და "ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი" (EBRD) ამჟამად განიხილავენ თითოეული 100 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფის საკითხს აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის საბადოების ათვისების I ფაზის პროექტისათვის და თითოეული დამატებით 150 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფას – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის დაფინანსების მიზნით.

პროექტების მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტექსტში, რომელიც გულისხმობს პროექტების მშენებლობის და ექსპლოატაციის ეტაპების რეალიზაციას გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროებისადმი სათანადო დამოკიდებულების პირობებში, პროექტებმა მიმართეს უპრეცედენტო ნაბიჯებს – გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამჭვირვალობის და საზოგადოების მონაწილეობის დონის ამაღლების მიზნით, რაც, მათ შორის, მოიცავდა გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე ფართომასშტაბიანი საზოგადოებრივი კონსულტაციების და საჯარო განხილვების ორგანიზებას,გასული ორი წლის განმავლობაში. პროექტების ტერიტორიის მფლობელ სამივე ქვეყანაში "ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების" ანგარიშების საჯარო განხილვა და ეს დოკუმენტები ფართო საზოგადოების შესწავლის საგანი გახდა,რასაც 2002 წელს მოჰყვა დოკუმენტების დამტკიცება ქვეყნების მთავრობების მიერ.

ქვეყნების ტერიტორიაზე პროექტების ზემოქმედების არეალში მოქცეულ მოსახლეობასთან, პროექტების ქვეყნების ხელისუფლების ორგანოებთან და სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კონსულტაციების გარდა, ზოგიერთი საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტების მოთხოვნით, რომელიც პროექტის დაფინანსების შესაძლებლობას განიხილავს, უნდა მომზადდეს და საჯარო განხილვას დაექვემდებაროს "გარემოსდაცვითი შეფასების" დოკუმენტაცია,რაც უზრუნველყოფს,ამავე ინსტიტუტების და ორგანიზაციების შესაბამისი პოლიტიკის წესების და სახელმძღვანელო პრინციპების შესრულებას. ამ მოთხოვნიდან გამომდინარე, შეიქმნა დიდი მოცულობით დამატებითი დოკუმენტაციის მომზადების აუცილებლობა, რომელიც გაერთიანდა დოკუმენტების ამ პაკეტში, რომელიც ამჯერად არის წარმოდგენილი საჯარო განხილვისათვის.

წინამდებარე განცხადებით იხსნება საჯარო განხილვის 120-დღიანი პერიოდი (2003 წლის 12 ივნისიდან) რომელიც წინ უძღვის პროექტის დაფინანსების საკითხის განხილვას "საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის" და "ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის" მიერ. ეს ორგანიზაციები მოიხალისებიან შენიშვნების და მოსაზრებების მიღების საზოგადოების წევრების,არასამთავრობო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოებრივი ჯგუფების და სხვა დაინტერესებული მხარეებისაგან.

ფართო საზოგადოებას შეუძლია გაეცნოს საჯარო განხილვის მასალებს ინტერნეტ-გვერდზე, რომლის მისამართია www.caspiandevelopmentandexport.com ან მსოფლიო ბანკის "Infoshop"-ში (701 18th Street, N.W., Washington D.C., U.S.A). და EBRD ს საინფორმაციო ბიზნეს ცენტრში (One Exchange Square London სამუშაო საათებში).

აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტების დოკუმენტაციის ასლების გაცნობა შესაძლებელია აგრეთვე ქვემოთ მითითებულ მისამართებზე:

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის ოფისი,საბურთალოს ქ.38 თბილისი,ტელ: 59 34 00

რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრი კასპიისათვის ჭავჭავაძის პრ. 74,ოთახი 901,თბილისი

ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გუდიაშვილის ქ. 7,თბილისი

რუსთავის მერიაში კოსტავას ქ.20,რუსთავი

ახალციხის მერიაში კოსტავას ქ.18,ახალციხე

შეკითხვები და კომენტარები უნდა მიეწოდოს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის თბილისის ოფისს ან გაეგზავნოს "საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას" და "ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს" მათი ინტერნეტ-მისამართების მეშვეობით (www.ifc.org or www.ebrd.com)

კრივი

ჰოლიფილდი ლუისს წასვლას ურჩევს

ამერიკელმა მძიმეწონოსანმა მოკრივემ, ევანდერ ჰოლიფილდმა, მსოფლიო ჩემპიონ ლენოქს ლუისს ურჩია, დაასრულოს სპორტული კარიერა და რინგი დატოვოს. "ის უნდა წავიდეს და გზა დაუთმოს მათ, ვისაც მართლა ჩხუბი სწყურია", - განაცხადა ჰოლიფილდმა ბრიტანულ გაზეთ "გარდიანთან" საუბრისას. საინტერესოა, რომ თვითონ ჰოლიფილდი 40 წლისაა, მაგრამ სპორტული კარიერის დასრულებას ჯერ არ აპირებს.

უკანასკნელ პერიოდში ლუისი იმაზე ფიქრობდა, ეჩხუბა თუ არა ვიტალი კლიჩკოსთან მატჩ-რევანში, შეხვედროდა როი ჯონსს თუ დაესრულებინა სპორტული კარიერა. ფოლიფილდის თქმით, "ლუისი ბრძოლისთვის მზად არის, მაგრამ არა ნებისმიერ მეტოქესთან, არამედ მხოლოდ იმასთან, ვისაც აუცილებლად დაამარცხებს".

თვითონ ევანდერ ჰოლიფილდი ამჟამად კრივის საერთაშორისო ფედერაციის ვერსიით ქვემძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონ ჯეიმს ტონისთან შესახვედრად ემზადება. ეს ბრძოლა 4 ოქტომბერს არის დაგეგმილი. ვეტერანი აპირებს, იჩხუბოს მანამ, სანამ რომელიმე ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს არ დაიბრუნებს. შეგახსენებთ, რომ ჰოლიფილდი თავის დროზე ლუისს შეხვედრია. ის მატჩი საეჭვო ყაიმით დასრულდა. არადა, ბრიტანელის უპირატესობა თვალსაჩინო იყო. მომდევნო ორთაბრძოლაში ლუისმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა.

დე ლა ჰოია წავა, თუ მოსლისთან კიდევ წააგებს

სუპერსაშუალო წონაში WBA და WBC ვერსიებით მსოფლიო ჩემპიონი ოსკარ დე ლა ჰოია აცხადებს: სპორტულ კარიერას დაასრულებს იმ შემთხვევაში, თუ 13 სექტემბერს ლას-ვეგასის რინგზე კიდევ ერთხელ დამარცხდება შუგარ შეინ მოსლისთან ბრძოლაში. "თუ ასეთ ფორმაში მყოფს მოსლი გამლახავს, მაშინ ეს ჩემთვის დასასრული იქნება", - თქვა "ოქროს ბიჭუნამ" თავის საწვრთნელ ბაზაზე, რომელსაც "დიდი დათვი" ჰქვია.

აქვე დე ლა ჰოიამ განაცხადა, რომ არსებობს ბრძოლა, რომელზეც ის ოცნებობს. კერძოდ, მას სურს, ძალები მოსინჯოს ფელიქს ტრინიდატთან. "ჩემთვის დიდი იმედგაცრუებაა იმის აღქმა, რომ ფელიქსი რინგს არასოდეს დაუბრუნდება. მე მესმის, რომ მან, ფაქტობრივად, ნოკაუტში ჩამაგდო", - ამბობს ოსკარი. აღსანიშნავია, რომ დე ლა ჰოიამ თავისი სპორტული კარიერის განმავლობაში ორი შეხვედრა წააგო. ფელიქს ტრინიდატთან - 1999 წელს და შეინ მოსლისთან - 2000 წელს.

კალათბურთი

მილიჩიჩი NBA-ში წავიდა

დარკო მილიჩიჩმა მოახერხა და თავის ყოფილ, სერბულ კლუბ "ჰემოფარმთან" კონფლიქტი მოაგვარა. ამჟამად კალათბურთელი დეტროიტში მიდის. მილიჩიჩი, რომელიც წლევანდელ დრაფტზე მეორე ნომრად აირჩიეს, ნიუ იორკის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ვალდებულია, თავის მშობლიურ კლუბს ექვსი წლის განმავლობაში, ყოველწლიურად საკომპენსაციო თანხა გადაუხადოს. თანხის ოდენობა არ სახელდება.

აღსანიშნავია, რომ წლევანდელი დრაფტის ერთ-ერთმა ყველაზე საინტერესო ფიგურამ უარი განაცხადა, ევროპის ჩემპიონატზე სერბეთის ნაკრების შემადგენლობაში ითამაშოს, იმ მოტივით, რომ NBA-ში გადასვლა სურდა. ამის შემდეგ "ჰემოფარმმა" განაცხადა, რომ კონტრაქტის დასრულებამდე (2009 წლამდე) კალათბურთელს არსად გაუშვებს და ნიუ იორკის სასამართლოში სარჩელი აღძრა. გუნდმა, კომპენსაციის სახით, დაახლოებით 10 მილიონის გადახდა მოითხოვა.

ჯადრაკი

კასპაროვი, კარპოვი და პონომარიოვი ინდოეთში ითამაშებენ

13 წლის დიდოსტატი კი - ლოზანაში

დეკემბერში ინდოეთის ქალაქ მუმბაიში (ყოფილი ბომბეი) გაიმართება საერთაშორისო სუპერტურნირი, რომელშიც, სულ ცოტა, მსოფლიოს 13 წამყვანი დიდოსტატი ითამაშებს. როგორც გუშინ მუმბაის ჭადრაკის ასოციაციის პრეზიდენტმა რაგჰანანდან გოკხალემ ჟურნალისტებს განუცხადა, მე-20 კატეგორიის, აზიისთვის ამ უპრეცედენტო ტურნირში თამაშზე თანხმობა განაცხადეს სხვადასხვა დროს მსოფლიო ჩემპიონებმა გარი კასპაროვმა და ანატოლი კარპოვმა. ამას გარდა, მოწვეულთა შორის არიან: რუსები - ვლადიმირ კრამნიკი, პეტრ სვიდლერი და ევგენი ბარეევი, უკრაინელები - რუსლან პონომარიოვი (მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონი) და ვასილი ივანჩუკი, უნგრელები - იუდით პოლგარი და პეტერ ლეკო, ინგლისელი - მაიკლ ადამსი, ესპანელი - ალექსეი შიროვი, ებრაელი - ბორის გელფანდი. ინდოეთის ღირსებას, ბუნებრივია, ვიშვანათან ანანდი დაიცავს.

ტურნირის (გაიმართება სისტემით "ყველა ყველას წინააღმდეგ") საპრიზო ფონდი 62 ათასი დოლარია. შეჯიბრების ფარგლებში მოჭადრაკეები ჩაატარებენ ერთობლივი თამაშის სეანსებს, ითამაშებენ სწრაფი ჭადრაკის ტურნირში და წაიკითხავენ ლექციებს.

უძველეს კონტინენტზე კი საჭადრაკო დაფას მიუჯდება ყველაზე ახალგაზრდა საერთაშორისო დიდოსტატი, სიმფეროპოლელი მოსწავლე, 13 წლის სერგეი კარიაკინი. მან მიიღო მიწვევა ახალგაზრდა ოსტატთა თასზე სათამაშოდ, რომელიც შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში 17-დან 25 სექტემბრამდე გაიმართება. მოჭადრაკის მამის ალექსანდრ კარიაკინის თქმით, შეჯიბრებაზე მიწვეულია 20 წლამდე ასაკის 8 ყველაზე პერსპექტიული მოჭადრაკე. სხვათა შორის, მსოფლიო ჩემპიონობამდე ტურნირში რუსლან პონომარიოვიც მონაწილეობდა, მაგრამ გამარჯვება ვერ შეძლო.

კარიაკინი მსოფლიო ჩემპიონია 12 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის, 14 წლამდე ასაკში - ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი და სწრაფ ჭადრაკში ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი.

ჰოკეი

აიზერმანი დაბრუნდა

დეტროიტელი "წითელი ფრთების" კაპიტანი სტივ აიზერმანი ყინულის მოედანს დაუბრუნდა. ამას წინათ მან ქალაქ ტროიში (მიჩიგანის შტატი) თანაგუნდელებთან - ნიკლას ლიდსტრიომთან, ბრეტ ჰალთან, კრის ჩელიოსთან დარენ მაკარტისთან და პაველ დაციუკთან ერთად ივარჯიშა.

შარშან აიზერმანი მუხლის სერიოზულმა ტრავმამ გააწვალა, ოპერაციაც დასჭირდა. ამის გამო ჰოკეისტმა მხოლოდ 20 მატჩი ჩაატარა, სამი ამდენი კი გამოტოვა. ტრავმის მიუხედავად, ვეტერანმა ჰოკეისთვის ერთგულების პრიზი დაიმსახურა - "ბილ მასტერტონ ტროფი".

"მთელი ზაფხულის განმავლობაში საგულდაგულოდ ვვარჯიშობდი, ამიტომ მოუთმენლად ველოდი ყინულზე დაბრუნებას, - განაცხადა აიზერმანმა, - იმედი მაქვს, ახალი სეზონი ჩემთვის უკეთესი იქნება, ვიდრე შარშანდელი. რაც შეეხება ჩემს მუხლს, ის სრულ მზადყოფნაშია".

კანადელისთვის მომავალი სეზონი "წითელი ფრთების" შემადგენლობაში 21-ე იქნება. აქედან 18 წლის განმავლობაში აიზერმანი გუნდის კაპიტანია.

TV-სპორტი

ხუთშაბათი. 4 სექტემბერი

NTV + ФУТБОЛ

13:00, 16:50, 19:20, 23:45 თავისუფალი დარტყმა
13:15 ინგლისის ჩემპიონატი. მიმოხილვა
14:15 პოსტსკრიპტუმი
14:45 ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლამენგო - კორინტიანსი
16:20 ფეხბურთი ა-დან წ-მდე
17:05 გასული კვირის ჰიტ-პარადი
18:50 საერთაშორისო ტელეჟურნალი "FUTBOL MUNDIAL"
19:35 უიქ-ენდი. მატჩების ანონსი
19:40 ხვალინდელი პროგრამა
19:50 ჰოკეი. ევროტური. ჩეხეთი - რუსეთი
22:30 დარტყმა გოლის მიმართულებით
24:00 შარშანდელი სეზონის გახსენება. ლიბერტადორესის თასი ფინალი: სანტოსი - ბოკა ხუნიორსი. მეორე მატჩი.
01:45 ინგლისის ჩემპიონატი. მიმოხილვა

NTV + СПОРТ

11:00, 17:15, 19:30 პრესცენტრი
11:15, 19:45 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. შესვენებისას (14:00) პრესცენტრი
16:15 ათენის გზაზე
17:30 კალათბურთი. WNBA პლეი-ოფი. დეტროიტი - კლივლენდი. მესამე მატჩი.
19:00, 02:55 სიჩქარის სამყარო
19:50 ხვალინდელი პროგრამა
19:55 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (22:00) პრესცენტრი, (01:15) ახალი ამბები
03:25 ნადირობის სეზონი
03:55 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია

EUROSPORT

11:30 საცხენოსნო სპორტი
12:30 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატების ლეგენდები. ბრაზილია
13:30 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
14:00 ფეხბურთი. ევროგოლები
15:00 სპიდვეი. მსოფლიო თასი. დანია
16:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატის ლეგენდები
17:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი
20:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი
22:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი
24:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი
02:45 ევროსპორტის სიახლენი
03:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი
04:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ავსტრალია
04:30 ევროსპორტის სიახლენი

ფეხბურთი

ნაკრები მზადებას განაგრძობს - ისევ ჯამარაულის გარეშე

დემეტრაძე და ხიზანიშვილი დატვირთვებს ერიდებიან

აკა ტონია

უკვე მესამე დღეა, რაც საქართველოს ეროვნული ნაკრები ალბანელებთან მატჩისთვის ემზადება. სიახლე ის არის, რომ გუნდს შეუერთდა გელზენკირხენის "შალკეს" ნახევარმცველი ლევან კობიაშვილი, რომელიც თბილისში გუშინწინ, ღამით ჩამოფრინდა. ნაკრების ბაზაზე კობიაშვილი გუშინ დილით გამოცხადდა და მსუბუქად ივარჯიშა. დილის 11 საათზე ნაკრები სავარჯიშოდ "შევარდენის" სტადიონზე მიემგზავრებოდა, თუმცა, გეგმები მალე შეიცვალა და ავტობუსმა ეროვნული სტადიონისკენ აიღო გეზი. ეროვნულზე არ იყო ლევან კობიაშვილი, რომელიც პირველ დღეს დიდ დატვირთვებს მოერიდა. გოჩა ჯამარაულმა მოედანს ძუნძულით შემოურბინა, შემდეგ კი, ფეხზე ყინულებდადებული, უცქერდა თანაგუნდელების ვარჯიშს. ჯამარაულის თამაში ისევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, მტკივანი კოჭი ისევ აწუხებს.

გუშინწინ სრულად არ უვარჯიშიათ არველაძეს, დემეტრაძეს, იაშვილს და ხიზანიშვილს, რადგან თბილისში იმ დღით ჩამოვიდნენ. არველაძე და იაშვილი გუშინდელ ვარჯიშზე სრულად დაიტვირთნენ, მაგრამ დემეტრაძე და ხიზანიშვილი, წინა დღის მსგავსად, ძუნძულით შემოიფარგლნენ. მიზეზი სრულად გაურკვეველია - არც ერთ მათგანს ტრავმა არა აქვს.

იმედია, მერაბ ყორდანიას დაბადების დღეს ფეხბურთელები შაბათს, გამარჯვებით მიულოცავენ.

გუშინდელმა ვარჯიშმა დაახლოებით ორ საათს გასტანა და საკმაოდ განსხვავებდა წინა დღის ვარჯიშისგან. საქართველოს ნაკრების ფიზმომზადების შვეიცარიელმა მწვრთნელმა გუშინწინდელ ვარჯიშზე ფეხბურთელებს დიდი ფიზიკური დატვირთვები მისცა. გუშინდელი ვარჯიში კი უფრო ტაქტიკურ მეცადინეობას დაეთმო.

დღის პირველი საათისთვის ნაკრები ბაზაზე დაბრუნდა. აუზში ცურვის ტაქტიკური მეცადინეობა შედგა. ჩვენი ნაკრების წევრებმა ალბანეთის გუნდის უკანასკნელი შეხვედრების ვიდეოჩანაწერებიც ნახეს.

და კიდევ ერთი: გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტისა და ნაკრების მწვრთნელის მერაბ ჟორდანიას დაბადების დღე იყო, მაგრამ შამპანური და ზეიმი ნაკრების ბაზაზე გუშინ არ ყოფილა. გაზეთი "24 საათი" მერაბ ჟორდანიას დაბადების დღეს ულოცავს და ალბანელებთან მატჩში გამარჯვებას უსურვებს. იმედი გვაქვს, შაბათს ალბანელებთან მატჩის შემდეგ საზეიმო განწყობა გვექნება. შამპანურიც მაშინ იყოს...

ახალგაზრდული „ლოკომოტივს" ანადგურებს

ლოკომოტივი 1:5 ახალგაზრდული ნაკრები

აკა ტონია

გოლები: *1:0, 2:0 ციმაკურიძე, 3:0,4:0 გამეზარდაშვილი, 5:0 მოდებაძე, 5:1 ბურნაძე.*

შაბათს, რვა საათზე, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე საქართველოს ეროვნული ნაკრები ალბანელებს ეთამაშება. სამი საათით ადრე კი ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები ბოლნისში ალბანელ ახალგაზრდებს შეხვდება.

რევაზ არველაძის გუნდი "ნორჩი დინამოელის" მოედანზე ემზადება. გუშინ კი "ლოკომოტივის" სტადიონზე ახალგაზრდულმა ნაკრებმა "ლოკომოტივთან" ტესტ-მატჩი გამართა. მატჩის დაწყებამდე ჩვენმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ნახევარსაათიანი, საკმაოდ ინტენსიური ვარჯიში ჩაატარა. "ლოკომოტივის" რამდენიმე ფეხბურთელი სწორედ ახალგაზრდულ ნაკრებშია მიწვეული. ეს ფეხბურთელები გუშინ საკუთარი კლუბის წინააღმდეგ გამოვიდნენ მოედანზე. ამ ფაქტორს და მეკარე ლომაიას "სპარტაკში" გადასვლას თუ გავითვალისწინებთ, რკინიგზელებმა საგრძნობლად შესუსტებული შემადგენლობით ითამაშეს და წარმატების იმედიც ნაკლებად უნდა ჰქონოდათ. ის კი არა, რეზო არველაძე, რომელიც "ლოკომოტივსაც" უდგას სათავეში, გუშინ, ცხადია, ნაკრებს მეთაურობდა. "ლოკომოტივს" კი სათავეში ედგა გოჩა ტყებუჩავა, რომელიც, ამავე დროს, ახალგაზრდულის მეორე მწვრთნელიც გახლავთ. მიუხედავად იმისა, რომ მეტოქე გუნდებს საერთო მწვრთნელები და ბევრი საერთო ფეხბურთელიც ჰყავდათ, მათი დაპირისპირება, უდავოდ, სასარგებლო იყო ორივესთვის.

არველაძემ პირველ ტაიმს ტრიბუნიდან უყურა, მეორე ნახევარსში კი საქმეს შეუდგა.

ორივე გუნდის მთავარი მწვრთნელი რეზო არველაძე კი მატჩს ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს. ახალგაზრდულ ნაკრებს მეკარეების მწვრთნელი ნიკა ჩხეიძე მეთაურობდა. იქვე იყო ვლადიმერ პანოვიც, რომელიც "მცხეთიდან" წამოვიდა და გუშინ ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის თანაშემწედ მოგვევლინა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო უბრალო ტესტ-მატჩი, "ლოკომოტივის" სტადიონზე ტაბლოც ჩართული იყო და შესვენებისას მუსიკასაც გვასმენინებდნენ. მაყურებელთა რაოდენობა, ალბათ, 200 კაცს არ აღემატებოდა.

ახალგაზრდულმა ნაკრებმა 3-5-2 ტაქტიკით დაიწყო თამაში. კარს მამალაძე იცავდა. ციმაკურიძე, ინწკირველი და ორბელაძე დაცვის ხაზს წარმოადგენდნენ. საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე გამეზარდაშვილი თამაშობდა მის წინ კი - მარცვალაძე, სირაძე, დეკანოსიძე და კანდელაკი. შემტევი დუეტი: ახალაია – ბობოხიძე.

ცხადია, ფეხბურთელები ტესტ-მატჩის შესაბამისად ირჯებოდნენ, თუმცა, გამარჯვების სურვილი ორივე გუნდს ეტყობოდა. მწვავე მომენტებიც იყო. პირველ ნახევარში ორივე გოლი სტანდარტული სიტუაციიდან გავიდა. ორივე, კუთხურიდან ჩამოწოდების შემდეგ, ციმაკურიძემ გაიტანა, ორივე თავით.

პირველი ტაიმი საკმაოდ გაწონასწორებული გახლდათ, თუმცა, ალბათ, იმის თქმაც შეიძლება, რომ ახალგაზრდული ნაკრები კლასის ხარჯზე ამარცხებდა მეტოქეს.

შესვენებისას რეზო არველაძე მოედანზე ჩავიდა და ფეხბურთელებს დავალებები მისცა. რამდენიმე მოთამაშე შეიცვალა. მოედანზე შევიდნენ მეკარე ბალაძე, ბერიანიძე, სალუქვაძე, მანწკავა, კალაძე, ქოქიაშვილი და მოდებაძე. ახალგაზრდულმა ნაკრებმა დასვენებული ფეხბურთელებით დაიწყო მეორე ტაიმი, რომელიც მთლიანად მათი უპირატესობით მიმდინარეობდა. ისევე როგორც პირველ ნახევარში, ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელის მიერ შესრულებული "დუბლი" მეორე ტაიმშიც ვიხილეთ. ამჯერად უკვე გამეზარდაშვილმა (64-ე და 65-ე წუთებზე) ზედიზედ დალაშქრა გრიშიკაშვილის კარი. "თავისი" გოლი გაიტანა მოდებაძემაც – 5:0. მატჩის მიწურულს ახალგაზრდული ნაკრების მცველებმა ლოკომოტიველ ბურნაძეს სრულ სიმარტოვეში გოლის გატანის საშუალება მისცეს და მანაც საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 5:1.

ტესტ-მატჩის კვალობაზე, ჩვენმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. კმაყოფილი იყო რეზო არველაძეც. "ლოკომოტივს" კი ნამდვილად მოუწევს თამაშის მომატება.

სასწაული ერთ წელიწადში

ბლატერმა FIFA გაამდიდრა

უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში FIFA-მ ფინანსურ კრიზისს თავი დააღწია და უაღრესად შემოსავლიან ორგანიზაციად იქცა. ასეთი ეკონომიკური პროგრესის მიზეზების ახსნა საკმაოდ ძნელია, თუმცა, თავად FIFA-ს პრეზიდენტი ზეპ ბლატერი ამაში არაჩვეულებრივს ვერაფერს ხედავს.

ზეპ ბლატერი – ფინანსური ჯადოქარი.

გასულ ორშაბათს ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციების ფედერაციამ გამოაქვეყნა დასკვნა საკუთარი ფინანსური საქმიანობის შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ნათელი გახდა, რომ მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა.

დასკვნაში ნათლად ჩანს, რომ 1999-2003 წლებში FIFA-ს მოგებამ 115 მილიონი შვეიცარიული ფრანკი (82 მლნ. აშშ დოლარი) შეადგინა. ამ ხნის განმავლობაში FIFA-მ 2,57 მილიარდი შვეიცარიული ფრანკი დახარჯა, მაშინ როდესაც ორგანიზაციის შემოსავალმა 2,68 მილიარდი შეადგინა. გამოქვეყნებული ფინანსური გეგმების მიხედვით, მომავალი ოთხი წლის განმავლობაში FIFA-ს მოგება 170 მილიონ ფრანკამდე გაიზრდება. დანახარჯი, სავარაუდოდ, 1,872 მილიარდს, ხოლო შემოსავალი 2,042 მილიონს მიაღწევს.

FIFA-ს ასეთი ფინანსური აღმასვლა საფეხბურთო სამყაროს დიდ კმაყოფილებას იწვევს, თუმცა, იგრძნობა გაკვირვებაც. საქმე ის არის, რომ ჯერ კიდევ 2002 წელს FIFA-ს ფინანსური მდგომარეობა კრიტიკულად ფასდებოდა. ორგანიზაციის ფინანსური დეფიციტი 134 მილიონი შვეიცარიული ფრანკი იყო.

FIFA-ს ასეთი არასახარბიელო ფინანსური მდგომარეობა კომპანია ISL-ISMM-ის გაკოტრებამ გამოიწვია. ეს კომპანია FIFA-ს უმთავრესი პარტნიორი გახლდათ მარკეტინგული საქმიანობის განხრით.

ISL-ISMM-ის გაკოტრებაში ბლატერის ოპონენტები თავად FIFA-ს პრეზიდენტს ადანაშაულებდნენ. 2002 წლის არჩევნების წინ FIFA-ს გენერალური მდივანი მიშელ ზენ-რუფინენი ბლატერს დაუპირისპირდა და პრეზიდენტი ორგანიზაციის ფინანსურ დაუძლურებაში დაადანაშაულა. ის არჩევნები ბლატერმა მაინც მოიგო, ზენ-რუფინენი და მისი მეგობრები თანამდებობებიდან გაათავისუფლა, ხოლო FIFA-ს ფინანსური საქმიანობა საიდუმლო გახადა.

უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში FIFA-ს ფინანსური ოპერაციები საიდუმლოდ ინახებოდა. ერთი წლის თავზე კი ნათელი ხდება, რომ ამ ხნის განმავლობაში ორგანიზაციის მოგებამ 249 მილიონი ფრანკი შეადგინა. FIFA-სთან დაახლოებული ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ეს ეკონომიკური ზრდა ორგანიზაციის სტრუქტურული ცვლილებებით არის გამოწვეული, რომლებიც ზეპ ბლატერმა მსოფლიოს უკანასკნელი ჩემპიონატის შემდეგ წამოიწყო. შეიქმნა სპეციალური პროგრამა, რომელსაც SCORE ეწოდება და რომლის მეშვეობითაც მოხერხდა დანახარჯების მნიშვნელოვნად შემცირება.

FIFA-ს ფინანსური გაჯანსაღების პროგრამაზე ძალიან ცოტა რამ არის ცნობილი, მაგრამ ვარაუდობენ, რომ კატარში, FIFA-ს რიგგარეშე კონგრესზე, ამ პროექტის შესახებ დაწვრილებით ისაუბრებენ.

გასულ წელს მან "კალგარის" შემადგენლობაში 19 მატჩში მიიღო მონაწილეობა, თუმცა, შედეგიანობით ვერ დაიკვეხნის – მის ანგარიშზე სულ 4 (2+2) ქულაა.

■ ■ ■

მძლეოსნობა. ამერიკელი მორბენალი ქალი კელი უაიტი აკრძალული პრეპარატის, მოდაფინილის გამოყენების გამო დისკვალიფიკაციას გადაურჩა, მაგრამ, შესაძლოა, პარიზში ახლახან დასრულებულ მსოფლიო ჩემპიონატზე მოპოვებული ოქროს მედლების გარეშე დარჩეს. ამის თაობაზე ოფიციალური განცხადება გააკეთა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა, უნგრელმა იშტვან დულაიმ. უაიტის მიერ 2 დისტანციაზე (100 და 200 მეტრზე რბენაში) მოპოვებული ოქროს მედლების ბედი ექიმების დასკვნაზეა დამოკიდებული. საბოლოო გადაწყვეტილებას ისინი მომავალ კვირაში გამოიტანენ.

ინფოთეკა

ფეხბურთი. მარჯვენა მუხლის ტრავმის გამო ორი კვირით მწყობრიდან გამოვიდა მადრიდის "რეალის" ნახევარმცველი ივან ელგერა. "ვილიარეალთან" შეხვედრაში ფეხბურთელს მყესები დაუზიანდა და მატჩის დამთავრება ვერ შეძლო. ამრიგად, ელგერა გამოტოვებს მატჩებს უკრაინისა და პორტუგალიის წინააღმდეგ.

■ ■ ■

ფეხბურთი. ევრო 2004-ის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ნაკრების მეტოქის, შვეიცარიის ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა დაასახელა ის 20 ფეხბურთელი, რომლებსაც მოსკოვში ჩაიყვანს და 10 სექტემბერს რუსეთის წინააღმდეგ ათამაშებს. სიაში შევიდნენ მეკარეები: ბორერი, ცუბერბიულერი; მცველები: მაიერი, მიულერი, მ. იაკინი, ბერნერი, ცვისიგი, ანშო, მანინი, შპიხერი; ნახევარმცველები: კაბანასი, სელესტინი, ფოგელი, ვიკი, კენტალუპი, ჰუგელი; თავდამსხმელები: შაპიუზა, ფრაი, რამა.

■ ■ ■

ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის სტარტზე შოთა არველაძის "გლაზგო რეინჯერსს" სერიოზული ძალა გამოაკლდა. გერმანიის "შტუტგარტთან" მატჩის გამოტოვება მოუწევს რონალდ დე ბურს, რომელსაც ორი დღის წინ მუხლზე ოპერაცია გაუკეთეს. "რონალდი 4-6 კვირის განმავლობაში ვერ შეძლებს თამაშს", - განაცხადა "რეინჯერსის" მთავარმა მწვრთნელმა ალექს მაკლიშმა. თუმცა, მან იმედი გამოთქვა, რომ დე ბური გუნდს ქვეჯგუფის სხვა შეხვედრებში დაეხმარება. შოტლანდიის ჩემპიონს "შტუტგარტის" გარდა ჯგუფში მეტოქეობას უწევენ "მანჩესტერ იუნაიტედი" და "პანათინაიკოსი".

■ ■ ■

კალათბურთი. ლეგენდარული ლიტველი კალათბურთელი არვიდას საბონისი მშობლიურ "ჟალგირისს" დაუბრუნდა და ვარჯიშსაც შეუდგა. გუშინ ლიტვის ამ საუკეთესო კლუბში ამერიკელი გამთამაშებელი ედუარდო კოსტაც ჩავიდა. ასე გაძლიერებული "ჟალგირისი" მალე ჩაებმება ევროლიგის ტურნირში, სადაც ქვეჯგუფში ტრადიციული მეტოქე ელის მოსკოვის ცსკა-ს სახით.

■ ■ ■

ჩოგბურთი. ცნობილი ხორვატი ჩოგბურთელი გორან ივანიშევიჩი აპირებს, უახლოეს მომავალში განცხადება გააკეთოს აქტიური სპორტიდან წასვლის შესახებ. ამის თაობაზე გუშინ ინფორმაცია გავრცელა მისმა პირადმა აგენტმა ჯერარდ ცობანიანმა ნიუ იორკში, ამერიკის ღია პირველობის მსვლელობისას.

ივანიშევიჩი, რომელსაც 32 წელი უსრულდება, მხრის ოპერაციის შემდეგ, წლეულს, თებერვალში დაუბრუნდა კორტს, მაგრამ ზედიზედ სამ ტურნირში მონაწილეობის შემდეგ იდაყვის ტრავმის გამო ისევ საავადმყოფოში აღმოჩნდა. ცობანიანი ამტკიცებს, რომ მის კლიენტს არ ხიბლავს ქირურგის დანის ქვეშ კიდევ ერთხელ მოხვედრის პერსპექტივა. ამიტომ "გორანი კარიერის დასრულებაზე სულ უფრო მეტს ფიქრობს", - აღნიშნა მან.

■ ■ ■

ფორმულა 1. "უილიამსის" პილოტი რალფ შუმახერი ჰოსპიტალში მოხვდა მას შემდეგ, რაც იტალიის "მონცას" ავტოდრომზე გამართულ ტესტ-გარბენებში ავარიაში მოყვა. ეს ორი დღის წინ მოხდა. ამჟამად გერმანელი ავტომრბოლი სრულ სამედიცინო შემოწმებას გადის მილანის ჰოსპიტალ "სან რაფაელში".

"ჯერ ძნელია იმის თქმა, თუ რა გახდა ავარიის მიზეზი. შუმახერის ბოლიდი რამდენჯერმე ამოტრიალდა და მიწას დაენარცხა, თუმცა, დამცავ ნაგებობებს არც შეჯახებია", - განაცხადა ტრასის დირექტორმა გრიგორიო ბარტოლიმ. მექანიკოსების თქმით, ამ შემთხვევის შემდეგ უმცროსი შუმახერი ხუმრობის გუნებაზეც კი იყო და მათ არწმუნებდა, ყველაფერი რიგზეაო.

■ ■ ■

ჰოკეი. "ედმონტონის" ხელმძღვანელობამ განცხადება გააკეთა ორ ფორვარდთან - პიტერ სარნოსთან და ჯეიმი რეიტთან 2-2-წლიანი კონტრაქტების გაფორმების თაობაზე.

სარნომ, რომელიც 1997 წლის დრაფტზე 141-ე ნომრად იყო განთესილი, ბოლო სეზონი ჩაატარა "ფილადელფიაში", სადაც 45 მატჩში 40 ქულა (17 გოლი და 23 შეგდებითი გადაცემა) მოაგროვა.

რაც შეეხება 27 წლის რაიტს, მან პროფესიულ ჰოკეიში გატარებული 7 სეზონის განმავლობაში უკვე 4 გუნდის გამოცვლა მოასწრო. გასულ წელს მან "კალგარის" შემადგენლობაში 19 მატჩში მიიღო მონაწილეობა, თუმცა, შედეგიანობით ვერ დაიკვეხნის – მის ანგარიშზე სულ 4 (2+2) ქულაა.

■ ■ ■

მძლეოსნობა. ამერიკელი მორბენალი ქალი კელი უაიტი აკრძალული პრეპარატის, მოდაფინილის გამოყენების გამო დისკვალიფიკაციას გადაურჩა, მაგრამ, შესაძლოა, პარიზში ახლახან დასრულებულ მსოფლიო ჩემპიონატზე მოპოვებული ოქროს მედლების გარეშე დარჩეს. ამის თაობაზე ოფიციალური განცხადება გააკეთა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა, უნგრელმა იშტვან დულაიმ. უაიტის მიერ 2 დისტანციაზე (100 და 200 მეტრზე რბენაში) მოპოვებული ოქროს მედლების ბედი ექიმების დასკვნაზეა დამოკიდებული. საბოლოო გადაწყვეტილებას ისინი მომავალ კვირაში გამოიტანენ.

გრანდები დომინიკანურ მონასტერში

ალექსანდრე კორსანტია ტულუზის პიანისტთა ფესტივალზე

ნათია ვადაჭკორია

ალექსანდრე კორსანტია მზად არის ტულუზის დასაპყრობად.

ტულუზის პიანისტთა ფესტივალი – Piano aux Jacobins ყოველწლიურად და ამჯერად უკვე ოცდამეოთხედ უთმობს ყურადღებას ახალგაზრდა, ნიჭიერ პიანისტებს. ამბობენ ამ ფესტივალზე განსაკუთრებული ლეგენდებიც დადისო, საქმე ხომ სამეფო ინსტრუმენტს ეხება.

XIII საუკუნის დომინიკანური მონასტერი, რომელიც ქალაქის შუაგულში მდებარეობს, სამხრეთის გოთიკური არქიტექტურის ულამაზეს ნიმუშს წარმოადგენს. პროსპერ მერიმემ 1845 წელს მონასტრის შემხედვარემ ნეტარებით წარმოთქვა – "ეს შესანიშნავია, ელეგანტური დარბაზი და მარმარილოს სვეტები, საოცარი ფრესკების კომპოზიცია, და საერთოდ, აგურის ორიგინალური კონსტრუქცია, რამაც არ შეიძლება ნახვისას არ დაგატყვევოს". სწორედ მერიმესეული აღწერილობის ულამაზეს მონასტერში, 4 სექტემბრიდან 26 სექტემბრის ჩათვლით, ყოველ საღამოს საფრანგეთის დროით 9 საათსა და 30 წუთზე ამჯერად ათი საუკეთესო პიანისტის შესრულებას მოისმენს 800-მდე ფრანგი მსმენელი (მონასტერში სწორედ ამდენი მაყურებელი ეტევა). აღსანიშნავია, რომ ყოველ პიანისტს თითო საღამო აქვს დათმობილი, პროგრამაც საკმაოდ დატვირთული და მრავალმხრივია; ბილეთის ფასზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომელიც 220 ევრო ღირს.

ეს შესანიშნავი იდეა, არქიტექტურულ და განსაკუთრებულ აკუსტიკურ ჰარმონიას აერთიანებს, რომელიც თავისთავად სრულყოფილად ეწერება ფესტივალის ფორმატში. ტულუზა პირველი ფესტივალიდან მოყოლებული, თავისი კონცეფციის ერთგული რჩება – მაყურებელს წარმოუდგენს როგორც საყოველთაოდ ცნობილ ტალანტებს, ისე ახალბედებს.

წლეულს პირველად მოწვეული ალექსანდრე ტარო იხსენებს, როდესაც ჯერ კიდევ კონსერვატორიის სტუდენტი იყო, ფესტივალის აფიშის შეხედვისას, ვერც იფიქრებდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს, აფიშაზე მისი გვარიც გაჩნდებოდა. როგორც ფესტივალის სამხატვრო დირექტორი და მანიფესტაციის ორგანიზატორი კატრინ არგუბე ამბობს, მათი ინტერესი, პირველ რიგში, ჩარჩოების გარღვევა და იმ "უცნაურობების" წარმოჩენაა, რომელნიც ყოველ დღე არ გვხვდება. ამგვარად, ორგანიზატორები შემსრულებლებს სთხოვენ იმ კომპოზიტორთა ნაწარმოებების შესრულებას, რომელთაც ისინი ჩვეულებრივ, საკონცერტო რეპერტუარში არ უკრავენ. დაუღელელი და მონდომებული ფესტივალის ორგანიზატორები კი მთელი წლის მანძილზე ფეხდაფეხ დასდევენ მუსიკოსებს, რათა მოუსმინონ მათ და იშვიათი მარგალიტი აღმოაჩინონ.

ტულუზის პიანისტთა წლევანდელი 24-ე ფესტივალი უპირატესობას ახალგაზრდა თაობის შემსრულებლებს ანიჭებს. გარდა ახალბედებისა, მსმენელი ისეთ გრანდებსაც მოუსმენს, როგორებიცაა – სანკტ-პეტერბურგელი არკადი ვოლოდოსი, რომელიც ფორტეპიანოს ნამდვილ გენიოსადაა ცნობილი და დღესდღეობით მსოფლიოს საუკეთესო პიანისტთა ერთ-ერთი წარმომადგენელია. არკადი ვოლოდოსისთვის ნიუ იორკის კარნეგი ჰოლის, ბერლინის ფილარმონიის, პარიზის შანზელიზეს თეატრის და სხვა ცნობილი დარბაზების სცენების დაპყრობა ჩვეულებრივი ამბავია. ამჯერად მის პროგრამაში სკრიაბინი, რახმანინოვი, შუბერტი, სენ-სანსი და ლისტი გაიჟღერებს.

ლეიფ ოვ ანდსენისთვის ტულუზის ფესტივალი დებიუტს წარმოადგენს. ალექსანდრ ტარო და პოლ ლევისი დღეისთვის საფრანგეთში ყველაზე პოპულარული პიანისტები არიან. რასაც ვერ ვიტყვით შედარებით ახალბედა ფრედი კემფზე, რომელიც მრავაწახნაგა პუბლიკისთვის შედარებით ნაკლებადაა ცნობილი. ან-მარი მაკ დერმოტი და ჩვენთვის ყველასათვის კარგად ნაცნობი ალექსანდრე კორსანტია ფრანგებისთვის ბახის განსაკუთრებული შესრულების მანერით ყოფილან ცნობილი. გარდა ამისა, ტულუზის ფესტივალისთვისაც დამახასიათებელია ორიგინალობა და ამის ნათელ მაგალითად მსმენელს 16 სექტემბრის საღამოს არტურ რემბოს პოეზიის და ფერენც ლისტის მუსიკის ნაზავის მოსმენა მოუწევს. ფრანგი მსახიობი დიდიე სანდრი არტურ რემბოს პოეზიას ბერძენი პიანისტის - მატიე პაპადიამანდისის მიერ შესრულებული ლისტის მუსიკის ფონზე წაიკითხავს.

წარმოშობით შანხაელი და ამჟამად პარიზში დამკვიდრებული ზუ ხიაო-მეი, რომელიც პარიზის ეროვნული კონსერვატორიის პედაგოგია, 10 სექტემბერს გოლდბერგის ვარიაციებს შეასრულებს ვიდეო-ჩვენების ფონზე, სადაც წარმოდგენილი ვიზუალური მასალა აბსოლუტურად შეერწყმება ხიაო-მეის მიერ შესრულებულ ბახს.

გარდა ყოველივე ზემოთხსენებულისა, პიანისტი ჟან-პიერ ფერეი მუსიკალურ-პოეტურ საღამოს აჩუქებს მსმენელს, რომელიც მთლიანად ზღვის თემას მიეძღვნება, მუსიკალურ ფონად კი კლოდ დებიუსის და მორის რაველის ნაწარმოებები დაედება.

რაც შეეხება პორტუგალიური მუსიკის საუკეთესო შემსრულებლის პრიზის და სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი რეგალიების მფლობელ რიკარდო რეკეჯოს, იგი 18 სექტემბრის საღამოს პადრე დონოსტიას "ბასკურ პრელუდიებს" შეასრულებს.

პიანისტთა მიერ წარმოდგენილი კლასიკური მუსიკის ფართო რეპერტუარის გარდა ტულუზის ფესტივალი ვერც ჯაზს აუქცევს გვერდს და დასკვნით საღამოს – 26 სექტემბერს ახალგაზრდა ტალანტის – ბაპტისტ ტროტინიონის ჯაზური მუსიკის კონცერტს შემოგვთავაზებს.

ქართველებისთვის ტულუზის ფესტივალი განსაკუთრებით იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ჩვენი თანამემამულე და ათი წლის მანძილზე კანადის ქალაქ ვანკუვერში მცხოვრები ალექსანდრე კორსანტია საკმაოდ ვრცელი პროგრამით წარდგება მსმენელის წინაშე 9 სექტემბერს - სტრავინსკი, ჰაიდნი, მოცარტი და მუსორგსკი – ასე გამოიყურება პიანისტის პროგრამა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ალექსანდრე კორსანტია ბოსტონში გადასულა საცხოვრებლად. თუ რატომ და როგორი იქნება მისი შთაბეჭდილებები ტულუზის ფესტივალის შესახებ, უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

გრან-პრი ბულგარეთიდან

ახალგაზრდა ქართველი მომღერლის ანრი ჯოხაძის ბულგარული წარმატებების შესახებ ქართულმა საზოგადოებამ დაგვიანებით შეიტყო. 12-14 აგვისტოს ქალაქ ვარნაში გამართული საერთაშორისო კონკურსის ქართველი ფავორიტის შესახებ ინფორმაცია გუშინ გახმაურდა, რაზეც ქართულმა საპროდიუსერო კომპანია "ფაივ ლაინს პროდაქშენმა" იზრუნა. ანრი ჯოხაძის ბულგარეთის კონკურსზე გამგზავრება სწორედ ამ კომპანიის დახმარებით მოხდა. სამაგიეროდ, როგორც გუშინ გაგვიმხილეს, კომპანიამ წილის სახით აიღო გრან-პრის მფლობელისთვის დაწესებული სოლიდური ფულადი პრემიის გარკვეული ნაწილი.

ვერა ნეფარიძე

ბოლო დროს გახშირდა ინფორმაციები ქართველი მომღერლებისა თუ ჯგუფების საზღვარგარეთული წარმატებების შესახებ. უკანასკნელ დღეებში მასმედიის საშუალებებთან ერთად საზოგადოებამაც სიხარულით აიტაცა ქართული ანსამბლის "ფორტეს" სამარყანდის ფესტივალზე დაჯილდოების ამბავი. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "ფორტეს" ფესტივალის ჟიურიმ სპეციალური პრიზი გადასცა. რასაკვირველია, ამ ცნობას გარკვეულწილად ჩვენც გავიზიარებდით, რომ არა ერთი არცთუ სასიამოვნო ინფორმაცია. სრულიად სანდო წყაროს ცნობით, ქართველ მუსიკოსებს უზბეკეთის ისტორიულ ქალაქში გამართულ რიგით მეოთხე საერთაშორისო ფესტივალზე "შარკ ტარონალარი" ("აღმოსავლური მელოდიები") გრან-პრისთვის საკმაოდ სოლიდური თანხა მოსთხოვეს. ასე რომ, შესაძლოა, სწორედ ამ "ინციდენტის" წყალობით ვერ გახდა ქართული "ფორტე" აღნიშნული კონკურსისა თუ ფესტივალის სრულფასოვანი ფავორიტი. მსგავსი უსიამოვნებების თავიდან აცილების საუკეთესო საშუალება კი, ალბათ, უფრო საეჭვო დონის ღონისძიებების სრული იგნორირებაა და არა ასეთ კონკურსებში მიღებული აღიარებების ამაყად აფიშირება სამშობლოში, სადაც ყველაზე უკეთესად იციან ამა თუ იმ შემსრულებლისა თუ ჯგუფის ფასი ან შემოქმედებითი დონე. საბედნიეროდ, უსიამოვნების გარეშე დასრულდა ბულგარეთის საერთაშორისო კონკურსზე კიდევ ერთი ქართველი მომღერლის ანრი ჯოხაძის მონაწილეობა.

22 წლის მომღერალი ბულგარეთში გამართულ კონკურსზე "სიმღერა სამი ზღვიდან" თურმე "ფესტივალის შოკად" აღიარეს. ამ ყველაფრის დასადასტურებლად გუშინ ჟურნალისტებთან შეხვედრისას მომღერალმა ბულგარეთიდან წამოღებული სამახსოვრო დიპლომი და ბრინჯაოს ქანდაკებაც მოიშველია. რაც შეეხება ფულად ჯილდოს, მისი რაოდენობის გამხელისგან მომღერალმა თავი შეიკავა. ასევე საკმაოდ ძუნწი ცნობები მოგვაწოდეს ფესტივალის შესახებაც. რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, კონკურსი წელს მეათედ გაიმართა და მასში მონაწილეობა 16-დან 30 წლამდე ახალგაზრდებმა მიიღეს. ანრი ჯოხაძე ამ ფესტივალის პირველი მონაწილე იყო საქართველოდან. წლევანდელ ფესტივალში კი 11 ქვეყნის 16 წარმომადგენელი ცდილობდა ოთხ საპრიზო ადგილზე გასვლას.

ანრი ჯოხაძემ, როგორც გრან-პრის მფლობელმა ფესტივალის ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, ასევე მონაწილეობა მიიღო ფესტივალის დახურვაზე. ეს ცერემონიალი კი რადგანაც ქალაქის დღესასწაულს დაემთხვა, შედარებით პომპეზურად აღინიშნა. გუშინ "ფაივ ლაინს პროდაქშენში" ამაყობდნენ, რომ ანრის გამოსვლას (როდესაც მან "თბილისოს" რემიქსული ვარიანტი შეასრულა) ამ დღეს ბულგარეთში აკრედიტებულ უამრავ დიპლომატთან და ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად, თავად ქვეყნის პრეზიდენტიც უსმენდა. თუმცა, ამით არ დასრულებულა ანრი ჯოხაძის ბულგარული ვოიაჟი. კონკურსის შემდეგ ქართველმა მომღერალმა მონაწილეობა მიიღო ქალაქ ბურგასში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე "ნეო არტ ზონა".

ბულგარეთში გამართული ღონისძიება რიგით მეექვსე საერთაშორისო კონკურსია მათ შორის, სადაც კი აქამდე მონაწილეობა მიუღია ანრი ჯოხაძეს. რამდენიმე წლის წინათ ანრი საქართველოში გამართულ სხვადასხვა კონცერტებზე შედარებით აქტიურად მონაწილეობდა, თუმცა ბოლო დროს ის ადგილობრივი მუსიკალური სცენიდან თითქოს გაქრა. რასაც არც ისე მტკივნეულად აღიქვამს თავად ახალგაზრდა მომღერალი: "მე მაქვს საკუთარი სქემა, რის მიხედვითაც ვმოქმედებ; დადგენილი მაქვს ვადა, რომლის ფარგლებშიც რაღაც საინტერესო უნდა გავაკეთო. რაც შეეხება ადგილობრივ შოუ-ბიზნესში პასიურობას, მე მგონი ამით არავის არაფერი უშავდება. აქ გარკვეული თამაშის წესებია მიღებული. თუ ამ წესებს არ იზიარებ, მაშინ ვერ ხვდები აქაური შოუ-ბიზნესის არსებულ ელიტაში". ანრი ჯოხაძე ქართულ შოუ-ბიზნესში დამკვიდრებას არც სხვა მეთოდებით არ ცდილობს - არ თანამშრომლობს ქართული ჰიტების ავტორებთან: "დედაჩემი პროფესიონალი კომპოზიტორია და ამის პრობლემა არ მაქვს. ქართული ჰიტების ავტორების მუსიკა ყველა ერთმანეთს ჰგავს და ამიტომაც არ მაინტერესებს", - თამამად აცხადებს ანრი ჯოხაძე და სამომავლოდ დაგეგმილ საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობის მისაღებად ემზადება.

იტალიური შთაბეჭდილებები

"სუხიშვილები" მორიგი გასტროლებისთვის ემზადებიან

ნანა ბასილაშვილი

ნინო და ილიკო სუხიშვილები.

იტალიაში გასტროლების შემდეგ, გასულ თვეში ილიკო სუხიშვილის სახელობის ქართულმა ნაციონალურმა ბალეტმა ბათუმში "ასსა"-ს ორი წარმოდგენა გამართა. იტალიურ და ბათუმურ შთაბეჭდილებებზე სასაუბროდ სუხიშვილებს ვესტუმრე. თუმცა, მაინცდამაინც შესაფერისი დრო ვერ შევარჩიე. სუხიშვილები დაძაბულ საგასტროლო სამზადისში არიან. ბატონი თენგიზი და ქალბატონი ნინო ერთდროულად რამდენიმე მოგზაურობას გეგმავდნენ და საგასტროლოდ სიებს ადგენდნენ. ბატონ ილიკოს კი ჩემთან საუბრის დროს სარეპეტიციო დარბაზში 80 მოცეკვავე ელოდა. თუმცა, ნინოს და ილიკოს გასაუბრებაზე უარი მაინც არ უთქვამთ და ბოლო გასტროლების ამბები დაწვრილებით მიამბეს.

იტალიასთან "სუხიშვილებს" უკვე ოცწლიანი ურთიერთობა აკავშირებთ. ამ ხნის განმავლობაში ანსამბლმა ამ ქვეყანაში 16-ჯერ იმოგზაურა. "იტალიაში ჩვენს ანსამბლს ყოველთვის დიდი წარმატებები ჰქონდა. ამჯერად ჩვენ ფირმა "იტალ კონცერტთან" ვთანამშრომლობთ, მისმა წარმომადგენლმა ჯან კარლო კარენამ უკვე მეცხრედ მიგვიწვია. მრავალრიცხოვან თეატრებს შორის გენუის ოპერის თეატრი მინდა გამოვყო, სადაც არაერთხელ გამოვსულვართ. ჩვენმა ორმა კონცერტმა გენუის თეატრში ამჯერადაც წარმატებით ჩაიარა. ღირსშესანიშნავი იყო კიდევ ერთი კონცერტი კუნძულ ბოლსანოზე, რომთან ახლოს. ეს კერძო კუნძულია და იგი ერთ-ერთ იტალიელ პრინცესას ეკუთვნის. სწორედ ამ ადგილას "წითელმა ჯვარმა" საქველმოქმედო კონცერტი მოაწყო. საბოლოოდ ძალიან საინტერესო წარმოდგენა გაიმართა, სცენა ღია ცის ქვეშ იყო აშენებული. კონცერტზე ჩვენი მაყურებელი მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლები იყვნენ, პრინცები, პრინცესები, ჰერცოგები, გრაფები და ა.შ.

განსაკუთრებული იყო ჩვენი ვიზიტი ულამაზეს ქალაქ სიენაშიც, აქ ორი კონცერტი გავმართეთ, ერთ-ერთი კათედრალური ტაძრის წინ. საგანგებო განათებისა და ტაძრის ფონზე კონცერტი არაჩვეულებრივ სანახაობად იქცა. იტალიასა და საბერძნეთში გასტროლები ხშირად ზაფხულის თვეებში გვიწევს, ანუ იმ დროს, როდესაც ამ ქვეყნებში ძალიან ბევრი ტურისტია, ამიტომ ხშირად ჩვენი კონცერტები ღია ცის ქვეშ, ამფითეატრებში იმართება. ამჯერადაც იტალიის სხვადასხვა მოედანსა თუ სცენაზე, ასე ვთქვათ, ქართული კულტურის სუნთქვა შევიტანეთ", - მიამბობს ნინო სუხიშვილი.

იტალიაში წელს, მეთექვსმეტე ვიზიტზე, ქართულმა ნაციონალურმა ანსამბლმა ცხრა წარმოდგენა გამართა. ამას გარდა, "სუხიშვილებმა" უცხოელ მაყურებელს ნოვატორული "ასსა პროექტიც" წარუდგინეს. იტალიაში "ასსა"-ზე ახლებურად წარმოჩენილ ქართულ ტრადიციულ ფოლკლორთან და კავკასიურ რიტმებთან ერთად სიცილიურმა მელოდიებმაც გაიჟღერა.

"ჩვენ ვცდილობთ "ასსა"-ს ყოველი ახალი დადგმა ახალი ნიუანსებით გავამდიდროთ, იმ ადგილს, სივრცეს შევუსაბამოთ, სადაც პროექტი იქნება წარმოდგენილი. მაყურებელს სხვადასხვა ვერსიებს ვთავაზობთ, იმისდა მიხედვით, სანახაობა ზღვის პირას იმართება, კლუბში თუ ღია ცის ქვეშ. ამას გარდა, ქართული მუსიკალური თემების პარალელურად შეძლებისდაგვარად ვასრულებთ მასპინძელი ქვეყნის ნაციონალურ მელოდიებსაც. იტალიაში ჩვენმა ექსპერიმენტმა გაამართლა. მაყურებელმა იტალიური ფოლკლორის, ასე ვთქვათ, გადმოქართულებული ვერსია, დიდი ოვაციებით მიიღო. ჩვენი მუსიკისა და ფოლკლორის საშუალებით იტალიელებს საკუთარი ფოლკლორი წარმოვუდგინეთ. მაყურებლისთვის ეს, ერთის მხრივ, ნაცნობი, მაგრამ, ამავე დროს, რაღაც უცხო იყო. ეს ყველაფერი – ქართულ-იტალიური ვარიაციები, მუსიკისა და სიტუაციის შეხამება – იმიტომ ჩავიფიქრეთ, რომ უცხოელი მაყურებელი აგვეცეკვებინა, ქართულ მელოდიებზე აყოლა გაუჭირდებოდათ. ჩანაფიქრმა გაჭრა. ჩვენი მოცეკვავეები სცენიდან გადადიოდნენ და მაყურებელს საცეკვაოდ იწვევდნენ. მაყურებელმა ეს გამოწვევა დიდი ხალისით მიიღო. საბოლოოდ უამრავი მსურველი აღმოჩნდა: დიდები, ბავშვები, ახალგაზრდები, ხანში შესულები თვითონვე ამოდიოდნენ სცენაზე საცეკვაოდ. მოკლედ, "ასსა"-მ დიდი მოწონება დაიმსახურა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ფინალური სცენა, როდესაც მათი საყვარელი კომპოზიტორის - ნინა როტას ერთ-ერთი პოპულარული კომპოზიციის სასცენო არანჟირება შევასრულეთ", - გვიყვება პროექტის ავტორი ილიკო სუხიშვილი (უმცროსი).

იტალიური ვოიაჟის შემდეგ "სუხიშვილებმა" ბათუმი დაიპყრეს. აგვისტოს ცხელი სეზონი ორდღიანი "ასსა შოუთი" კიდევ უფრო გახურდა. როგორც ილიკო სუხიშვილმა აღნიშნა, "ასსა"-ს წარმატების მიუხედავად, ის, რაც ბათუმში მოხდა, მისთვის მოულოდნელი იყო. ბათუმში "ასსა" აიტაცეს. ასეთი რეაქცია სხვაგან არსად ყოფილა. ბუნგალოსა და ცის ქვეშ, ბათუმის ბულვარში, თეთრ სვეტებს შორის გამართულ წარმოდგენას უამრავი ხალხი ესწრებოდა, ადგილობრივი მაცხოვრებლებიც და სტუმრებიც. ტევა აღარ იყო - ილიკო სუხიშვილს დაცვასთან მისვლა და რამდენიმე ათასი მოცეკვავე მაყურებლისათვის ადგილის განთავისუფლებაც კი მოუწია.

დაბოლოს, ცოტა რამ "სუხიშვილების" საკმაოდ გადატვირთული სამომავლო გეგმების შესახებ. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამჟამად ისინი ერთდროულად რამდენიმე მოგზაურობას გეგმავენ. 17-დან 22 სექტემბრის ჩათვლით ისრაელის ოფიციალური მიწვევით, ქართული ნაციონალური ბალეტი საქართველოს კულტურის დღეებში მიიღებს მონაწილეობას; ამ გასტროლის შემდეგ, სექტემბრის ბოლოს, ანსამბლი უკრაინაში გაემგზავრება; ოქტომბრის დასაწყისში კი "სუხიშვილები" კონცერტების გამართვას საქართველოს რამდენიმე ქალაქში გეგმავენ. 15 ოქტომბრიდან ქართული ბალეტი პორტუგალიას, ესპანეთს, ლათინურ ამერიკას, საფრანგეთსა და ავსტრალიას დაიპყრობს. "სუხიშვილების" 2003-2004 წლების გასტროლები ივნისში ნიუ იორკში ჯორჯ ბალანჩინის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე "ნიუ იორკ სითი ბალეტთან" ერთად გამართული კონცერტებით დასრულდება. "აი, ასეთი დატვირთული გრაფიკი გვაქვს და ამდენად ვერ გეტყვით, როდის გავმართავთ კონცერტს თბილისში. თუმცა, ზამთარში პატარ-პატარა შუალედები გვაქვს და თუკი ელემენტარული პირობები იქნება, თბილისელ მაყურებელსაც შევხვდებით, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამის დიდი სურვილი გვაქვს, რადგანაც ყველაზე დიდ სიამოვნებას თბილისური კონცერტები გვანიჭებს", - ამბობს ნინო სუხიშვილი.

ზაფხულის რაუნდების დასასრული

გუშინ კლუბ "16 რაუნდში" ამ სეზონზე უკანასკნელი პრესკონფერენცია გაიმართა. კლუბის პრომოუტერებმა და მენეჯერებმა მოკლედ გაგვაცნეს სექტემბერში დაგეგმილი ღონისძიებების სია და სასიამოვნო დროსტარება გვისურვეს. მოდითა თუ მუსიკალური საღამოებით დატვირთული სექტემბრის შემდეგ კლუბი მომავალი წლის ზაფხულამდე შეისვენებს.

ვერა ნეფარიძე

როგორც ცნობილია, ამჟამად კლუბში დიზაინერ ზალიკო ბერგერის ორგანიზებული მოდის საღამოები იმართება. უახლოესი კვირადღე თავად ბერგერისა და სალომე სულაბერიძის კოლექციის ჩვენებას დაეთმობა. ამას გარდა, გუშინდელ პრესკონფერენციაზე ორგანიზატორის ამპლუაში მყოფმა დიზაინერმა რამდენიმე მოსალოდნელი პროექტის იდეაც გაგვაცნო. მათ შორის ისეთისაც, რომლის განხორციელების ზუსტი გარანტია (რაც ფინანსებთანაა დაკავშირებული) ჯერ კიდევ არ არსებობს. ზალიკო ბერგერი კარგა ხანია მოდის მოყვარულებს აზერბაიჯანელი დიზაინერის ლეილა ახმედოვას ახალი კოლექციის ჩვენებას ჰპირდება; ამ დაპირებას მან გუშინ კიდევ ერთი – თურქი ლამაზმანის, წლევანდელი "მის მსოფლიოს" ჩამოყვანა შემატა. ბერგერის თქმით, მოდის საღამოების დასასრულისთვის მოსკოვიდან თბილისში კავკლის სახის აღმოსაჩენად, ჩამოვლენ რობერტ კავალის ბუტიკის მეპატრონეები. მათთან ერთად კი თბილისს ესტუმრებიან რუსი მოდელები და ცნობილი ქართველი მომღერალი თეონა კონტრიძე.

სექტემბერში "16 რაუნდი" სამი დღის განმავლობაში უმასპინძლებს მაკა გამყრელიძისა და მისი ბენდის მომზადებულ "ლათინო ფართის", რომელიც ორსაათიანი პროგრამისგან შედგება. სამუშაო თვის დარჩენილ დღეებს კლუბში პრომდუსერი დათო ნადარეიშვილი შეავსებს. შეგახსენებთ, "16 რაუნდი" წელს სწორედ დათოს იდეების საფუძველზე ორგანიზებული "ფართებით" ართობდა თბილისელებს. ამჯერად ახალგაზრდა პროდუსერმა ახალ პროექტებთან ერთად გადაწყვიტა განმეორებით შესთავაზოს თბილისელებს "აფრიკ სელტიკ ზონა". "ელექტრიკ აზია ზონას" ფარგლებში ელექტრონული მუსიკის, ჯაზ-როკისა და აზიური მუსიკის ელემენტების შერწყმას მუსიკოსები: გია სალაღიშვილი, კოკა აბზიანიძე, მერაბ სანოძე და ნოდარ ექვთიმიშვილი შეეცდებიან. მათთვის კი ვინც სრულიად სამართლიანად გულგრილად უყურებს ადგილობრივი მუსიკოსების "ფართებად" წოდებულ მუსიკალურ საღამოებს, ვანუგეშებ, რომ ჩამოთვლილის გარდა "16 რაუნდში" დაგეგმილია კომპანია Shadow Cat-ის ორგანიზებული ლონდონელი დი-ჯეების საღამოები. ჰაუსისა და ტრანს-ჰაუსის მოყვარულებს ოთხი დღის განმავლობაში (5, 6, 13 და 20 სექტემბერს) გაართობენ დი-ჯეები: Quivver, MOONface და 16 B.

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმი აგრძელებს მოსწავლეთა მიღებას II, III, IV და V კლასებში. დანარჩენ კლასებში კონტიგენტი შევსებულია მისამართი: ნუცუბიძის ქ. N223. ტელ: 32 97 83

TV პროგრამა
4 სექტემბერი

რუსთავი - 2

07.00 დილა მშვიდობისა **07.30** სერიალი „პაწაწინა ონავრები“ **09.40** სერიალი „ასეულ ტეკილა“ **10.20** დოკ. ფილმი „მეოცე საუკუნე“ **11.00** სერიალი „განდგომილი“ **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი „სასტიკი ანგელოზი“ **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.00** სერიალი „ასეულ ტეკილა“ **17.30** სერიალი „პაწაწინა ონავრები“ **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.15** სერიალი „მაშველები“ **19.00** თომა ჩაგელიშვილის გადაცემა „საქართველო-უახლესი ისტორია“ **19.50** სერიალი „სასტიკი ანგელოზი“ **22.00** სერიალი „შავი ზეცა“ **22.50** ღამის კურიერი **00.10** სერიალი „სექსი დიდ ქალაქში“ **00.40** მხ.ფილმი „სატვირთო მანქანები“. მთ. რ-ში: ტიმოტი ბასფილდი, ბრენდ ბეკი.

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.40** მულტსერიალი „კიტუ“ **10.10** მხ. ფილმი „ძვირფასი ტვირთი“ **11.30** დოკ. ფილმი „ტყის მცველები“ **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი „ეშმაკუნა“ **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ინგლისური ენის გაკვეთილი **14.25** დოკ. სერიალი „მითიური რაინდები“ **15.15** მხ. ფილმი „ხაფანგი“ **16.50** დოკ. ფილმი **17.45** მულტსერიალი „კიტუ“ **18.00** ვესტნიკი **18.15** დოკ. სერიალი „ბუნების სამყაროში“ **18.25** ტელესერიალი „ეშმაკუნა“ **19.15** ჯანმრთელობა **19.40** ბასტი-ბუზუ **21.00** ტელეთამაში „იმღერე რამე“ **21.30** ავიაშოუ **21.45** დოკ. სერიალი **22.30** რა ხდება **00.00** მხ. ფილმი „ვაჟიშვილის ოთახი“.

პირველი სტერეო

08.00 მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი „ერთი ორიდან“ მთ. რ-ში ენდი გარსია, რეიჩელ ტიკოტინი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** აბა გამოიცანი მელოდია **00.00** „ბრავო“ „ოქროს თასი“. მთ. რ-ში უმა თურმანი, ნიკ ნოლტი. **01.40** „ღამურა“ „სისხლი და რძე“ მთ. რ-ში ნორმან რიდუსი, დებორა ჰარი. **03.00** პაუზის გარეშე.

მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე“ მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** მხ. ფილმი „შჭიდრო კავშირი“ **21.00** დოკ. ფილმი **21.30** ისტორიანი **22.10** მხ. ფილმი „უსახო კაცი“.

კავკასია

12.00 მხ. ფილმი „განკიცხულნი“ **15.00** მხ.ფილმი „მკვდარი პოეტების საზოგადოება“ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ **17.15** მხ. ფილმი „ზაზუნას დღე“ **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი „სერიოზული საქმე“ **22.30** მხ. ფილმი „დრაკონის კოცნა“ .

იბერია

08.00 ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **11.00** სერიალი „საპაერო პოლიცია“ **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10** მულტსერიალი „კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები“ **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.30, 18.00** დოკ. ფილმი **14.50, 17.20, 17.50, 21.55** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი „დეტროიტი 9000“ **17.30** მულტსერიალი „კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები“ **18.45** ბუნების ფერები **20.00** ტელე-სინე-ვიდეო (განმ.) **21.00** მხ. ფილმი „საპაერო პოლიცია“ **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი „სიყვარულისა და ხანჯლის ისტორია“ .

მეცხრე არხი

08.00 პროგრამა „დილა“ **10.00** მულტსერიალი „ტომი და შინა“ **10.30** სერიალი „პატარა აინშტაინები“ **11.00** სერიალი „პოლიციელი ქალი“ **11.55,** 13.4, **15.15, 16.20, 19.50** მუსიკა **12.10** მხ. ფილმი „კლონის ღიმილით“ **14.00** კინოგადაცემა „ნუმერატორი“ **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** „ევროპის სტადიონებზე“ **15.30** მხ. სერიალი „ღამის ექიმები“ **16.30** დოკ. სერიალი „ზღვარზე“ **17.00** მხ. სერიალი „სამომდევლო სკოლა“ **18.00** მულტსერიალი „ტომი და შინა“ **18.30** სერიალი „პატარა აინშტაინები“ **19.00** სერიალი „პოლიციელი ქალი“ **20.00** „ქართული ფეხბურთი“ **21.10** სერიალი „ღამის ექიმები“ **22.00** „ყვითელი კვადრატი“ **22.25** „ტელემეტრი“ **22.50** მოკლე. მხ. ფილმი „გულუბრყვილობის მსხვერპლი“ **23.20** „ცხელი ცხრიანი“ **00.20** რუს. მხ. ფილმი „მემკვიდრე“.

იმედი

07.00, 11.00, 12.00, 13.00, 15.00, 16.00 ქრონიკა **07.15, 09.00, 13.15, 17.20, 01.40** იმედის მელოდიები **07.45** „იმედის“ დილა **09.30** სერიალი „იუდას ქალი“ **10.30** „ერთხელ ჰოლივუდში“ **11.05** დოკ. სერიალი „ბრძოლა გადარჩენისათვის“ **12.10** სერიალი „ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები“ **13.30** სერიალი „უკიდურესი ზღვარი“ **14.05** სერიალი „ამაზონია“ **15.15** მხ. ფილმი „მეათე მსხვერპლი“ **17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.25** ქრონიკა **17.30** დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა“ **18.05** სერიალი „იუდას ქალი“ **19.20** სერიალი „ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები“ **20.15** სპ. პროგრამა „ესტაფეტა“ **20.45** „დროებითი ზღვარი“ **23.35** კინოვარსკვლავთა ღამე „სამი უნდა მოკვდეს“ (ალენ დელონი).

აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.10, 12.10, 16.10** საინფ. გამოშვება „ნოვოსტი“ **09.20** კომედია „ასტერიქსი და აბელიქსი კეისრის წინააღმდეგ“ **10.55** კომედია „ქინძა-ძა“ 1 ს. **12.20** მხატვრული ფილმი „უდაბნოს ცხელი მზე“ **13.40** მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ჩარლი ჩაპლინი“ **14.00, 18.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს მსოფლიოში“ **14.05, 17.45, 20.20** მუსიკა **14.25** ფანტასტიკა „ოდისეა“ 1 ს. **16.20** მულტფილმი „მეფე ლომი“ **18.05** დოკუმენტური ფილმი **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ **19.15, 22.30, 00.20** საინფ. გამოშვება „ნოვოსტი“ **19.30** „პირისპირ“ **20.40** კომედია „კავკასიელი ტყვე ქალი“ **23.00** დოკუმენტური ფილმი **00.40** საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე **00.50** საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე **00.55** საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე **01.00** თრილერი „ბრიგადა“ 4 ს. **01.50, 03.40** მუსიკა **02.10, 05.30** დოკუმენტური ფილმი **04.00** დრამა „გზა“.

VII არხი

09.10 მელოდია **09.15** „აჩიკუდა“ **09.35** მობილური-ბი **10.20** სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“ - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (გამეორებით) **10.50** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **11.15** მელოდია . **11.35** აუდიო-ვიდეო-ტელე **12.25** დისნეი და მისი მეგობრები **12.45** კომპიუტერული თამაშები **12.55** მელოდია **13.05** კომპიუტერული ტექნიკა **18.20** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **19.00** „აჩიკუდა“ **19.25** კომპიუტერული თამაშები **19.30** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.20** კომპიუტერული ტექნიკა **20.55** „ავტო-ტრეკინგი“ **21.55** მობილურები **22.55** „კინოკლუბი „ - „მაღალი ქერა მამაკაცი შავი ფეხსაცმლით“ - მე-2 სერია . **00.25** მელოდია **00.30** ტელესერიალი - „ნათლიდედა“ - მე-8 სერია **01.20** აუდიო-ვიდეო-ტელე.

ОРТ

07.00 „Доброе утро!“ **09.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **09.10, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды“ 10.20 Худ.фильм „Две судьбы“ 11.25 Боевик „Петр Великий“ 12.35** Дисней-клуб: „Базз и его команда“ **13.15** Шоу „Город женщин“ **14.10 Детектив „Ларец Марии Медичи“ 16.10** „Тайны века“. „Мерилин Монро. Голливудская трагедия“ **16.55 Сериал „Берег мечты“ 18.00** „Большая стирка“ **19.25** „Просто смех!“ **20.55 Сериал „Убойная сила“. „Золотая обойма“ 22.00, 00.30** „Время“ **22.30 Сериал „Две судьбы“ 23.40** „Человек и закон“ **01.00 Европейский хоккейный тур. Сборная России - сборная Чехии 02.45 Триллер „Зверофабрика“.**

РТР

06.00 „Доброе утро, Россия!“ **09.45, 21.55 Сериал „Каменская 2“ 10.50** „Аншлаг“ **12.00, 15.00, 18.00, 21.00** „Вести“ **12.30, 15.10, 17.40, 21.30** „Местное время. Вести - Москва“ **12.50** Ток-шоу „Короткое замыкание“ **13.50 Детектив „Марш Турецкого. Новое назначение“ 14.45, 17.25, 00.20** „Вести“. Дежурная часть **15.30** Ток-шоу „Что хочет женщина“ **16.30 Сериал „Лучший город Земли“ 18.10 Сериал „Бригада“ 19.10 Мелодрама „Ундина“ 20.00 Сериал „Комиссар Рекс“ 21.50** „Спокойной ночи, малыши!“ **23.00 Детектив „Марш Турецкого. Новое назначение“. 00.00** „Вести+“ **00.35 Худ.фильм „Малхолланд драйв“ 03.20** „Дорожный патруль“ **03.35 Сериал „Ангелы Чарли“ 04.25 Худ.фильм „Лоуренс Аравийский“, 3 с.**

НТВ

07.00 „Утро на НТВ“ **09.45 Детектив „Дронго“ 11.00** „Сегодня утром“ **11.25** „Женский взгляд“ О.Пушкиной. Г.Логинова **12.00** „Квартирный вопрос: перегораживая пространство“ **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.05** „Сегодня“ **13.30** „Красная стрела“ **13.50** Ток-шоу „Страна советов“ **14.40 Сериал „Улицы разбитых фонарей 4“ 15.45** По праву **16.35** Ток-шоу „Принцип домино“. „Органы на продажу“ **18.30 Сериал „Супершпионки“ 19.25** „Профессия - репортер“. „Попавшие в сеть“ **20.40 Сериал „Улицы разбитых фонарей 4“ 21.50 Детектив „Дронго“, 8 с. 23.00** „Страна и мир“ **23.30** „Красная стрела“ **23.50** Ток-шоу „К барьеру!“ **01.30** „Ночные музы“ **02.55 Сериал „За гранью возможного“ .**

ო`რურკის თქმით

მელორ სტურუა
საკ. კორ. აშშ-ში

პი ჯეი ო`რურკი

პი ჯეი ო`რურკი ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტია, ყოველთვიური “ატლანტიკ მანთლის” მესვეტე, თან ხშირად გაზეთ “უოლსტრიტ ჯორნელთანაც” თანამშრომლობს ხოლმე. სწორედ ამ უკანასკნელის ფურცლებზე გამოაქვეყნა მან სვეტი, რომლისთვისაც მთელი კაცობრიობა – პროგრესულიც და რეგრესულიც – მის ვალშია და მისი მადლიერი უნდა იყოს. სტატიის სათაური ასეთი გახლავთ: “ამ პლანეტას ისე ვმართავთ, როგორც გაგვიხარდება”. კაცმა რომ თქვას, ამით ყველაფერია ნათქვამი, მეტი რაღა უნდა ვთქვათ. მაგრამ მაინც, მოვუსმინოთ ო`რურკს, რომლის ბაგეც ჭეშმარიტებას და ამპარტავნებას ღაღადებს.

“მოდით, ჩამოვთვალოთ მსოფლიოს ქვეყნები, რომლებსაც მართლა რაღაც წონა გააჩნია,” წერს პი ჯეი. “ასეთი მხოლოდ ერთია... ეს შეერთებული შტატებია. პლანეტის მოსახლეობის 4,5 პროცენტი აქ ცხოვრობს, ის პლანეტის ტერიტორიის 6 პროცენტს იკავებს. მისი მცხოვრებლები ერთ მეხუთედს აწარმოებენ იმისას, რასაც მსოფლიო აწარმოებს, მოხმარებით კი მეტსაც მოიხმარს. სიმდიდრით და გავლენით ამერიკას ვერცერთი ქვეყანა ვერ შეედრება. პლანეტაზე ამერიკული მოდა, გართობის ინდუსტრია, სწრაფვანი და იდეალები დომინირებს. ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია მხოლოდ ამერიკული კულტურის შეუმჩნეველი ფილიალებია, რომლებიც რაციონალური კონსოლიდაციის ინტერესებიდან გამომდინარე თამამად შეიძლება დაიხუროს კიდეც... თუ სიკვდილ-სიცოცხლის საკითხების შედარებას დავიწყებთ, იმის თქმაც საკმარისი იქნება, რომ ამერიკა თავდაცვაზე მეტს ხარჯავს, ვიდრე მისი შემდგომი თორმეტი სახელმწიფო”.

ეს ყველაფერი, ვიღაცის გასახარად და ვიღაცის სამწუხაროდ, ქება კი არა სტატისტიკაა. ო`რურკს ის იმისთვის დასჭირდა, რომ ვაშინგტონის მიერ უნილეტერალიზმისკენ, ანუ ცალმხრივობისკენ აღებული კურსი აეხსნა, კურსი, რომელიც რიგი საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების – კიოტოს ოქმის, ნაღმების შესახებ შეთანხმების, საერთაშორისო ტრიბუნალის შესახებ შეთანხმების და, რასაკვირველია, 1972 წლის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შეთანხმების გვერდის ავლით ხორციელდება. ამერიკას, უბრალოდ, არ ძალუძს სხვა ქვეყნებთან თანაბარ დონეზე თანამშრობლობა – ასე თვლის ო`რურკი. მაგალითად მას გაერო მოჰყავს და “სულელურს” უწოდებს მულტილეიტერალისტების იდეას იმის შესახებ, რომ “ლომს (აშშ-ს) შეუძლია ბალახი ძოვოს, და თან არა კრავის, არამედ მთლად კრავის ნეკნის (მთელი დანარჩენი მსოფლიოს) გვერდით”. ის ევროკავშირსაც დასცინის, რომელსაც “ინგლისელი მზარეულების (ცუდების), გერმანელი საყვარლების (კიდევ უფრო ცუდების), ფრანგული თავდაცვის ძალების (საძაგლების) და იტალიური ეფექტურობის (წარმოუდგენლის) ქვეყანას” უწოდებს. მოკლედ, ყველას მოხვდა.

ო`რურკი მკვეთრად ასხვავებს ერთმანეთისგან უნილეიტერალიზმს და იზოლაციონიზმს. ამერიკა, ამბობს ის, სულაც არ ჩაკეტილა, ის თავის საზღვრებს გარეთაც იცქირება, რადგან მისთვის იზოლაციონიზმი “ნიუ იორკული შამპანურის და მისისიპის თევზების ხიზილალას ტოლფასი იქნებოდა”. ამიტომ ამერიკა ყველაფერს იწოვს, რაც კი დანარჩენ მსოფლიოში კარგი მოიპოვება, არამარტო ფრანგულ შამპანურსა და რუსულ ხიზილალას, არამედ ადამიანთა გონებასაც, დაურთავს ო`რურკი.

ჩვენი პლანეტა ოჯახი არაა, წერს ო`რურკი. მათ კი, ვისაც ასე მიაჩნიათ, უნდა იცოდნენ, რომ ოჯახში მულტილეიტერალიზმს მხოლოდ იდიოტები ახორციელებენ. თუმცა, თავისი სტატიის დასკვნით აკორდში ო`რურკი არ გამორიცხავს მსოფლიოს ხალხების ერთობლივი ოჯახის შექმნის შესაძლებლობას, მაგრამ იმ პირობით, რომ “ოჯახის უფროსი” ძია სემი გახდება. “და გაფრთხილებთ, რომ ის ძალიან მკაცრი მამა იქნება იმიტომ, რომ ეს ჩვენი პლანეტაა. და ამას ჩვენ ვამბობთ”. ამ სიტყვებით მთავრდება პი ჯეი ო`რურკის სტატია.

ავტორის მხიარული ტონი სულ არ ცვლის მისი სტატიის სერიოზულ ხასიათს. სინამდვილეში, მასში შეულამაზებლადაა ნაჩვენები ბუშის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკა, ნაჩვენებია ერთპოლუსიანი მსოფლიოს სურათი (ეს ოფიციალურად იყო დადასტურებული ფრიად ო`რურკული ტონით შედგენილ აშშ-ს სამხედრო უზენაესობის კონცეფციაში). ხოლო სანამ ჩვენი მსოფლიო ერთპოლუსიანი რჩება, ჭეშმარიტებას ო`რურკისა და ჯორჯ ბუშის ბაგენი ღაღადებს.

კარგია ეს თუ ცუდი? - სათუო საკითხია. მაგრამ პასუხის გაცემას მაინც ვეცდებით. შედარებით დაველოთ. ბიპოლარული მსოფლიოს – აშშ და სსრკ-ს – არსებობამ არაერთგზის მიიყვანა ის რაკეტულ-ბირთვული ჰოლოკოსტის ზღვარზე, და ათწლეულების განმავლობაში კაცობრიობა “ცივ ომში” ჰყავდა ჩაბმული. ამასთან შედარებით ახლანდელი მსოფლიო, ცხადია, კარგი რამაა, თუმცა მრავალი სახელმწიფოს ეროვნული სიამაყე ელახება. მრავალპოლუსიანი მსოფლიოს ხელოვნური აღორძინების მცდელობები (“სამკუთხედი” - რუსეთი-ინდოეთი-ჩინეთი, “ღერძი” - მოსკოვი-პეკინი, “ცისქვეშეთის” მსოფლიოს მბრძანებლად გადაქცევის მოლოდინი) წარსულის მენტალიტეტითაა გამსჭვალული, მათ ნებსით ან უნებლიედ “ცივი ომის” ნოსტალგიის ელფერი დაჰკრავს და “წარსულის დიდების” მონატრებასა და მის აღორძინებაზე ოცნებას გულისხმობს. აქ იმის აღიარება მოგვიწევს, რომ ახლანდელი მსოფლიო უფრო მშვიდი და კარგია, ვიდრე ის, ძველი და მრავალპოლუსიანი.

ნუთუ ეს იმას ნიშნავს, რომ ამერიკულ უნილეიტერალიზმს უნდა შევურიგდეთ, რომელსაც მეტისმეტად ასდის ჰეგემონიზმის სუნი? არა, ეს იმდენად შერიგება არაა, რამდენადაც ფაქტების აღიარება, არსებული სინამდვილის აღიარება. ვაშინგტონის ჰეგემონიზმის წინააღმდეგობა უარყოფითი მიმართულებით არ უნდა წარიმართოს, ანუ ძია სემისთვის გიჟის პერანგის ჩამოცმას არ უნდა ვეცადოთ - ეს შეუძლებელიცაა და სახიფათოც, რადგან მსოფლიოს კონფრონტაციულ წარსულში მოისვრის. ამ მიზნის მისაღწევად პოზიტიური მიმართულებით უნდა ავიღოთ გეზი. მსოფლიოს ამერიკა სჭირდება, მაგრამ ამერიკასაც სჭირდება მსოფლიო, და არამარტო ფრანგული შამპანური და რუსული ხიზილალა. და რაც უფრო გამწვავდება ეს მოთხოვნილება, მით უფრო კეთილი და ხელგაშლილი გახდება ამერიკელი “ოჯახის უფროსი”. ამის მიღწევა მხოლოდ ერთი გზით შეიძლება – დანარჩენი მსოფლიოს ეკონომიკის აღორძინებისა და დემოკრატიზაციის გზით. ეს იმის საშუალებას მოგვცემს, რომ დარღვეული ბალანსი “ცივი ომისა” და კონფრონტაციის დაბრუნების გარეშე აღდგეს.

ძნელია? ცხადია, ძნელია. მაგრამ სხვა რაციონალური გზა კაცობრიობას არა აქვს. სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ. ეს კაპიტულაცია კი არა, სიბრძნეა.

რუსთავი 2 პრიზი
24 საათი
“რუსთავი 2 პრიზით” წარმოგიდგენთ ქართველი კლასიკოსის ოთარ ჭილაძის ახალ რომანს “გუდრი”, თანამედროვე ქართული მწერლობის კრებულს “დღეს”, და ლიბერალური დემოკრატიის ნამდვილ სახელმძღვანელოს, ნიკოლო რურეას “დასავლეთის კაზუსს”. წიგნების შეძენა შეგიძლიათ ყველგან საქართველოში, სადაც კი წიგნი იყიდება.

ამერიკული კომპანია PEPSI-COLA-ს
ოფიციალური გოთლერი საქართველოში შპს "იბერია რეფრეშმენტი" ითვეშს 25 წლამდე ასაკის მამაკაცებს სავაჭრო წარმომადგენლის თანამდებობაზე სამუშაოდ.
მოთხოვნები
- განათლება - უმაღლესი.
- სასურველია მანქანის მართვის ცოდნა.
კონკურსანტთა შერჩევა მოხდება ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე.
დაინტერესებულ პირებს მოთხოვთ გამოაგზავნოთ ავტობიოგრაფია (CV) 15 სექტემბრამდე ფაქსზე 43 35 15

მოსწავლეთა საყურადღებოდ!
განათლების სამინისტროს კომპიუტერული ცენტრი "შიაური" აცხადებს მოსწავლეთა და სტუდენტთა მიღებას
პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ ჯგუფებში მიიღებიან IV-XI კლასების მოსწავლეები
მისამართი: დ. უზნაძის (ყოფილი კამოს) №70
ტელ: 29 48 61, 95 45 75, 91 03 17

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.